მაია გოგოლაძე, ეკა სიმსივე, მანანა ჯინჭარაძე

7 მოქალაქეობა

მასწავლებლის წიგნი

ჯიმ

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება;

ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა;

გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი;

დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება;

ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე;

ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც;

ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან;

თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე.

მაია გოგოლაძე, ეკა სიმსივე, მანანა ჯინჭარაძე

მოქალაქეობა

7

მასწავლებლის წიგნი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტროს მიერ 2019 წელს

მაია გოგოლაძე, ეკა სიმსივე, მანანა ჯინჭარაძე

მოქალაქეობა

VII კლასი, მასწავლებლის წიგნი

რედაქტორი
ნელი ელიზბარაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
მანანა კვერნაძე

© გამომცემლობა „კლიო“, 2019

© მაია გოგოლაძე, ეკა სიმსივე, მანანა ჯინჭარაძე, 2019

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-481-50-5

პირველი გამოცემა (2019)

შპს „გამომცემლობა კლიო“
აღმაშენებლის გამზ., №181-2,
თბილისი, 0112
ტელ.: (+995 32) 234 04 30
E-mail: book@klio.ge; www.klio.ge

სარჩევი

სახელმძღვანელოს სტრუქტურა 4
მე-7 კლასის მოქალაქეობის სახელმძღვანელოს კონცეფცია..... 5
საბაზო საფეხურის სტანდარტი 6
შესავალი 6
თემატური ბლოკი: ინდივიდი და საზოგადოება 10

კარი 1.
თემი, რომელშიც ვცხოვრობთ 19
კარი 2.
სასკოლო გარემო/ სასკოლო საზოგადოება 25
კარი 3.
ჯანსაღი ცხოვრება 29
კარი 4.
ბუნებრივი გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა..... 33
კარი 5.
ეკონომიკური ურთიერთობები თემში..... 38

გრაფიკული ორგანიზატორები, ანუ კოგნიტური დიაგრამები
ეფექტიანი სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი..... 41
თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები 44
პროექტებით სწავლება..... 46
როლური თამაში 51
გონებრივი იერიში..... 55
„სეგმენტური მეთოდი“ 59
ინტერვიუ სამი ნაბიჯი..... 61
უოლტ დისნეის „აზროვნების სამი სკამი“ 63
უკუკავშირის მეთოდები სასწავლო პროცესის საწყის ეტაპზე 66
გამოყენებული ლიტერატურა..... 75

მე-7 კლასის მოქალაქეობის სახელმძღვანელოს კონცეფცია

VII კლასის მოქალაქეობის სახელმძღვანელო ემსახურება მოსწავლეებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას და თემის ყოველდღიურ ცხოვრებაში გააზრებულ მონაწილეობას.

მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა გააცნობიერონ, რომ თემში განსხვავებული შეხედულების, ინტერესებისა და ღირებულებების მქონე ადამიანები ცხოვრობენ და მათთან მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის აუცილებელია ადამიანის ღირსების პატივისცემა, პლურალიზმი, უფლებებისა და მოვალეობების გაცნობიერება და კანონის დაცვა.

წიგნის კონცეფცია მოიცავს მოსწავლეთა გამოცდილებიდან გამომდინარე სწორი დასკვნების გამოტანასა და ღირებულებების ჩამოყალიბებას,რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის ინტეგრაციას საზოგადოებაში.

პირველ თავში მოსწავლე გააანალიზებს სწორი ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვან პიროვნულ მახასიათებლებს, რა მნიშვნელობა აქვს მის მონაწილეობას თემის ცხოვრებაში, რომ იგრძნოს თავი საზოგადოების, ოჯახის, სამეზობლოს სრულფასოვან წევრად.

მეორე თავი მნიშვნელოვანია იმით, რომ მოსწავლემ სრულად აღიქვას თავი სასკოლო საზოგადოების ნაწილად, გააცნობიეროს დემოკრატიული სკოლის მნიშვნელობა პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში, რასაც განაპირობებს ადეკვატური თვითშეფასება, წესებისა და უფლება/მოვალეობების გააზრება, ღირსების პატივისცემა, კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარება, ტოლერანტობა, რომლებიც ღირებულებებად ფორმირდება.

მესამე თავი მოსწავლეს დაეხმარება გაიაზროს ჯანსაღი ცხოვრების მნიშვნელობა და აქციოს ქმედით ცოდნად, მაგალიტები და სიტუაციები დაეხმარება დააკავშიროს რეალურ ცხოვრებასთან და შეუსაბამოს საკუთარ უნარებს.

მეოთხე თავი მოსწავლეს საშუალებას მისცემს გაითავისოს, რატომ უნდა იზრუნოს ბუნებასა და კულტურულ მემკვიდრეობაზე, მისი დაცვა როგორ უწყობს ხელს მხარის/თემის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და რა როლი აკისრია მას.

მეხუთე თავი ასწავლის რესურსების მართვასა და რაციონალურ გამოყენებას,რაც საშუალებას მისცემს საკუთარი და ოჯახის ბიუჯეტის სწორად განკარგვის შესაძლებლობას.

მოქალაქეობა

საბაზო საფეხურის სტანდარტი

შესავალი

საბაზო საფეხურის „მოქალაქეობის“ სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;

ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი;

გ) მეთოდიკური ორიენტირები;

დ) შეფასება.

საგან „მოქალაქეობის“ ფარგლებში მოსწავლე გაეცნობა საზოგადოებას, რომელშიც ცხოვრობს; შეისწავლის ლოკალურ, სახელმწიფოებრივ და გლობალურ დონეზე მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს.

საგნის სწავლა-სწავლებისას მოსწავლე ჩართული იქნება სამოქალაქო აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას მისცემს.

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები

მოქალაქეობის სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს, მოსწავლეს:

- დაეხმაროს საკუთარი თავის საზოგადოების სრულუფლებიან წევრად აღქმაში;
- ჩამოუყალიბოს საკუთარი ქვეყნის მიმართ მზრუნველი დამოკიდებულება;
- ასწავლოს სამოქალაქო მონაწილეობის ფორმები; გააცნობიერებინოს, რომ მას შეუძლია და მართებს საკუთარ ქვეყანაში (თემში/მუნიციპალიტეტში/სახელმწიფოში) პოზიტიური ცვლილებების განხორციელება;
- გამოუმუშაოს მოქალაქისთვის საჭირო უნარ-ჩვევები (თანამშრომლობის, კონფლიქტის მართვის, სამეწარმეო და ფინანსური) და ღირებულებები/დამოკიდებულებები (ადამიანის უფლებების, განსხვავებული აზრის პატივისცემა, ტოლერანტობა);
- დაეხმაროს კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის პრინციპების გათავისებაში;
- ჩამოუყალიბოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კულტურა.

ამ მიზნებზე მუშაობით „მოქალაქეობა“ თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სასწავლო გეგმის მისიისა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.

ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი

სტანდარტის შედეგები საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას: რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს საგან „მოქალაქეობის“ ფარგლებში საბაზო საფეხურის ბოლოს.

შედეგები ჯგუფდება სამ მიმართულებად:

- **პიროვნული განვითარება და სოციალიზაცია** – გულისხმობს მოსწავლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციას. მისი მხრიდან სოციალური ნორმების, ქცევის მოდელებისა და ღირებულებების გათავისებას;
- **ინიციატივა და მეწარმეობა** – გულისხმობს ინოვაციურ და კრიტიკულ აზროვნებას; იდეების საქმედ ქცევასა და გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებას;
- **სამოქალაქო მონაწილეობა და უსაფრთხოება** – გულისხმობს საკუთარ ქვეყანაზე ზრუნვას; საზოგადოებისთვის სასარგებლო სამოქალაქო და სოციალური აქტივობების არაძალადობრივი მეთოდებით, კანონის დაცვით განხორციელებას.

სტანდარტის შინაარსი განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღიწერება სავალდებულო ცნებებისა და თემების სახით.

ცნებების სახით განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. ცნებები შედეგებთან ერთად უნდა დამუშავდეს შინაარსიან კონტექსტებში. ეს კონტექსტები **სავალდებულო თემების** სახითაა წარმოდგენილი.

თითოეულ თემას ახლავს **შეფასების ინდიკატორები**. შეფასების ინდიკატორები განსაზღვრავს, თუ რა უნდა შეფასდეს კონკრეტული თემის ფარგლებში (თითოეულ ინდიკატორს ახლავს შესაბამისი შედეგის ინდექსის ნომერი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი შედეგიდან/შედეგებიდან გამომდინარეობს იგი).

სტანდარტის შედეგების ინდექსების განმარტება

სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ ინდექსი აქვს დართული, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **მოქ.საბ.1.**

„მოქ“ მიუთითებს საგანს — „მოქალაქეობა“;

„საბ“ – საფეხურს (საბაზო საფეხური), რომლის ბოლოსაც არის მისაღწევი შედეგი;

„**1“** – შედეგის რიგს (1 = პირველი შედეგი).

მოქალაქეობის სტანდარტის შედეგები (VII-IX კლასები)		
შ ე დ ე გ ე ბ ი ს ინდექსი	**მიმართულება: პიროვნული განვითარება და სოციალიზაცია**	**ცნებები**
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
მოქ.საბ.1.	საკუთარი შეხედულებების, ქცევების შეფასება და კორექტირება, ემოციების მართვა (თვითრეფლექსია);	სოციალიზაცია დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები ინიციატივა სამოქალაქო მონაწილეობა მდგრადი განვითარება
მოქ.საბ.2.	საკუთარი თავის საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის (მაგალითად, სასკოლო თემის) წევრად აღქმა;	
მოქ.საბ.3.	საკუთარი და სხვა ადამიანების უფლება-მოვალეობების გაცნობიერება და დაცვა;	
მოქ.საბ.4.	დემოკრატიის პრინციპების ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირება.	
	მიმართულება: ინიციატივა და მეწარმეობა	
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
მოქ.საბ.5.	მოკლე და გრძელვადიანი მიზნების დასახვა; იდეების ჩამოყალიბება, ინიციატივის გამოვლენა და მისი განხორციელებისთვის საჭირო ნაბიჯების დაგეგმვა;	
მოქ.საბ.6.	მომავალი პროფესიის შერჩევისთვის საკუთარი შესაძლებლობების, მოთხოვნილებებისა და საჭიროებების გააზრება;	
მოქ.საბ.7.	ასაკის შესაბამისი ფინანსური უნარ-ჩვევების (მაგ., პირადი ფინანსების დაგეგმვა და პასუხისმგებლობით განკარგვა) გამოვლენა.	
	მიმართულება: სამოქალაქო მონაწილეობა და უსაფრთხოება	
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
მოქ.საბ.8.	სამოქალაქო აქტივობებში მოხალისეობის საფუძველზე ჩართულობის მნიშვნელობის გაცნობიერება და დემოკრატიის პრინციპების საფუძველზე მოქმედების საჭიროების დანახვა;	
მოქ.საბ.9.	საზოგადოებისა და ქვეყნისთვის აქტუალური პრობლემების ამოცნობა და საკუთარი ჩართულობით მათ გამოსწორებაზე ზრუნვა;	
მოქ.საბ.10.	მდგრადი განვითარების პრინციპების გააზრება და მათ საფუძველზე მოქმედება;	
მოქ.საბ.11.	ცხოვრებისეულ და საგანგებო (ბუნებრივი და ტექნოგენური მიზეზებით გამოწვეულ) ვითარებაში უსაფრთხოების წესების დაცვით მოქმედება;	
მოქ.საბ.12.	სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფთან და სახელმწიფო უწყებასთან თანამშრომლობა (ინფორმაციის მოპოვება, ლობირება, ადვოკატირება, ადვოკატირების გზით ხელისუფლების ანგარიშვალდებულება და მონიტორინგი);	
მოქ.საბ.13.	საკუთარი გადაწყვეტილებების/შეხედულებების უმთავრესი სამართლებრივი დოკუმენტების (საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ბავშვთა უფლებების კონვენცია) საფუძველზე დასაბუთება.	

სავალდებულო სასწავლო თემები	**ცნებები,** რომლებიც თითოეულ თემაში უნდა დამუშავდეს
VII კლასი **თემატური ბლოკი: ინდივიდი და საზოგადოება**	**სოციალიზაცია** მე, პიროვნება, საზოგადოება, საზოგადოებრივი ჯგუფები
1. თემი, რომელშიც ვცხოვრობთ	**დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები** ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები
2. სასკოლო გარემო/სასკოლო საზოგადოება	**ინიციატივა** დაგეგმვა, პროფესია, ფინანსები
3. ჯანსაღი ცხოვრება	**სამოქალაქო მონაწილეობა** მოხალისეობა, ადვოკატირება, ლობირება
4. ბუნებრივი გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა	**მდგრადი განვითარება** სამოქალაქო უსაფრთხოება
5. ეკონომიკური ურთიერთობები თემში	

საკითხები:

ეროვნული სასწავლო გეგმა სავალდებულო თემების გასაშლელად საჭირო საკითხებს სავალდებულო სახით <u>არ განსაზღვრავს</u>. პედაგოგებსა და სახელმძღვანელოს ავტორებს უფლება აქვთ, თითოეული თემისთვის საკითხები თავად შეარჩიონ.

VII კლასი

თემატური ბლოკი: ინდივიდი და საზოგადოება

სასწავლო თემა: თემი, რომელშიც ვცხოვრობთ
შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს: • თემში არსებული სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემების (დაწერილი და დაუწერელი წესების თანაარსებობა, არასრულწლოვანთა დანაშაული, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება, ბუნებრივი საფრთხეები) იდენტიფიცირება; საკუთარი ჩართულობით მათ გადაჭრაზე ზრუნვა **(მოქ.საბ.2,4,5,7,8,9,10,11,12,13);** • სათემო აქტივობების დაგეგმვისას განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან თანამშრომლობა; თემში მცხოვრები ყველა ადამიანის ინტერესის გათვალისწინება **(მოქ.საბ.1,2,3,4,5,6,8,9,12);** • პირადი და სათემო აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელებისას მდგრადი განვითარებისა და დემოკრატიის პრინციპების (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა) გათვალისწინებით მოქმედება (**მოქ. საბ.1,2,3,4,5,6,7,8,9,10,12**).

სასწავლო თემა: სასკოლო გარემო / სასკოლო საზოგადოება
შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს: • სკოლაში არსებული სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემების (ჩაგვრა (ბულინგი), განათლების უფლების რეალიზაცია, უსაფრთხო სკოლა) იდენტიფიცირება; საკუთარი ჩართულობით მათ გადაჭრაზე ზრუნვა **(მოქ.საბ.2,4,5,7,8,9,10,11,12,13;);** • სასკოლო თვითმმართველობაში (სასკოლო კლუბები, თანატოლთა მედიაცია) მონაწილეობა; საჭიროების შემთხვევაში, სკოლაში არსებულ სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან (დირექციასთან, სამეურვეო საბჭოსთან) თანამშრომლობა **(მოქ. საბ.1,2,3,4,5,7,8, 9,12,13);** • სასკოლო აქტივობების დაგეგმვისას განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან თანამშრომლობა და მათი ინტერესების გათვალისწინება **(მოქ.საბ.1,2,3,4,5,6,8,9,12);** • პირადი და სასკოლო აქტივობების დაგეგმვისას მდგრადი განვითარებისა და დემოკრატიის პრინციპების (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა) გათვალისწინებით მოქმედება **(მოქ.საბ.1,2,3,4,5,6,7,8,9,10,12).**

სასწავლო თემა: ჯანსაღი ცხოვრება
შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს: • პირადი ჰიგიენისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვის საჭიროებაზე მსჯელობა; მათი დაცვისას წარმოქმნილი (ჯანსაღი კვება, ასაკობრივი თავისებურებები) სირთულეების გაანალიზება (**მოქ.საბ.1,2,3,6,7,9,10);** • საკუთარი ფიზიკური აქტივობებისა და ჯანსაღი კვების რეჟიმის დაგეგმვა **(მოქ. საბ.1,3,5,7,10);** • ადამიანსა და საზოგადოებაზე ადიქციის სხვადასხვა ფორმის მავნე ზემოქმედების შედეგების გაანალიზება (**მოქ.საბ.2,3,4,5,7,8,9,10,11,12);** • საკანონმდებლო დოკუმენტებზე დაყრდნობით იმის გაანალიზება, თუ რა შეიძლება გახდეს ჯანმრთელობისა და განათლების უფლების დარღვევის საფუძველი (ადრეული ქორწინება, არასრულწლოვანთა შრომითი ექსპლუატაცია) **(მოქ. საბ.1,3,4,5,6,7,8,9,10,12,13).**

სასწავლო თემა: ბუნებრივი გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა
შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს: • ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საჭიროების გაანალიზება **(მოქ. საბ.3,4,7,9,10,11,13);** • საკუთარ დასახლებაში/რეგიონში არსებული ეკოლოგიური, გარემოსდაცვითი, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პრობლემების (ვანდალიზმი, ბრაკონიერობა) იდენტიფიცირება; საკუთარი ჩართულობით მათ გადაჭრაზე ზრუნვა **(მოქ. საბ.1,2,3,4,5,6, 7,8,9,10,11,12);** • ეკოლოგიური, გარემოსდაცვითი, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზისას მდგრადი განვითარებისა და დემოკრატიის პრინციპების (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა) გათვალისწინება **(მოქ.საბ.3,4,9,10,11,13)**.

სასწავლო თემა: ეკონომიკური ურთიერთობები თემში
შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს: • საკუთარი ფინანსური შესაძლებლობებისა და კონკრეტული მიზნების შესაბამისად პირადი ბიუჯეტის დაგეგმვა **(მოქ.საბ.1,3,5,6,7,10);** • გააანალიზოს, თუ რა განაპირობებს ადამიანების ეკონომიკურ აქტივობას; რა ლოგიკით იღებენ ისინი ამა თუ იმ ფინანსურ გადაწყვეტილებას **(მოქ.საბ.2,3,4,5,7,8,9,10,11,12,13);** • გააანალიზოს, თუ როგორ ყალიბდება ბაზარი **(მოქ.საბ.1,2,3,4,5,6,7,8,9,10,12).**

საფეხურებრივი საკვანძო კითხვები

საფეხურებრივი საკვანძო კითხვები სტანდარტის ცნებებს აკავშირებს შედეგებთან.

- რატომ სჭირდება ინდივიდს საზოგადოება და საზოგადოებას კი — ინდივიდი?
- რატომ არის მოვალეობები ადამიანის უფლებების განუყოფელი ნაწილი?
- როგორ ვიზრუნო საკუთარ ქვეყანაზე? როგორ უნდა ვიქცეოდე, რომ ჩვენი სახელმწიფოს ღირსეული მოქალაქე ვიყო?
- როგორ შეუძლია ერთ ადამიანს საზოგადოებისა და ქვეყნისთვის საჭირო და მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება?
- რატომ და როგორ უნდა ვიზრუნოთ ჩვენს ქალაქში/დაბაში/რეგიონში პრობლემების მოგვარებაზე/არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე (მაგ., უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მოვლაზე)?
- როგორ ვიურთიერთო სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან?
- რატომ სჭირდება მოქალაქეს კანონების ცოდნა?

გ) მეთოდიკური ორიენტირები

სტანდარტის ამ ნაწილში განსაზღვრულია, თუ რა პრინციპების საფუძველზე უნდა წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი. ასევე, მოცემულია მოკლე ინსტრუქციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს კონკრეტული სასწავლო ერთეულის — თემის სწავლა-სწავლება.

საგნის სწავლა-სწავლება უნდა წარიმართოს შემდეგი პრინციპების დაცვით:

ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას.

ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას.

დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლას).

ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარაციულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

საგნობრივი შედეგების გარდა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან სწავლა-სწავლებისა და შეფასების სამიზნედ ასევე უნდა იქცეს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირე-

ბულებები:

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება	• ადვოკატირების კამპანიის წარმართვა სოციალური ქსელის გამოყენებით; • პეტიციის შექმნა და ხელმოწერების შეგროვება; • იმეილის საშუალებით, თანაკლასელებს და მასწავლებელს შორის ინფორმაციის გაცვლა; • ვებგვერდის/ბლოგის შექმნა და სასწავლო პროცესის განმავლობაში განხორციელებული სხვადასხვა პროექტის, ვებგვერდზე/ბლოგზე განთავსება; • ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება (მაგ., Word, PowerPoint) სასწავლო მასალისა და სხვადასხვა ტიპის ელექტრონული ტექსტების დასამუშავებლად.
წიგნიერება	• ზეპირი და წერითი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემაში მოყვანის და წარდგენა-გაზიარების უნარი.

სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ზრუნვა მეტაკოგნიციის უნარების განვითარებაზე, რისთვისაც მასწავლებელმა პერიოდულად სამი ტიპის აქტივობა უნდა ჩაატაროს. ეს აქტივობებია:

სტრატეგიების მოდელირება: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასრულებს დავალებას და მისი შესრულებისას „ხმამაღლა ფიქრობს“ იმაზე, თუ როგორ შეასრულოს ეს აქტივობა (მაგ., კარგად გავეცნოთ პირობას და დავაკვირდეთ, რას მოითხოვს იგი; აქვს თუ არა პირობას თანხმლები მასალა და მისთ.).

წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე – მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან დავალების პირობას, შევასრულებინებთ მეტაკოგნიტური ხასიათის ამგვარ აქტივობას: მათ ჯგუფურად უნდა განსაზღვრონ ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებენ, სახელდობრ: დეტალურად აღწერონ დავალების შესრულების ეტაპები (რას შეასრულებენ რის შემდეგ და სხვ.), ასევე სტრატეგიები, რომლებსაც გამოიყენებენ თითოეულ ეტაპზე. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და იმსჯელონ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე.

შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე – მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ კონკრეტულ დავალებას, მათ უნდა გაიხსენონ და აღწერონ განვლილი გზა: რა გააკეთეს რის შემდეგ? რა ხერხები გამოიყენეს მუშაობისას? რა გაუჭირდათ ან რა გაუადვილდათ? შესრულებული მოქმედებების აღწერის შედეგად მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მიზნის მისაღწევად არსებობს სხვადასხვა გზა და ხერხი, რომლებზეც დავალების შესრულებამდე უნდა დაფიქრდნენ (ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად). მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებს და აუმაღლებს სწავლის ქმედუნარიანობას.

წლიური პროგრამისა და სასწავლო თემის აგების პრინციპები

ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურებრივი საგნობრივი სტანდარტები განსაზღვრავს სავალდებულო საგნობრივ მოთხოვნებს (რა უნდა შეეძლოს და რა უნდა იცოდეს მოსწავლემ). მათზე დაყრდნობით იგეგმება წლიური პროგრამები, რომლებიც გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს.

წლიური პროგრამები უნდა დაიგეგმოს სავალდებულო სასწავლო თემების საშუალებით. სასწავლო თემა წამოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის ნაწილების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. რამდენადაც შედეგები საგნის სწავლების გრძელვადიან მიზნებს წარმოადგენს, **თითოეული თემის ფარგლებში სტანდარტის ყველა შედეგი უნდა დამუშავდეს**. მაშასადამე, სასწავლო თემების ცვლით შეიცვლება კონტექსტები, მაგრამ არ შეიცვლება სწავლის მიზნები, რომლებიც სტანდარტის შედეგების სახითაა ფორმულირებული (შედეგი თავისთავად არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს – თემას).

სასწავლო თემის დასაგეგმად გამოიყენება შემდეგი კომპონენტები:

სასწავლო თემები სასწავლო თემა წარმოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.
საგნობრივი საკითხები წლიური თემების ფარგლებში გამოიყოფა საგნობრივი საკითხები. საგნობრივი საკითხების სწავლება თვითმიზანს არ წარმოადგენს. საგნობრივი საკითხების მეშვეობით მოსწავლე გაიაზრებს ცნების შინაარსს, ამუშავებს საკვანძო შეკითხვებს, ასრულებს კომპლექსურ დავალებებს.
თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები ცნებები განსაზღვრავს იმ არსებით ცოდნას, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს.
თემატური საკვანძო შეკითხვები თემატური საკვანძო შეკითხვები გამომდინარეობს საფეხურებრივი კითხვებიდან და დაისმის თემის კონკრეტულ კონტექსტში. მათი ფუნქციაა: • მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად; • სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა; • თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.

აქტივობები

მიმდინარე დავალებების ტიპების/ნიმუშების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული გაგება-გააზრების პროცესების ხელშესაწყობად, ასევე ცოდნის ათვისების, განმტკიცებისა თუ შეჯამების მიზნით.

კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი

კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში.

შეფასების ინდიკატორები

შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის.

მკვიდრი წარმოდგენები

მკვიდრი წარმოდგენები განისაზღვრება სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით. ეს არის ზოგადი წარმოდგენები, რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში მის (მოსწავლის) წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რათა მას თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა გაუადვილდეს. მკვიდრი წარმოდგენები აზროვნების საყრდენია გაგების აქტების განსახორციელებლად.

როგორ აიგება სასწავლო თემა?

სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები. ისინი სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული. ცნებებსა და შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრება **მკვიდრი წარმოდგენები**, **საკვანძო კითხვები** და **შეფასების ინდიკატორები**.

სასწავლო თემის სწავლა-სწავლების მიზნით შემდეგ ეტაპზე უნდა განისაზღვროს საგნობრივი საკითხები, რესურსები, დავალებების ტიპები/ნიმუშები გაგების, გააზრების, განმტკიცებისა და შეჯამების მიზნით. ასევე მნიშვნელოვანია განისაზღვროს **იდეები შემაჯამებელი კომპლექსური დავალებებისთვის**, რადგან მხოლოდ კომპლექსური დავალებების საშუალებით შეიძლება გამოვლინდეს, რამდენად დაეუფლა მოსწავლე თემის ფარგლებში ასათვისებელ ცოდნა-უნართა ერთობლიობას და რამდენად ახერხებს მათ ფუნქციურად გამოყენებას.

სასწავლო თემის აგების ბიჯები

ნაბიჯი 1.	**მკვიდრი წარმოდგენების დადგენა**
ნაბიჯი 2.	**თემატური საკვანძო კითხვების დასმა**
ნაბიჯი 3.	**შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა**
ნაბიჯი 4.	**თემატური საკითხების განსაზღვრა**
ნაბიჯი 5.	**აქტივობებისა და მიმდინარე დავალებების დაგეგმვა და რესურსების შერჩევა**
ნაბიჯი 6.	**შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების შემუშავება**

დ) შეფასება

სტანდარტის ამ ნაწილში წარმოდგენილია შეფასების პრინციპები. საკლასო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის მე-7 თავში განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესი ადგილი უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც მოსწავლეს თავისსავე წინარე შედეგებთან მიმართებით აფასებს, ზომავს მის ინდივიდუალურ წინსვლას, რითაც მას ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირების საშუალებას აძლევს.

მნიშვნელოვანია, მოსწავლე თავად იყოს ჩართული განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას შეასწავლის. მაგალითად, თუ მოსწავლე კარგად გაიაზრებს აქტივობის მიზანსა და ამ მიზნის წარმატებით მიღწევის კრიტერიუმებს (მოსწავლისათვის განკუთვნილი კრიტერიუმები ნათლად ფორმულირებული და შეზღუდული რაოდენობის უნდა იყოს), იგი უკეთ დაინახავს იმ ნაბიჯებს, რომლებიც უნდა გადადგას სასურველი შედეგის მისაღწევად და უფრო გააზრებულად წარმართავს მიზნისაკენ მიმავალ პროცესებს. თუ აქტივობის დასრულებისას მას ვთხოვთ, გააანალიზოს განვლილი გზა – რა ნაბიჯები გადადგა, რა შედეგს მიაღწია, რა მიდგომა გამოიყენა, კიდევ რომელი მიდგომის გამოყენება შეიძლებოდა ან აჯობებდა, რამ შეუქმნა პრობლემა, რა გაუჭირდა ან ვერ გადაჭრა და რატომ, რა გაუადვილდა, რამ შეუწყო ხელი წარმატებაში და სხვ., ეს ხელს შეუწყობს მისი სწავლის ქმედუნარიანობის გაზრდას.

შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება

შემაჯამებელი შეფასებისათვის გამოიყენება კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოითხოვს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნის ინტეგრირებულად და ფუნქციურად გამოყენებას. ამ დავალებათა შესაფასებლად გამოიყენება შეფასების რუბრიკა, ანუ კრიტერიუმების ბადე.

მოსწავლეს თითოეული სასწავლო თემის დამუშავების შემდეგ ევალება შემაჯამებელი დავალების წარმოდგენა. მაშასადამე, შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა წლის განმავლობაში სავალდებულო სასწავლო თემების რაოდენობას ემთხვევა.

ტიპობრივი დავალებები შემაჯამებელი შეფასებისათვის

სტანდარტში შემოთავაზებულია ტიპობრივ დავალებათა ფართო არჩევანი. შემაჯამებელი შეფასებისათვის მასწავლებელი და/ან მოსწავლე შეარჩევს დავალების სასურველ ტიპს/ ტიპებს:

ქვემოთ გთავაზობთ სტანდარტით გათვალისწინებულ ტიპობრივ შემაჯამებელ დავალებათა ნუსხას. მოსწავლეზე და/ან მასწავლებელზეა დამოკიდებული, თუ რომელ დავალებას/ დავალებებს შეარჩევს.

- სოციალური პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული პროექტი;
- ადვოკატირებაზე ორიენტირებული პროექტი;
- საზოგადოების ინფორმირებაზე ორიენტირებული პროექტი;
- ქველმოქმედების მიზნით განხორციელებული პროექტი.

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი განმსაზღვრელი შეფასებისათვის განკუთვნილი დავალება:

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების რუბრიკა;
- რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე.

შეფასების რუბრიკის სავარაუდო ფორმა

კლასი **მოსწავლის სახელი, გვარი**		
თემა		
დავალების პირობა		
შეფასების კრიტერიუმები	**ქულები**	**კომენტარი**

კარი 1. თემი, რომელშიც ვცხოვრობთ

საათების რაოდენობა: 20 სთ.

თემი, რომელშიც ვცხოვრობთ	**საკვანძო შეკითხვები**
1. ურთიერთობები ჩემ გარშემო	• რა და როგორ აყალიბებს თემში არსებულ ჯგუფებს ერთიან საზოგადოებად?
2-3. მე მაქვს უფლება, მქონდეს ჩემი ადგილი საზოგადოებაში	როდის ვგრძნობ თავს საზოგადოების სრულფასოვან წევრად? • რა და როგორ აყალიბებს თემში არსებულ ჯგუფებს ერთიან საზოგადოებად?
4. მონაწილეობა ჩემი უფლებაა	• რატომ არის საერთო სივრცეზე (სადარბაზო, ეზო) ზრუნვა მოქალაქის მოვალეობა?
5-6. ადამიანის უფლებები	• რატომ უარესდება საზოგადოებრივი ურთიერთობები თემში პიროვნული ღირსების შელახვის შემთხვევაში?
7. სამართალი და სამართლიანობა	• როგორ უნდა ვითანამშრომლოთ ჩვენს თემში მცხოვრებ განსხვავებული შეხედულებების/შესაძლებლობების/წარმოშობის ადამიანებთან?
8-9. პროცესები,რომლებიც გავლენას ახდენს ჩემი პიროვნების ფორმირებაზე	• რა და როგორ აყალიბებს თემში არსებულ ჯგუფებს ერთიან საზოგადოებად? • როგორ უნდა ვითანამშრომლოთ ჩვენს თემში მცხოვრებ განსხვავებული შეხედულებების/შესაძლებლობების/წარმოშობის ადამიანებთან?
10. ლიდერობის კულტურა და ეთიკა	• რატომ და როგორ უნდა განვახორციელო ჩემი საცხოვრებელი გარემოსათვის აქტუალური სათემო აქტივობები?
11. ადამიანი და სამართალი	• რა და როგორ აყალიბებს თემში არსებულ ჯგუფებს ერთიან საზოგადოებად?
12-13. ტოლერანტობა	• როგორ უნდა ვითანამშრომლოთ ჩვენს თემში მცხოვრებ განსხვავებული შეხედულებების/შესაძლებლობების/წარმოშობის ადამიანებთან?
14-15. მრავალფეროვნება ჩემ გარშემო	• როგორ უნდა ვითანამშრომლოთ ჩვენს თემში მცხოვრებ განსხვავებული შეხედულებების/შესაძლებლობების/წარმოშობის ადამიანებთან?
16. არასრულწლოვანი და დანაშაული	• რატომ და როგორ უნდა ვიზრუნო ჩემს თემში უსაფრთხო გარემოს შექმნაზე?
17-18. უსაფრთხო გარემო ჩემ ირგვლივ	• რატომ და როგორ უნდა ვიზრუნო ჩემს თემში უსაფრთხო გარემოს შექმნაზე (იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ახლო მომავალში ბუნებრივი თუ ტექნოგენური კატასტროფა არ არის მოსალოდნელი)?

19-20. შემაჯამებელი გაკვეთილი „როგორ დავწერო პროექტი“	• რატომ და როგორ უნდა განვახორციელო ჩემი საცხოვრებელი გარემოსათვის აქტუალური სათემო აქტივობები?

ცნება:
სოციალიზაცია – მე, პიროვნება, საზოგადოება, საზოგადოებრივი ჯგუფები

კომპლექსური/პროექტული დავალებები

- მოსწავლეები საუბრობენ მათ სასწავლო საჭოროებებზე, მათთვის კომფორტულ გარემოებებზე, პატივისცემისა და თვითრეალიზაციისათვის აუცილებელ საკლასო კულტურაზე, ავსებენ ფლიფჩარტზე ჩამონათვალს და ეცნობიან ერთმანეთის საჭიროებებს,მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში მიაწერონ ცხრილს ვისი დახმარება შეუძლიათ და შეთანხმდნენ თანამშრომლობის ვადებსა და პირობებს.

  მაგალითად

სახელი	**საჭიროება**	**მე ვეხმარები**	**დრო**
მაია	მათემატიკის დავალების ახსნა	ლანა	----
რატი	დახმარება ისტორიაში	გიგა	-----
თომა	კალათბურთის თამაში	სანდრო	-----
თათა	დახმარება ქართულის თემის დაწერაში	ნია	------

- მოსწავლეები ადგენენ კითხვარებს მათ თემში არსებული პრობლემების გამოსავლენად და ატარებენ გამოკითხვას თემში, ქუჩაში, კორპუსში, სამეზობლოში, შეკრებილ მასალას აჯგუფებენ პრიორიტეტების მიხედვით და ყველაზე აქტუალურს, რომელიც პროცენტულად გამოკითხულთა შორის ყველაზე მეტია, ამზადებენ საპრეზენტაციოდ, რომელსაც წარადგენენ პრობლემის შინაარისი შესაბამის ორგანოში, სკოლის დირექციასთან, მერიაში, საავადმყოფოში, პოლიციაში. წარმართავენ ადვოკატირება საკითხის აქტუალობის და მოგვარების აუცილებლობის დასაფიქსირებლად.

- დავალების მონაწილე მოსწავლეები ქმნიან მოლოდინის ხეებს, რომლებიც განაწილებული იქნება კითხვები. კერძოდ, ხის ფესვები იქნება „მაქვს თუ არა სამართლის განცდა სკოლაში?“ ხის ღერო იქნება კითხვა: „რა არ მინდა, რომ მოხდეს?“ ხოლო ხის ფოთლები იქნება „რაც არ მინდა მოხდეს, რას ვაკეთებ იმისთვის?“

- სამუშაოს მოსწავლეები ინდივიდუალურად ასრულებენ. ფერადი ფურცლებით გამოჭრილი ხეები შეიძლება კედელზეც გააკრან და ფლიპჩარტზეც. ასევე, თითოეულ კითხვაზე გაცემული პასუხი ფერადი სტიკერების მეშვეობით უნდა მიაკრან შესაბამის ადგილზე დროთა განმავლობაში. მოსწავლეებს შეუძლიათ, ერთმანეთის ნაწერები წაიკითხონ.

- **რეკომენდაცია:** მასწავლებელმა ყურადღება გაამახვილოს პიროვნების როლზე წესების დაცვაში, საზოგადოებრივი ჯგუფების (მაგ., ეს კლასი უკვე საზოგადოებრივი ჯგუფია).

- მასწავლებელი მუშაობს მთელ კლასთან და მათთან ერთად იღებს სამუშაო პრინციპებს:
- ყველა ლიდერია
- ყველა ერთხმად აღიარებს, რომ არავინ არ იცის ყველაფერი;
- ყველამ იცის რაღაც, რისი სწავლებაც შეუძლია;
- ყველას აქვს რაღაც სასწავლი;

მასწავლებელი პრინციპებზე შეთანხმების შემდეგ მოსწავლეებს სთხოვს, წარმოადგინონ ის, რაც მხოლოდ მათ იციან და სხვამ არავინ იცის. მოსწავლეები ემზადებიან პრეზენტაციებისთვის და თანხმდებიან ვადაზე. თითოეულ მათგანს შეუძლია, წარმოადგინოს ის უნიკალური მახასიათებელი, რომლითაც ამაყობს და შეუძლია სხვას ასწავლოს და გაუზიაროს. ეს შეიძლება იყოს უცხო ენა, რომელსაც სწავლობს, ხელოსნობა, რომელიც სახლში ისწავლა, კერვა (ნებისმიერი ხელსაქმე), ცხობა, ახალი ნერგების გამოყვანა და ა.შ. სწავლების პროცესი შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე დღე/თვე. მასწავლებელი ადგენს განრიგს და სთხოვს მოსწავლეებს, დაიკავონ რიგი. სწავლების პროცესში შეიძლება მონაწილეობა მიიღოს ერთმა ან რამდენიმე ბავშვმა. მასწავლებელმა შეიძლება წააქეზოს ის და სათემო აქტივობებიც დააგეგმინოს.

რეკომენდაცია: მასწავლებელმა უნდა გააააქტიუროს თითოეული მოსწავლე, რადგან ამით იცავს პრინციპს: ყველა ლიდერია. ლიდერობა არ უნდა განიხილონ მაღალი აკადემიური მოსწრების პრიზმაში. სწორედ ამიტომ ვამახვილებთ ყურადღებას იმ ცოდნაზე, რაც უკვე აქვს მოსწავლეს.

მასწავლებელი მოსწავლეებს ჰყოფს 4 ჯგუფად. თითოეულ მათგანს ეძლევა დავალება, რომ უნდა მოემზადონ მრავალფეროვნების დღის აღსანიშნავად. ამისთვის მათ უნდა იკონტაქტონ იმ ეროვნების ადამიანებთან, რომელსაც შეარჩევენ, რათა ზუსტად შეასრულონ დავალება. ჯგუფის წევრები ინფორმაციას იღებენ თემში არსებული ეროვნული უმცირესობების შესახებ (თუ ასეთი არ არის, ჯგუფი თავად ირჩევს ხმათა უმრავლესობით. მაგ., ბოშური, რუსული, აზერბაიჯანული და ა.შ.). შეიძლება იმ ოჯახების წარმომადგენლები მათი კლასელებიც იყვნენ. შემდეგ ეკონტაქტებიან თითოეულ მათგანს, ეცნობიან, სტუმრობენ ოჯახებში და ამზადებენ დავალებას მათთან ერთად. ამ ადამიანებთან კონტაქტი დავალების აუცილებელი პირობაა, თუნდაც ერთი ოჯახი იყოს. ჯგუფის სიდიდე შეიძლება განისაზღვროს 6-7 მოსწავლით.

ჯგუფი 1: ამზადებს სიმღერებს

ჯგუფი 2: ამზადებს ცეკვებს

ჯგუფი 3: ამზადებს სამგზავრო ბროშურებს (ბროშურები მზადდება ქართულ ენაზე, მაგრამ შერჩეული ეროვნული უმცირესობის კულტურის შესახებ)

ჯგუფი 4: ამზადებს გიდებს (გიდები ემზადებიან ქართულ ენაზე, მაგრამ შერჩეული ეროვნული უმცირესობის საქართველოში ყოფნის ისტორიულ პერიოდზე, მათ დამსახურებებზე, მათ წვლილზე და ა.შ.)

მასწავლებელი ანაწილებს ჯგუფებს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ჯგუფის ვალდებულებაა, მუშაობაში ჩართოს 2-3 მშობელი მაინც, რომელთან ერთადაც განიხილავენ სათემო უსაფრთხოების საკითხს და წარმოადგენენ კლასის წინაშე. საკითხი უნდა მოიცავდეს თემში საფრთხის შემცველი აქტივობების (მაგ., უპატრონო ძაღლები, საფრთხის შემცველი შენობა-ნაგებობები, სადაც ბავშვები იყრიან თავს, არასრულწლოვნებისათვის მიყიდული ალკოჰოლისა და სიგარეტის ფაქტები და სხვ.) გაანალიზებას და პრობლემის გადაჭრის გზის შეთავაზებას.

რეკომენდაცია: მასწავლებელს შეუძლია ცვალოს თემები, ჯგუფები და მშობლები ამ კარის თემების მიხედვით, რომლესაც ბავშვები საინტერესოდ მიიჩნევენ.

პროექტი

მასწავლებელი მოსწავლეებს ინდივიდუალურად აძლევს დავალებას, რომ ჩამოაყალიბონ პროექტის იდეა, რომელიც სკოლაში მოიზიდავს თემის წევრებს, საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენელს. აუცილებელი პირობაა, რომ პროექტის იდეა იყოს ორიგინალური, ჩანდეს მისი განხორციელების გზები და ასევე მოსალოდნელი შედეგები. პროექტი აგებული უნდა იყოს მოხალისეთა ჩართულობაზე და სასურველია მასშტაბური იყოს.

მოსწავლეები ფიქრობენ იდეაზე, ემზადებიან პროექტის დასაწერად. დაწერის შემდეგ კი ის უნდა წარადგინონ მასწავლებელთან.

მასწავლებელმა ყოველ წარდგენილ იდეას უნდა დაადოს ინივიდუალური კოდი (შეიძლება ეს იყოს შემთხვევითი დანომრვა) და გამოიტანოს განსახილველად. მასწავლებელი მოსწავლეებისა და სხვა მასწავლებლების წინაშე კითხულობს მხოლოდ იდეას, ხოლო შემფასებლები 1-დან 3 ქულით (ერთი აღნიშნავს საშუალოზე დაბალს, 2 – საშუალოს, 3 - კარგს) აფასებენ მოწონებულ პროექტს. დაწუნებულს კი 0 ქულა ეწერება. გამარჯვებული თემა/თემები განხორციელდება სკოლის დირექციასთან თანამშრომლობით.

გამარჯვებულია თემა, რომელსაც ქულების დათვლის შემდეგ ყველაზე მაღალი ქულა ექნება. გამარჯვებული პროექტის განხორციელებაში ერთვება მთელი კლასი.

რეკომენდაცია: მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს იდეის ავტორის კონფიდენციალობა, სანამ გამარჯვებული იდეა არ გამოვლინდება. მასწავლებელი ლობირებს პროექტს დირექციასთან. შეფასების ჯგუფში უნდა ჩაერთონ მასწავლებლები, რომლებიც ბავშვების შერჩეულნი იქნებიან. მათ შორის სასურველია იყოს კლასის დამრიგებელი.

ცნება:
დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები – ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები

კომპლექსური/პროექტული დავალებები

• მოცემულ სიტიაციებში აღწერილ გარემოებებს, მასწავლებელი აკავშირებს ბავშვის უფლებათა კონვენციას, ანალიზის საფუძველზე ამოიცნობს, რომელი უფლებები ირღვევა, რატომ და რა შედეგი შეიძლება მოიტანოს.

• მრავალფეროვან თემში, განსხვავებული შეხედულებების, ინტერესებისა და ღირებულებების მქონე ადამიანების თანაცხოვრებას უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების აღიარება და პატივისცემა, მოსწავლეები ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის გაანალიზების საფუძველზე ქმნიან, განიხილავენ და წარადგენენ პოსტერს საკუთარ თემში, სკოლაში, სამეზობლოში, საავადმყოფოში, მაღაზიებში – რატომ უნდა დავიცვათ ჩვენი უფლებები და მივიღოთ მონაწილეობა გადაწყვეტილებებში, რომელიც ჩვენ გვეხება.

• მოსწავლეები ქმნიან წესებს სკოლაში, თემში, სამეზობლოში, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიანობას და მშვიდობიან თანაარსებობას მის გარშემო. ავრცელებენ სხვადასხვა სახით: ბუკლეტების, პრეზენტაციის, გაზეთის საშუალებით.

ცნება:
ინიციატივა – დაგეგმვა, პროფესია, ფინანსები

კომპლექსური/პროექტული დავალებები

- მოსწავლეები იკვლევენ თემში არსებულ პრობლემებს (ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელების კონტროლი, დასუფთავება, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზება და სხვა), გამოკვეთენ პრიორიტეტულ საკითხებს, გეგმავენ აქტივობებს და განსაზღვრავენ, რომელი აქტივობის დროს რა პროფესიის ადამიანებს უნდა მიმართონ და განახორციელონ თავიანთი ინიციატივის ადვოკატირება.
- მოსწავლეები ადგენენ გრაფიკს საცხოვრებელი ადგილის მიმდებარე ტერიტორიის, სკვერის დასუფთავების აქციისათვის.

ცნება:
სამოქალაქო მონაწილეობა – მოხალისეობა, ადვოკატირება, ლობირება

კომპლექსური/პროექტული დავალებები

მოსწავლეები მონაწილეობის დონეების განხილვის საფუძველზე, გეგმავენ საქველმოქმედო აქციას იმ ადამიანებისთვის, რომლებიც საჭიროებენ ზრუნვას, დახმარებას. ადგენენ გეგმას, როდის, რა ფორმით და რა ვადებში განახორციელებენ აქციას. მოსწავლეები ქმნიან სამოქალაქო, ეკოლოგიურ, ნორჩ მეცნიერთა კლუბებს, კონკრეტულად განსაზღვრავენ კლუბების შინაარსის მიხედვით მისიასა და მიზნებს, გეგმავენ სამოქმედო ამოცანებსა და გზებს. იღებენ პასუხისმგებლობას გარკვეულ საქმიანობებზე, ლიდერები ახდენენ ადვოკატირებას დაფინანსების მოძიების მიზნით საკუთარი თემის თვითმმართველობებთან.

ცნება:
მდგრადი განვითარება - სამოქალაქო უსაფრთხოება

კომპლექსური/პროექტული დავალებები

- მოსწავლეები განიხილავენ უსაფრთხოების სახეებს და შეუსაბამებენ საფრთეებისგან თავის არიდებისა და პრევენციის გზებს მასალის საფუძველზე, დაკვირვების საფუძველზე აღწერენ თემში საფრთხის შემცველ გარემოებებს, აკეთებენ ჩანაწერებს და ფოტო ალბომს.
- მოსწავლეები სწავლობენ, რამდენი ქვეითთა გადასასვლელია მათი საცხოვრებელი სახლის მიდამოებში, დაკვირვების საფუძველზე ადგენენ, რამდენი ადამიანი სარგებლობს ზებრით და შუქნიშნით, იცავენ თუ არა საგზაო უსაფრთხოების წესებს, ამზადებენ ფალერებს და აკრავენ გადასასვლელების, სახლის, სკვერის მიდამოებში.
- მოსწავლეები იყენებენ სოციალურ ქსელს და ავრცელებენ ინფორმაციას სოციალური ქსელით სარგებლობის საფრთხეების შესახებ, ნებადართული ასაკისა და უსაფრთხოების წესების შესახებ. დამუშავებული მასალის საფუძველზე თანატოლებს აძლევენ რეკომენდაციებს.

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

• თემში არსებული სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემების (დაწერილი და დაუწერელი წესების თანაარსებობა, არასრულწლოვანთა დანაშაული, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება, ბუნებრივი საფრთხეები) იდენტიფიცირება; საკუთარი ჩართულობით მათ გადაჭრაზე ზრუნვა **(მოქ.საბ.2,4,5,7,8,9,10,11,12,13);**
• სათემო აქტივობების დაგეგმვისას განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან თანამშრომლობა; თემში მცხოვრები ყველა ადამიანის ინტერესის გათვალისწინება **(მოქ. საბ.1,2,3,4,5,6,8,9,12);**
პირადი და სათემო აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელებისას მდგრადი განვითარებისა და დემოკრატიის პრინციპების (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა) გათვალისწინებით მოქმედება **(მოქ.საბ.1,2,3,4,5,6,7,8,9,10,12).)**

მკვიდრი წარმოდგენები:

• თემში განსხვავებული შეხედულებების, ინტერესებისა და ღირებულებების მქონე ადამიანები ცხოვრობენ, თუმცა მათ საერთო საზრუნავი აერთიანებთ;
• თემის ყოველდღიურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა/ჩართულობა მასზე ზრუნვას ნიშნავს;
• ადამიანის ღირსების პატივისცემა აუცილებელია თემში მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის;
• თემის წევრები ქმნიან ამხანაგობებს საერთო პრობლემების მოსაგვარებლად და ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

კარი 2. სასკოლო გარემო/ სასკოლო საზოგადოება

საათების რაოდენობა: 13 სთ.

სასკოლო გარემო/სასკოლო საზოგადოება	**საკვანძო შეკითხვები**
21. სასკოლო კულტურა	• როგორ და რატომ ვთანხმდებით ღირებულებებზე სკოლაში? როგორ აისახება ეს შეთანხმება ჩვენს ქცევაზე?
22-23. დემოკრატიული სკოლა	• რატომ არსებობს სკოლაში თვითმმართველობა? როგორ უნდა გამოვიყენოთ იგი საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, ინიციატივების რეალიზაციისთვის?
24. ჩვენ სკოლაში	• როგორ შეიძლება, პირადი (პერსონალური) ინფორმაციის გამჟღავნებამ გავლენა მოახდინოს სასკოლო ურთიერთობებზე? რატომ ყალიბდება სკოლაში სტერეოტიპები (მაგალითად, ბიჭებისა და გოგოების არათანაბარი შესაძლებლობების შესახებ)?
25-26. თვითშეფასება და თავდაჯერებულობა	• რა და როგორ აყალიბებს სკოლაში არსებულ ჯგუფებს ერთიან სასკოლო საზოგადოებად?
27-28. ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია	• როგორ გავხდე სასკოლო საზოგადოების წევრი? რა მიშლის ამაში ხელს?
29. ბულინგი	• როგორ უნდა გადავჭრათ სკოლაში არსებული სირთულეები არაძალადობრივი მეთოდებით?
30-31. კონფლიქტები ჩვენ გარშემო	• რატომ და როგორ უნდა ვითანამშრომლოთ სკოლაში განსხვავებული შეხედულებების /შესაძლებლობების/ წარმოშობის ადამიანებმა? რატომ უარესდება ურთიერთობები სკოლაში პიროვნული ღირსებების შელახვის შემთხვევაში?
32. როგორ დავიცვათ საკუთარი და გარშემო მყოფთა უსაფრთხოება	• როგორ და რატომ უნდა ვიზრუნოთ სკოლის უსაფრთხოებისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე?
33. შემაჯამებელი გაკვეთილი. **SWOT**	• როგორ და რაში იხარჯება სკოლის ფინანსები?

ცნება:
სოციალიზაცია – მე, პიროვნება, საზოგადოება, საზოგადოებრივი ჯგუფები

კომპლექსური/პროექტული დავალებები

- მოსწავლეები საუბრობენ მათ სასწავლო საჭიროებებზე, მათთვის კომფორტულ გარემოებებზე, პატივისცემისა და თვითრეალიზაციისათვის აუცილებელ საკლასო კულტურაზე, ავსებენ ფლიფჩარტზე ჩამონათვალს და ეცნობიან ერთმანეთის საჭიროებებს, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში მიაწერონ ცხრილს ვისი დახმარება შეუძლიათ და შეთანხმდნენ თანამშრომლობის ვადებსა და პირობებს.

მაგალითად

სახელი	**საჭიროება**	**მე ვეხმარები**	**დრო**
მაია	მათემატიკის დავალების ახსნა	გიორგი	---
რატი	დახმარება ისტორიაში	ნათია	---
თომა	კალათბურთის თამაში	სანდრო	---
თათა	დახმარება ქართულის თემის დაწერაში	ნია	---

- მოსწავლეები კლასში ადგენენ კითხვარს ერთმანეთის ინტერესებისა და უნარების დასადგენად, მსჯელობენ ინტერესთა მსგავსებასა და განსხვავებებზე, ინტერესთა გათვალისწინებით გეგმავენ ჯგუფურ აქტივობებს.

ცნება:
დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები – ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები

კომპლექსური/პროექტული დავალებები

- მოსწავლეები სკოლის შინაგანაწესის განხილვის საფუძველზე ქმნიან კლასის წესების კრებულს. არჩევნების გზით ირჩევენ კლასის პასუხისმგებელ ლიდერთა ჯგუფს, რომელიც ინაწილებს პასუხისმგებლობებს კლასის საქმიანობებსა და სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის შესახებ.
- მოსწავლეები სკოლის სტრუქტურის გაცნობის შემდეგ სკოლის თვითმმართველობის აჩევნებში წარადგენენ კანდიდატურებსა და პროგრამებს. კლასი კანდიდატების პრეზენტაციებისა და განხილვების შემდეგ ირჩევს წარმომადგენელს სკოლის თვითმმართველობაში.

ცნება:
ინიციატივა – დაგეგმვა, პროფესია, ფინანსები

კომპლექსური/პროექტული დავალებები

- მოსწავლეები სასკოლო გარემოს სესწავლის შემდეგ წარადგენენ გამწვანების გეგმას სკოლის სამეურვეო საბჭოსთან, ლობირებისთვის მიმართავენ ბიოლოგიის ან ბუნებისმეტყველების მასწავლებელს.
- მოსწავლეები უსაფრთხოების წესების განხილვის შემდეგ იკვლევენ, არის თუ არა მათ სკოლაში უსაფრთხოების წესები დაცული, არის თუ არა სახანძრო უსაფრთხოების ნიშნები და იცის თუ არა მათი ამოცნობა სკოლის მოსწავლეებმა. შემდეგ ქმნიან სკოლის საევაკუაციო გეგმას, მარტივი/გასაგები ნიშნებით, აკეთებენ პრეზენტაციას სკოლის თვითმმართველობასთან და დირექციათან, განათავსებენ თვალსაჩინო ადგილას და მორიგეობით აცნობენ ყველა დაიტერესებულ მოსწავლესა და მასწავლებელს.
- მოსწავლეები სკოლის დირექციასთან წარადგენენ ინიციატივას სკოლაში მათთვის საინტერესო პროფესიების წარმომადგენელთა მოწვევის შესახებ.

ცნება:
სამოქალაქო მონაწილეობა – მოხალისეობა, ადვოკატირება, ლობირება

კომპლექსური/პროექტული დავალებები

- მოსწავლეები იკვლებენ სკოლის პრობლემებს, გამოკითხავენ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, გამოავლენენ სკოლაში არსებულ საჭიროებებს და გეგმავენ შესაბამის აქტივობებს: აწყობენ საინფორმაციო შეხვედრებს თანატოლებთან, განიხილავენ, სკოლაში ვის მიმართონ და წარადგენენ საკითხს დირექციასთან, სამეურვეო საბჭოსთან და სკოლის თვითმმართველობასთან, მაგალითად: სპორტული მოედნის კეთილმოწყობა, სამედიცინო კაბინეტის მოწყობა ან ფსიქოლოგის მოწვევა.
- მოსწავლეები დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის შეიმუშავებენ თანამშრომლობის გეგმას, მაგალითად, კლასის საათებზე სკოლის ცხოვრების გაცნობა, უსაფრთხოების წესების გაცნობა, უფლებებისა და მოვალეობების განხილვა, როგორია ვიყო უფროსკლასელი, რატომ უნდა დავიცვა ცხოვრების ჯანსაღი წესი, საინტერესო საბავშვო ლიტერატურის წაკითხვა.

ცნება:
მდგრადი განვითარება – სამოქალაქო უსაფრთხოება

კომპლექსური/პროექტული დავალებები

- მოსწავლეები ამზადებენ საინფორმაციო ბუკლეტებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ამოიცნონ ბულინგის ფაქტები, როგორ მოახდინონ რეაგირება და ვის მიმართონ. ბუკლეტებს არიგებენ სკოლაში და აკრავენ თვალსაჩინო ადგილებზე.
- მოსწავლეები ქმნიან „რეაგირების გუნდს“, რომელიც მოსწავლეებს აწვდის მათი უსაფრთხოებისთვის, კონფლიქტის მოგვარების გზების შესახებ აუცილებელ ინფორმაციას, ბულინგის ფაქტების დაფიქსირების შემთხვევაში მიმართავენ სკოლის დირექციას და დამრიგებელს. ამზადებენ საინფორმაციო ფლაერებს პერსონალური ინფორმაციების შესახებ და არიგებენ კლასებში.
- მოსწავლეები დირექციასთან შეთანხმებით გამოყოფენ ერთ კონკრეტულ დღეს, წინასწარ შერჩეული ფილმების ყურების შემდეგ განიხილავენ და აწყობენ დისკუსიას.

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სკოლაში არსებული სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემების (ჩაგვრა (ბულინგი), განათლების უფლების რეალიზაცია, უსაფრთხო სკოლა) იდენტიფიცირება; საკუთარი ჩართულობით მათ გადაჭრაზე ზრუნვა **(მოქ.საბ. 2,4,5,7,8,9,10,11,12,13;);**
- სასკოლო თვითმმართველობაში (სასკოლო კლუბები, თანატოლთა მედიაცია) მონაწილეობა; საჭიროების შემთხვევაში, სკოლაში არსებულ სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან (დირექციასთან, სამეურვეო საბჭოსთან) თანამშრომლობა **(მოქ. საბ.1,2,3,4,5,7,8, 9,12,13);**
- სასკოლო აქტივობების დაგეგმვისას განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან თანამშრომლობა და მათი ინტერესების გათვალისწინება **(მოქ.საბ. 1,2,3,4,5,6,8,9,12);**
- პირადი და სასკოლო აქტივობების დაგეგმვისას მდგრადი განვითარებისა და დემოკრატიის პრინციპების (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა) გათვალისწინებით მოქმედება **(მოქ.საბ. 1,2,3,4,5,6,7,8,9,10,12).**

მკვიდრი წარმოდგენები

- სასკოლო საზოგადოებას თავისი წესები და ღირებულებები აქვს; მე, როგორც სასკოლო საზოგადოების წევრს, ჩემი უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები მაქვს;
- სასკოლო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა სკოლაზე ზრუნვას ნიშნავს;
- მოსწავლეებს საკუთარი იდეების, ინტერესებისა და ინიციატივების რეალიზება თვითმმართველობის საშუალებით შეუძლიათ;
- ადამიანის ღირსების პატივისცემა აუცილებელია სკოლაში მშვიდობიანი ურთიერთობებისთვის; სკოლაში კონფლიქტური სიტუაციების არაძალადობრივად მოგვარების მრავალი საშუალება არსებობს.

კარი 3. ჯანსაღი ცხოვრება

საათების რაოდენობა: 7 სთ.

ჯანსაღი ცხოვრება	**საკვანძო შეკითხვები**
34-35. როგორ ვიზრუნო ფიზიკურ სიჯანსაღეზე	• რატომ და როგორ უნდა ვიზრუნო საკუთარ ჯანმრთელობაზე? • როგორ შეიძლება დაგვეხმაროს (ბიჭებსაც და გოგოებსაც) ფიზიკური აქტივობა (მაგალითად, ვარჯიში) საზოგადოებაში თვითდამკვიდრებაში? • რატომ მიიჩნევა პირადი ჰიგიენისთვის საჭირო ნივთები (სარეცხი საშუალება, საპონი, კბილის ჯაგრისი) პირველადი მოხმარების საგნებად?
36. ადრეული ქორწინება	• რატომ არის ადრეული ქორწინება ადამიანის უფლებების დარღვევა? რატომ უშლის იგი ხელს მის საზოგადოებაში თვითდამკვიდრებას?
37-38. რა არის ადიქცია, ანუ მიჯაჭვულობა	• რატომ არის კონკრეტული ადამიანის ადიქციური ქცევა მთელი საზოგადოების პრობლემა? • რატომ და როგორ გადაიქცევა სხვადასხვა ქმედება ადიქციურ ქცევად? როგორ ვთქვა „არა“ არასასურველ შემოთავაზებაზე?
39-40. შემაჯამებელი გაკვეთილი. კვლევა	• აღემატება თუ არა დაავადებათა პრევენციაში დახარჯული თანხები მკურნალობაში დახარჯულ თანხებს?

ცნება:
სოციალიზაცია – მე, პიროვნება, საზოგადოება, საზოგადოებრივი ჯგუფები

კომპლექსური/პროექტული დავალებები

მოსწავლეები წინასწარ შედგენილი კრიტერიუმების საფუძველზე აწარმოებენ დაკვირვებას სკოლის ბუფეტში გასაყიდი საკვების ვადებზე, შემოთავაზებულ რაციონში რამდენი პროცენტია ჯანსაღი საკვები და რომელ პროდუქტზეა ყველაზე მეტი მოთხოვნა. ამზადებენ კითხვარს დიდ ფლიპჩარტზე, აკრავენ სკოლის ბუფეტში კედელზე და სთხოვენ მოსწავლეებს ჩამონათვლის გასწვრივ აღნიშნონ სასურველი პასუხი.

პროდუქტების ჩამონათვალი, რომელიც იყიდება ბუფეტში; ათვალი, რომელიც უყვართ	პროდუქტების ჩამონათვალი, რომელიც უყვართ	მათი აზრით, რომელია ჯანსაღი პროდუქტი	რას ყიდულობენ ყველაზე ხშირად?
1			
2			

მოსწავლეები თანხმდებიან ვადებზე, აჯამებენ შედეგებს და განათავსებენ სკოლის გვერდზე.

მოსწავლეები გეგმავენ კვლევას მშობლებთან ერთად – რამდენი აფთიაქი, საავადმყოფო და სამკურნალო დაწესებულებაა ირგვლივ, რომელი მედიკამენტებია ყველაზე გაყიდვადი და რა სახის დაავადებები ფიქსირდება ყველაზე ხშირად. კვლევის შედეგების დაჯამების შემდეგ პრევენციის გზების გაცნობის მიზნით მიმართავენ სკოლის ექიმს.

ცნება:
დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები – ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები

კომპლექსური/პროექტული დავალებები

- მოსწავლეები ბავშვის უფლებათა კონვენციიდან ირჩევენ იმ მუხლებს, რომლებიც ბავშვის ჯანმრთელობასა და განათლებას ეხება, მუხლების შესაბამისად მოსწავლეები ქმნიან კარიკატურებს, სადაც ასახულია მათი აზრით უფლებების შესაბამისი გარემოებები, მაგალითად დამოკიდებულება თამბაქოზე, ნაადრევი ქორწილების შედეგი ჯანმრთელობაზე, ადიქციაზე. მოსწავლეები წარადგენენ გალერეაში თავინთ ნამუშევრებს და აწყობენ პრეზენტაციებს. წარმართავენ დისკუსიას, როგორ უზრუნველყოფს კანონი ბავშვთა მოცემული უფლებების დაცვას.

- მოსწავლეები კლასში აწტობენ დისკუსიას თემაზე, რამდენად დაცულია ბავშვი ინტერნეტსაფრთხეებისგან, მავნე ზეგავლენებისგან, როგორ უზრუნველყოფს კანონი კიბერუსაფრთხოებას არასრულწლოვანთა მიმართ. ხმის მიცემის გზით ადგენენ გაკვეთილზე ინტერნეტის არასაგაკვეთილო მიზნებისთვის გამოყენების შეზღუდვისა და აკრძალვის წესებს.

ცნება:
ინიციატივა – დაგეგმვა, პროფესია, ფინანსები

კომპლექსური/პროექტული დავალებები

- მოსწავლეები ადგენენ სპორტული აქტივობების კალენდარს, სადაც ჩამოთვლილია სპორტული თამაშები, ისინი მათთვის ხელსაყრელ დროს ეწერებიან სპორტულ აქტივობებში. დავალებად ეძლევათ ინფორმაციის მოძიება და წარდგენა ჯგუფთან, სპორტის იმ სახეობის შესახებ, რომელსაც აირჩევენ.

- მოსწავლეები იღებენ სოციალურ რეკლამებს, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით, ქმნიან ბლოგს „ჩემი სწორი არჩევანი“, ბლოგზე განთავსებულ სოციალურ რეკლამებს განიხილავენ წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით და ხმის მიცემით გამოავლენენ საუკეთესოს, რომელიც გამოქვეყნდება სკოლის ვებგვერდზე.

ცნება:
სამოქალაქო მონაწილეობა – მოხალისეობა, ადვოკატირება, ლობირება

კომპლექსური/პროექტული დავალებები

- მოსწავლეები, სკოლის დირექციასთან შეთანხმებით, ერთი დღის განმავლობაში ირგებენ სხვადასხვა პროფესია სკოლაში, მაგალითად, სკოლის დირექტორი ,სასწავლო ნაწილის გამგე, მასწავლებელი, სამნეო ნაწილი, მანდატური. მათ მიერ არჩეული როლები უნდა შეასრულონ სკოლაში შესაბამის ადამიანებთან ერთად და მიიღონ გადაწყვეტილებებში მონაწილეობა, დღის ბოლოს განიხილონ, რა სირთულეებს წააწყდნენ, რაზე შეეცვალათ შეხედულებები, რა უნარები დასჭირდათ დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას.

- მოსწავლეები გეგმავენ დებატებს თემაზე;

✓ ადრეული ქორწინება ადამიანის უფლებების დარღვევაა.
✓ არაჯანსაღ მიჯაჭვულობას (ნარკოტიკი, ალკოჰოლი, თამბაქო) განაპირობებს გარემო.

არგუმენტების და ქეისის მოსამზადებლად მოსწავლეები ამუშავებენ შესაბამის ლიტერატურას, მოიძიებენ სტატისტიკას, აკეთებენ ინტერვიუებს კომპეტენტურ ადამიანებთან.

ცნება:
მდგრადი განვითარება – სამოქალაქო უსაფრთხოება

კომპლექსური/პროექტული დავალებები

- მოსწავლეების მიერ მშობელთა ფორუმის ორგანიზება, სადაც განიხილავენ ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობას, მაგალითებს, რომლებსაც ბავშვები ყოველდღიურ ცხოვრებაში ხედავენ. შეიმუშავებენ სტრატეგიულ გეგმას მშობელთა ჩართულობით და ჩამოაყალიბებენ ცხოვრების ჯანსაღი წესის მნიშვნელოვან საკითხებს კვების, სპორტული აქტივობებისა და შემეცნებითი სემინარების შესახებ.

შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- პირადი ჰიგიენისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვის საჭიროებაზე მსჯელობა; მათი დაცვისას წარმოქმნილი (ჯანსაღი კვება, ასაკობრივი თავისებურებები) სირთულეების გაანალიზება **(მოქ.საბ. 1,2,3,6,7,9,10);**
- საკუთარი ფიზიკური აქტივობებისა და ჯანსაღი კვების რეჟიმის დაგეგმვა (მოქ. საბ.1,3,5,7,10);
- ადამიანსა და საზოგადოებაზე ადიქციის სხვადასხვა ფორმის მავნე ზემოქმედების შედეგების გაანალიზება **(მოქ. საბ.2,3,4,5,7,8,9,10,11,12);**
- საკანონმდებლო დოკუმენტებზე დაყრდნობით იმის გაანალიზება, თუ რა შეიძლება გახდეს ჯანმრთელობისა და განათლების უფლების დარღვევის საფუძველი (ადრეული ქორწინება, არასრულწლოვანთა შრომითი ექსპლუატაცია) **(მოქ.საბ. 1,3,4,5,6,7,8,9,10,12,13).**

მკვიდრი წარმოდგენები

- პირად ჰიგიენაზე ზრუნვა არა მხოლოდ საკუთარ ჯანმრთელობასა და თავდაჯერებულობას, არამედ ირგვლივ მყოფთა კომფორტსაც განაპირობებს;
- ჯანსაღი კვება და ვარჯიში ჯანმრთელობისა და სილამაზის საფუძველია;
- დამოკიდებულებასთან (მაგალითად, კიბერადიქცია ან თამბაქოზე დამოკიდებულება) გამკლავება ინდივიდუალური ნებისყოფითა და საზოგადოების მხარდაჭერითაა შესაძლებელი;
- ადრეული ქორწინება ხელს უშლის პიროვნულ ზრდასა და განვითარებას, იგი ხშირად წარმოადგენს ადამიანის უფლებათა (რეპროდუქციული ჯანმრთელობის, განათლების და სხვ.) დარღვევის საფუძველს;
- ჯანმრთელობაზე ზრუნვა დაავადებებისაგან და გაუთვალისწინებელი ფინანსური ხარჯებისაგან გვიცავს.

კარი 4. ბუნებრივი გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა

საათების რაოდენობა: 5 სთ.

ბუნებრივი გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა	**საკვანძო შეკითხვები**
41-42. ჩემი კულტურა ჩემი სიმდიდრეა	• რატომ არის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, წარსულის პატივისცემასთან ერთად, მის აწმყოსა და მომავალზე ზრუნვაც? • რატომ და როგორ უნდა ვიზრუნო კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე?
43-44. ბუნებასა და კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა ქვეყანაზე ზრუნვას ნიშნავს	• რატომ და როგორ უწყობს ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ხელს მხარის/თემის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას? • რატომ არის რესურსების რაციონალური გამოყენება (წყლის ეკონომიური მოხმარება, რესურსების მეორადი გადამუშავება) სამოქალაქო ცნობიერების გამოვლინება?
45. შემაჯამებელი გაკვეთილი	• რატომ უნდა ვიზრუნოთ გარემოზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესში ვერ დავინახავთ მომენტალურ შედეგებს?

ცნება:
სოციალიზაცია – მე, პიროვნება, საზოგადოება, საზოგადოებრივი ჯგუფები

კომპლექსური/პროექტული დავალებები

იდეების მოედანი
მასწავლებელი კლასიდან ირჩევს სამ მიდერატორს. თითოეულმა მოდერატორმა ერთსა და იმავე დროს, სხვადასხვა საკლასო ოთახში ან ერთი სივრცის სამ სხვადასხვა კუთხეში უნდა მოაწყონ თავიანთი მოედნები და მიიზიდონ სადისკუსიო საკითხზე კლასელები. ყველა მოდერატორი ცდილობს, მისი ჯგუფი შემოიკრიბოს. მონაწილეებს შეუძლიათ იარონ ჯგუფებში და საბოლოოდ აირჩიონ ის, რომელიც ყველაზე მეტად მოეწონებათ. იდეების მოედანზე შეკრებილი მონაწილეები ებმებიან კამათში, ახალ აზრებს ავითარებენ, აფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებებს და ა.შ. საკითხები, რომლებიც მოდერატორებს მიეცემათ მოსამზადებლად, კლასმა არ უნდა იცოდეს. მათ აქ შესწავლილი მასალის ცოდნა უნდა გამოავლინონ. პირველი მოდერატორის საკითხი: რატომ უნდა ვიზრუნო კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე? მეორე მოდერატორის საკითხი: როგორ უკავშირდება ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა თემის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას? მესამე მოდერატორის საკითხი: რატომ უნდა ვიზრუნო გარემოზე, როცა ვერ ვხედავ მომენტალურ შედეგს? რეკომენდაცია: მასწავლებელი წინასწარ ეხმარება მოდერატორებს საკითხების მომზადებაში.

მოდერატორი მხოლოდ პროვოცირებას ეწევა და არ ებმება კამათში. იგი დისკუსირებს მხოლოდ მაშინ, როცა მაპროვოცირებელ კითხვებს სვამს, ეჭვს გამოთქვამს და იწვევს მონაწილეებს და თუ დისკუსიაში არავინ ებმება, ცდილობს გამოწვევას. მასწავლებელს შეუძლია, რამდნჯერმე ჩაატაროს იდეების მოედანი სხვადასხვა საკითხზე და ცვალოს მოდერატორები.
ცნება: **დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები – ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები**
კომპლექსური/პროექტული დავალებები დემოკრატიის ტრიბუნა მასწავლებელი ამზადებს ტრიბუნას (შეუძლია სახელდახელოდ ააწყოს იგი მუყაოს ქაღალდებისგან ან გამოიყენოს მასწავლებლის მაგიდა. მოსწავლემ თავი უნდა იგრძნოს ტრიბუნასთან და დაიცვას სიტყვით გამოსვლის წესები. მოსწავლეებს ევალებათ მოამზადონ 3-წუთიანი სიტყვა აუდიტორიის წინაშე წარსადგენად, რომელიც შეეხება სკოლაში დემოკრატიის დამკვიდრებას. სიტყვა უნდა მოიცავდეს შემდეგ სტრუქტურულ მონაკვეთებს: 1. არსებულით უკმაყოფილება რაში გამოიხატება (რა არ მოსწონს სკოლაში); 2. როგორია მისი ხედვა (როგორი უნდა იყოს სამომავლოდ ის, რაც არ მოსწონს); 3. რა იქნება მისი პირველი ნაბიჯები სასურველის მისაღწევად (რას გააკეთებს პირველად, საიდან დაიწყებს). სამივე პირობა ნათლად და არგუმენტირებულად უნდა იყოს გამოკვეთილი 3-წუთიან მოხსენებაში. რეკომენდაცია: მოხსენებას აკეთებს ყველა მოსწავლე. სიტყვით გამოსვლისას, სასურველია, თითოეული მოსწავლის გამოსვლა მარტივად, ტელეფონებით გადაიღონ ბავშვებმა და თვითშეფასება გააკეთონ საკითხის წარმოჩენისა და პრეზენტაციის ირგვლივ, – დაფიქრდნენ და იზრუნონ შეცდომების გამოსწორებასა და უნარ-ჩვევების გაძლიერებაზე.
ცნება: **ინიციატივა – დაგეგმვა, პროფესია, ფინანსები**
კომპლექსური/პროექტული დავალებები მოსწავლეებმა უნდა აწარმოებენ დღიურები. დღიურების წერისას მათ უნდა გამოიყენონ სიტყვები: ბუნება, სოციალიზაცია, მემკვიდრეობა, კულტურა, დემოკრატია, მონაწილეობა, მოხალისეობა, ვანდალზმი, ბრაკონიერობა, ტოლერანტობა, კანონი, მატერიალური, არამატერიალური, მდგრადი განვითარება, ღირებულება, ადამიანის უფლებები, თანასწორობა, ინკლუზია. მოსწავლეებმა დღიურების წერისას უნდა დაიცვან ერთი პირობა: უნდა იყონ გულწრფელები და დაწერონ მხოლოდ ის, რასაც ფიქრობენ. მასწავლებელი მოსწავლეებს აფრთხილებს, რომ დღიურების წერისას გამოყენებული სიტყვა, შეუძლიათ რამდენჯერმე სხვადასხვა კონტექსტში გამოიყენონ. დღიურების წერა მათ შეუძლიათ, სახლშიც და სკოლაშიც. მასწავლებელი და კლასი ნამუშევარს გაეცნობიან მხოლოდ ავტორის სურვილს შემთხვევაში.

ცნება:
სამოქალაქო მონაწილეობა – მოხალისეობა, ადვოკატირება, ლობირება

კომპლექსური/პროექტული დავალებები

მასწავლებელი მოსწავლეებს უცხადებს, რომ უნდა შექმნან სათემო მუზეუმი. მუზეუმში უნდა განთავსდეს ის ექსპონატები, რომლებიც ქვეყნის მატერიალურ და არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას მიეკუთვნება, ასევეექსპონატები უნდა შეგროვდეს ყველა სახის ტურიზმის მიმართულებით (აგროტურიზმი, გასტრონომიული ტურიზმი, კულტურული ტურიზმი, კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმი, ეკოტურიზმი, რელიგიური ტურიზმი, ველური ბუნების ტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი), რომელიც კონკრეტული თემისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელია; მუზეუმის ერთი კუთხე დაეთმობა პოლიფონიურ მუსიკას, ენას და ისეთ ექსპონატებს, რომლებიც ჩამოთვლილ მიმართულებებში არ იგულსხმება. მასწავლებელი მოსწავლეებს ჰყოფს ჯგუფებად. ჯგუფებმა უნდა იმუშაონ შემთხვევითობით შერჩეული თემის მიხედვით (მასწავლებელი თემებს წერს ბარათებზე და ბარათებს იღებენ ჯგუფები). ჯგუფები იწყებენ მასალის შეგროვებას ნებისმიერი სახით (ნახატი, ესკიზი, ნაძერწი, მუსიკა, წიგნი, მოდელი, ვიდეომასალა და სხვ.). მოსწავლეები არჩევენ არა მარტო ექსპონატებს (წიგნი, მცენარე, ყვავილი, ნახატი, მაკეტი და სხვ.), არამედ მუზეუმის ფორმას (მრგვალი, კვადრატული, ელიპსის ფორმის და ა. შ.), მასალას (ხის იქნება, ქვის, ქაღალდის და სხვ.), ადგილს თემში და ა.შ. რეკომენდაცია: მრავალრიცხოვან კლასში მასწავლებელმა მოსწავლეები შეიძლება, 3-5კაციან ჯგუფებად დაჰყოს, მცირერიცხვოვან კლასებში კი ორკაციან ჯგუფებს შეიძლება, დავალება გაუგრძელდეს ისე, რომ ყველა მიმართულება ამოწურონ რამდენიმე გაკვეთილში.

ცნება:
მდგრადი განვითარება – სამოქალაქო უსაფრთხოება

წლის კალენდარი მდგრადი განვითარებისათვის
მასწავლებელი მოსწავლეებს ჰყოფს ჯგუფებად და გადაანაწილებს წლის თვეებს. პირველი ჯგუფი არის იანვარი, თებერვალი, მარტი, მეორე ჯგუფი - აპრილი, მაისი, ივნისი, მესამე ჯგუფი - ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, მეოთხე ჯგუფი - ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი. მოსწავლეები მათი თვეების მიხედვით ადგენენ მდგრადი განვითარების კალენდარს. კალენდარი ეყრდნობა მდგრადი განვითარების 17 მიზანს:

მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა.
მიზანი 2: შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა.
მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის.
მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის.
მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება.
მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა.
მიზანი 7: ხელმისაწვდომი, საიმედო, სტაბილური და თანამედროვე ენერგიის საყოველთაო ხელმისაწვდომობა.

კომპლექსური/პროექტული დავალებები

მიზანი 8: სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტიული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის.
მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა.
მიზანი 10: უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის.
მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.
მიზანი 12: მდგრადი მოხმარება და წარმოება.
მიზანი 13: კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება.
მიზანი 14: ოკეანისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და მუდმივი გამოყენება განვითარებისათვის.
მიზანი 15: დედამიწის ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა და მდგრადი გამოყენება, ტყეების გონივრული მართვა, გაუდაბურების აღკვეთა, ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა-გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება.
მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე.
მიზანი 17: პარტნიორობა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად.

სამ ჯგუფს მიეცემა 4-4 მიზანი, ხოლო ერთი ჯგუფი იმუშავებს 5 მიზანზე.
მოსწავლეები თითოეულ მიზანთან დაკავშირებით აწესებენ დღეს/დღესასწაულს, რომელიც უნდა იქცეს იმ მიზანში წამოჭრილი პრობლემის ერთგვარი მოგვარების აქტივობად (მაგ., მეორე მიზანი არის შიმშილობის აღმოფხვრა. ჯგუფმა შეიძლება დააწესოს დახმარების დღე. წინა დღეებში მოსწავლეები ავრცელებენ თემში აქტივობის შესახებ, რომ ყველამ გაიგოს ამ დღის შესახებ და დაეხმარონ ადამიანებს. თავად მათ კი ეკლესიებში მიაქვთ სურსათი და ტოვებენ უპოვართათვის).

რეკომენდაცია: მასწავლებელი და მოსწავლეები ერთიან კალენდარს აკრავენ სკოლაში თვალსაჩინო ადგილას. სკოლის სხვა კლასები კი თავად საზღვრავენ, როგორი აქტივიბით ჩაერთვებიან ამ დღის აღსანიშნავად.

შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საჭიროების გაანალიზება **(მოქ. საბ.3,4,7,9,10,11,13);**
- საკუთარ დასახლებაში/რეგიონში არსებული ეკოლოგიური, გარემოსდაცვითი, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პრობლემების (ვანდალიზმი, ბრაკონიერობა) იდენტიფიცირება; საკუთარი ჩართულობით მათ გადაჭრაზე ზრუნვა **(მოქ.საბ.1,2,3,4,5,6, 7,8,9,10,11,12);**
- ეკოლოგიური, გარემოსდაცვითი, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზისას მდგრადი განვითარებისა და დემოკრატიის პრინციპების (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა) გათვალისწინება **(მოქ.საბ.3,4,9,10,11,13).**

მკვიდრი წარმოდგენები:

- ბუნებასა და კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა ქვეყანაზე ზრუნვას ნიშნავს;
- ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა პირველქმნილი სახით არის ღირებული;
- არსებობს მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა;
- კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა საზოგადოების კეთილდღეობას განაპირობებს;
- ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაზიანება დანაშაულია და კანონით ისჯება.

კარი 5. ეკონომიკური ურთიერთობები თემში

საათების რაოდენობა: 6 სთ.

ეკონომიკური ურთიერთობები თემში	**საკვანძო შეკითხვები**
46. პროფესიის არჩევა, მომავლის არჩევანია	• როგორ შევაფასოთ საკუთარი შესაძლებლობები? როგორ ვაკეთებთ არჩევანს?
47. ბაზარი	• რატომ არის საჭირო ფული? • როგორ ყალიბდება ბაზარი? ვინ არიან ბაზრის მონაწილეები? • როგორ თანხმდებიან ამა თუ იმ საქონლისა და მომსახურების ფასზე? რა განაპირობებს ფასების ცვალებადობას? • რატომ და როგორ უწყობს ხელს კონკურენცია ეკონომიკის განვითარებას?
48. მოხალისეობა – თავისუფალი არჩევანი	• როგორ გამოვიყენოთ საკუთარი რესურსები ჩვენი თემის სასარგებლოდ? სხვის დასახმარებლად?
49. როგორ დავგეგმო და გავანაწილო	• როგორ შევაფასოთ საკუთარი შესაძლებლობები? როგორ ვაკეთებთ არჩევანს? • რა ახდენს გავლენას ხარჯვით გადაწყვეტილებებზე? • როგორ გავარჩიოთ საჭიროება და სურვილი? როგორ ვხარჯოთ თანხა გონივრულად?
50-51. შემაჯამებელი გაკვეთილი	• რატომ და როგორ უნდა დავგეგმოთ საკუთარი ბიუჯეტი? • რატომ არის მნიშვნელოვანი დაზოგვა?

ცნება:
სოციალიზაცია – მე, პიროვნება, საზოგადოება, საზოგადოებრივი ჯგუფები

კომპლექსური/პროექტული დავალებები

- მოსწავლეები ჩამოთვლიან თავიანთ საჭიროებებს, რომელსაც უკავშირებენ კონკრეტულ, რეალურ გარემოებებს, ჩამოთვლილთაგან მოსწავლეთა ჯგუფები ირჩევენ მათი აზრით მნიშვნელოვან პროდუქტს, მომსახურებას, ნივთს. აკეთებენ რეკლამას და წარადგენენ კლასში. მნიშვნელოვანია, წინასწარ შეიმუშაონ შეფასების კრიტერიუმები, მაგალითად:

1. რამდენ ადამიანს დასჭირდება კონკრეტული პროდუქტი, ნივთი თუ მომსახურება
2. რამდენად ხელმისაწვდომია ფასის მიხედვით
3. არსებობს თუ არა მსგავსი პროდუქტი, მომსახურება თუ ნივთი

პრეზენტაციების შემდეგ ჯგუფები პასუხობენ შეკითხვებს და შესაძლებელია, დაინტერესების შემთხვევაში გაცვალონ ერთმანეთში.

- მოსწავლეებს მოაქვთ მათთვის არასაჭირო ნივთები. კლასში აწყობენ გამოფენას, წარმოდგენილი ნივთებიდან ირჩევენ მათთვის საინტერესოს და ცდილობენ გადაცვალონ ის თავის ნივთში. პროცესი გრძელდება წინასწარ გათვლილი დროის განმავლობაში. დროის დასრულების შემდეგ, განიხილავენ შედეგებს და მსჯელობენ, რა შედეგი მოუტანა მოლაპარაკების მცდელობამ, მიიღეს თუ არა სასურველი ნივთი, რამ შეუშალა ან შეუწყო ხელი.

ცნება:
დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები – ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები

კომპლექსური/პროექტული დავალებები

- მოსწავლეები მოიძიებენ ინფორმაციას სხვადასხვა საქონლის ფასების შესახებ, მათ მიერ შერჩეულ მაღაზიებში. ადარებენ ფასებს და განსხვავების შემთხვევაში მოიძიებენ ინფორმაციას ფასების ცვალებადობის შესახებ. მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე ადგენენ კითხვებს და წერენ ინტერვიუს იმ მაღაზიების მყიდველებთან, სადაც კვლევა განახორციელეს. დავალება შესაძლებელია განხორციელდეს ჯგუფებში ან წყვილებში. მოპოვებულ და დახარისხებულ ინფორმაციას ერთმანეთს წარუდგენენ კლასში, სადაც მოწვეული ჰყავთ გეოგრაფიის, მათემატიკის ან ეკონომიკის მასწავლებელი საკითხების უკეთ გასაანალიზებლად.

- მოსწავლეები გააანალიზებენ, რა განაპირობებს ადამიანის ეკონომიკურ აქტიურობას, აკავშირებენ ერთმანეთთან შრომისუნარიანობას, ხელფასის რაოდენობას და მოთხოვნილებებს, swot გამოყენებით, ჯგუფებში აფასებენ ადამიანების ფინანსურ გადაწყვეტილებებს, ნამუშევრებს წარადგენენ კლასის წინაშე და პასუხობენ შეკითხვებს

✓ მათ მახსოვრობაში რამდენჯერ შეიცვალა ფასი იმავე პროდუქციამ?

✓ მათი აზრით, რატომ იცვლება ფასები?

ცნება:
ინიციატივა - დაგეგმვა, პროფესია, ფინანსები

კომპლექსური/პროექტული დავალებები

✓ მოსწავლეები აკეთებენ გზამკვლევს ბაზარზე არსებული პროდუქტების წარმოებისთვის საჭირო რესურსების შესახებ, მაგალითად: წიგნების დამზადებისთვის აუცილებელია ხე, ბოსტნეულის მოსაყვანად აუცილებელია ნოყიერი ნიადაგი, სასმელი წყალი დამოკიდებულია ეკოლოგიურ მდგომარეობაზე და ასე შემდეგ. გზამკვლევის დამზადების შემდეგ მოსწავლეები აწყობენ პრეზენტაციებს და ავსებენ ერთმანეთის ნამუშვერებს.

✓ მოსწავლები ჯგუფებში აწყობენ სახელოსნოს სადაც დაამზადებენ ხელნაკეთ თოჯინებს, დამზადებისთვის მნიშვნელოვანია გაიწეროს შესაბამისი ბიუჯეტი, დრო და ადამიანური რესურსი. შეჯიბრებითობის პრინციპი მდგომარეობს შემდეგში:

1. ყველა ჯგუფს ეძლევა წინასწარ განსაზღვრული დრო სამუშაოს შესრულებისთვის
2. ჯგუფმა თავად უნდა გადაწყვიტოს, განსაზღვრულ დროში რამდენი თოჯინის დამზადებას შეძლებს როგორც მატერიალური, ასევე ადამიანური რესურსის გათვალისწინებით
3. სამუშაოს იწყებენ გეგმის წარდგენის შემდეგ

გამარჯვებული ჯგუფის ნამუშევრები გამოიფინება სკოლაში თვალსაჩინო ადგილას.

ცნება:
სამოქალაქო მონაწილეობა – მოხალისეობა, ადვოკატირება, ლობირება

კომპლექსური/პროექტული დავალებები

- მოსწავლეები გამოითხოვენ სკოლის დირექციიდან საჯარო ინფორმაციას კომუნალური გადასახადების შესახებ, მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეადარებენ დანახარჯებს სეზონისა და თვეების მიხედვით, როდის და რატომ იხარჯება ყველაზე მეტი თანხა ელექტროენერგიაზე, წყალსა და გაზზე. შეიმუშავებენ გამაფრთხილებელ ნიშნებს ელექტროენერგიისა და წყლის რესურსების დაზოგვასთან დაკავშირებით და განათავსებენ შესაბამის ლოკაციებზე.
- მოსწავლეები იკვლევენ, რამდენი ენერგია იხარჯება სადენში შეერთებული კომპიუტერების, ტელეფონის დამტენების შემთხვევაში, ინფორმაციის საფუძველზე ამზადებენ საინფორმაციო ბუკლეტს და არიგებენ მას დაწესებულებებში, გამგეობაში, საავადმყოფოში, აფთიაქებში.

ცნება:
მდგრადი განვითარება - სამოქალაქო უსაფრთხოება

კომპლექსური/პროექტული დავალებები

- მოსწავლეები მშობლებთან ერთად გეგმავენ ოჯახის ბიუჯეტს, პრიორიტეტების შესაბამისად ანაწილებენ თანხებს. მოსწავლე იღებს გადაწყვეტილებას, როგორ ჩაერთოს ბიუჯეტის დაგეგმვაში. იღებს პასუხისმგებლობებს საკუთარი თანხების განაწილებაში.
- მოსწავლეები იკვლევენ საკუთარ და კლასელების სურვილებსა და შესაძლებლობებს: რა ახდენს გავლენას მათ ხარჯვით ქცევებზე, მაგალითად: მეგობრები, რეკლამა თუ გარემო. რა პროირიტეტების მიხედვით გადაწყვეტენ თანხის განაწილებას. დაკვირვების საფუძველზე ადგენე საკუთარ ბიუჯეტს.

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

• საკუთარი ფინანსური შესაძლებლობებისა და კონკრეტული მიზნების შესაბამისად პირადი ბიუჯეტის დაგეგმვა **(მოქ.საბ.1,3,5,6,7,10);**
• გააანალიზოს, თუ რა განაპირობებს ადამიანების ეკონომიკურ აქტივობას; რა ლოგიკით იღებენ ისინი ამა თუ იმ ფინანსურ გადაწყვეტილებას **(მოქ.საბ.2,3,4,5,7,8,9,10,11,12,13);**
• გააანალიზოს, თუ როგორ ყალიბდება ბაზარი **(მოქ.საბ.1,2,3,4,5,6,7,8,9,10,12).**

მკვიდრი წარმოდგენები:

• გაცვლა ეკონომიკური ურთიერთობების საფუძველია;
• ჩვენი სურვილები უსასრულოა, არსებული რესურსი კი – სასრული;
• ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებამდე კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ ჩვენი სურვილები და შესაძლებლობები;
• სტაბილურ შემოსავალს შრომის სანაცვლოდ გამოვიმუშავებთ;
• ფინანსური კეთილდღეობის საწინდარი დაზოგვა და გონივრული ხარჯვაა, და არა დიდი შემოსავლები;
• ჩვენს ხარჯვით ქცევებზე გავლენას ბევრი ფაქტორი ახდენს, მათ შორის, მეგობრები, გარემო, რეკლამა;
• ბაზრის ჩამოყალიბებას მოთხოვნა-მიწოდების ბალანსი განაპირობებს;
• კონკურენციის წყალობით, ადამიანები იღებენ ინოვაციურ, ხარისხიან და ხელმისაწვდომ პროდუქციას.

გაკვეთილის გეგმების ნიმუშები

მასწავლებლის სახელი და გვარი:

საგანი:

სწავლების საფეხური / კლასი:

მოსწავლეთა რაოდენობა:

გაკვეთილის თემა: ადამიანის უფლებები (I ნაწილი)

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეები გააცნობიერებენ საკუთარი და სხვისი უფლებების დაცვის აუცილებლობას. დემოკრატიის პრინციპებს დააკავშირებენ ცხოვრებისეულ სიტუაციასთან.

N	აქტივობის აღწერა	გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ ფორმები	სასწავლო რესურსები	დრო (წთ)
1	მისალმება, განწყობა-პოზიტური მოლოდინების დასახვა არავერბალური კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით, საორგანიზაციო საკითხების მოგვარება-მორიგე მოსწავლე აწოდებს ფურცელზე სახელობით სიას თუ რომელიმე მოსწავლე არ არის	ვერბალური	საერთო საკლასო	ჟურნალი, ფურცელი	2წთ
2	მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს გაკვეთილის თემას და მიზანს. ახსენებს შეფასების კრიტერიუმებს	ვერბალური	საერთო საკლასო	შეფასების რუბრიკა	2წთ

3	მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს სახელმძღვანელოში მოცემულ სურათს (წყარო1) და სთხოვს დააკავშირონ სურათზე მოცემული საგნები უფლებებთან, რომელი საგანი რომელ უფლებას აღნიშნავს. რატომ არიან საგნები ერთმანეთის თვზე განლაგებული? რა მოხდება ნებისმიერ ერთი რომ გამოვაცალოთ?	თვალსაჩინოებითი კითხვა-პასუხი	საერთო საკლასო	სახელმძღვანელო ფლიფჩარტი, მარკერი	3წთ
4	მასწავლებელი წარმართავს ლექციას ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღებისა და მნიშვნელობის შესახებ	ინტერაქტიული მინი ლექცია	საერთო საკლასო	სახელმძღვანელო (პპ ფაილი)	5 წთ
5	მასწავლებელი ჯგუფებში დამსხდარ მოსწავლეებს აძლევს განსახილველად სახელმძღვანელოში მოცემულ სიტუაციას (აქტივობა N 1) და თხოვს შეთანხმდნენ ადამიანის რომელი უფლებები ირღვევა მოცემულ სიტუაციაში	პრაქტიკული	ჯგუფური მუშაობა	სახელმძღვანელო ფლიფჩარტი მარკერი	5წთ
6	მოსწავლეები წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევრებს კლასის წინაშე და მიმდინარეობს განხილვა	პრეზენტაცია	საერთო საკლასო	ფლიფჩარტი	6წთ

7	მასწავლებელი აძლევს წასაკითხად მოსწავლეებს სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტს, სადაც ჩამოთვლილია ადამიaანის უფლებები და სთხოვს ისინი დაალაგონ თანამიმდევრობით, მათი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანიდან ნაკლებ მნიშვნელოვნამდე და დაასაბუთონ თავიანთი არჩევანი	პრაქტიკული	ჯგუფური მუშაობა	ფლიფჩარტი მარკერი	6 წთ
8	ჯგუფებიდან წარმომადგენლები აკეთებენ პორეზენტაციებს და ასაბუთებენ თავიანთ გადაწყვეტილებებს/ პასუხობენ შემდეგ შეკითხვებს: როგორ მიხვედით დასკვნამდე? იყო თუ არა რთული ურთიერთშეთანხმების მიღწევა?	პრეზენტაცია	საერთო საკლასო	ფლიფჩარტი მარკერი	6წთ
9	მასწავლებელი წარმართავს დისკუსიას შემდეგი კითხვების გამოყენებით: რა მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებათა დეკლარაციის მიღებას? რატომ გახდა საჭირო ადამიანის უფლებების წერილობითი სახით ჩამოყალიბება? რამდენად მნიშვნელოვანია ადამინის უფლებების დაცვა დემოკრატიული გარემოს შესაქმნელად ? როგორ შეიძლება გამოვიყენოთ გაკვეთილზე მირებული ცოდნა პრაქტიკაში?	დისკუსია	საერთო საკლასო	ფლიფჩარტი ან პპ ფაილი	7წთ

8	მოსწავლეთა შეფასება (თვითშეფასება, ურთიერთშეფასება)	ვერბალური	საერთო საკლასო	რუბრიკა	3წთ

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

მოქ.საბ.3. საკუთარი და სხვა ადამიანების უფლება-მოვალეობების გაცნობიერება და დაცვა;

მოქ.საბ.4. დემოკრატიის პრინციპების ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირება.

შეფასება: განმავითარებელი შეფასება /კომენტარი/

ჩართულობის შეფასების რუბრიკა:

N	კრიტერიუმები	დონე	1 ქულა
1	მოსმენა	ყოველთვის უსმენს და თვალყურს ადევნებს ორატორს	
2	ცოდნა	იყენებს გაკვეთილზე მიღებულ ახალ ინფორმაციას	
3	არავერბალური/ ვერბალური კომუნიკაცია	მკაფიოდ მეტყველებს და უყურებს მსმენელებს შეუძლია ეფექტურად აღიქვას და გამოიყენოს არავერბალურიკომუნიკაციის ფორმები (თვალით, ჟესტებით, გამომეტყველებით, ხმით)	
4	მონაწილეობა	იჩენს ინტერესს თემისადმი საჭირო კომენტარებითა და აზრის გამოთქმით	
5	კოოპერირება	თანამშრომლობს თანაკლასელებთან, აცლის სხვებს აზრის გამოთქმას და იცავს წესებს	
6	მოსაზრების არგუმენტირება	არგუმენტები გამყარებულია ცოდნით,იყენებს ტერმინებს და არის ლოგიკურიკავშირი განსახილველა საკითხებთან	
7	ცოდნის ტრანსფერი	განვლილ მასალას აკავშირებს ახალ ცნებებთან,აკეთებს შესაბამის დასკვნებს	
8	დროის ლიმიტი	იცავს დროის მოცემულ ლიმიტს,ანაწილებს და გეგმავს დავალების შესაბამისად	
9	რესურსების გამოყენება	შუძლია ინფორმაციის წაკითხვა და ორგანიზება სხვადასხვა საინფორმაციო ტექსტების გამოყენებით	
10	საკითხის გაანალიზება	შეუძლია საკითხის ანალიზის საფუძველზე დასკვნების გამოტანა და პოზიციის დაფიქსირება	

ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა

N	კრიტერიუმი	ქულა
1	ჯგუფის ყველა წევრი ჩართულია	1
2	ჯგუფის წევრები უსმენენ ერთმანეთს	2
3	ჯგუფის წევრები თანამშრომლობენ	2
4	ჯგუფი პრეზენტაციისას წარმოადგენს მთვარ იდეას, აკეთებს დასკვნებს	2
5	ჯგუფი პასუხობს შეკითხვებს	2
6	ჯგუფი იცავს დროის ლიმიტს	1

პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა

	პრეზენტატორი			
კრიტერიუმები	I	II	III	IV
შესავალი საინტერესოა (შეუძლია პრობლემის იდენტიფიცირება)				
აქვს ნაშრომის წარმოჩენის უნარი				
აქვს შემოქმედებითი უნარი				
გვთავაზობს პრობლემის გადაჭრის გზებს				
შეუძლია თემის გასაგებად წარმოდგენა (ლოგიკური ჯაჭვი)				
საუბარი გამართულია				
იყენებს თვალსაჩინოებას				
აქვს აუდიტორიასთან კონტაქტი				
აქვს ინფორმაციის ფლობის უნარი (ადეკვატური კითხვა-პასუხი)				
იცავს დროის ლიმიტს				
ჯამი				

მასწავლებლის სახელი და გვარი:

საგანი:

სწავლების საფეხური / კლასი:

მოსწავლეთა რაოდენობა:

გაკვეთილის თემა: ადრეული ქორწინება

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეები გაეცნობიან ამონარიდს საქართველოს სამოქალაქო კოდექსიდან ქორწინების განმარტებასთან და ასაკთან დაკავშირებით, გაანალიზებენ იმას ,თუ როგორ და რატომ შეიძლება ადრეული ქორწინება გახდეს ჯანმრთელობისა და განათლების უფლების დარღვევის საფუძველი.

N	აქტივობის აღწერა	გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ ფორმები	სასწავლო რესურსები	დრო (წთ)
1	მასწავლებელი ესალმება კლასს, და აგვარებს საორგანიზაციო საკითხებს-მორიგე მოსწავლე აწოდებს ფურცელზე სახელობით სიას თუ რომელიმე მოსწავლე არ არის.	ვერბალური	საერთო საკლასო	ჟურნალი, ფურცელი	2წთ
2	მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს სახელმძღვანელოში მოცემულ სურათს და ეკითხება: თქვენი აზრით, თუ რა იქნება დღევანდელი გაკვეთილის თემა. თემის ამოცნობის შემდეგ მასწავლებელი საუბრობს გაკვეთილის მიზანზე და ახსენებს მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმებს	ვერბალური	საერთო საკლასო	სახელმძ-ღვა ნელო შეფასების რუბრიკა	4წთ
3	მასწავლებელი დაუსვამს მოსწავლეებს კითხვებს არის თუ არა საქართველოში დღეს პრობლემა ადრეული ქორწინება? თუ არის, რა მიზეზები განაპირობებს ამას? რა საფრთხეებს შეიცავს ახალგაზრდებისთვის ადრეული ქორწინება?	კითხვა-პასუხი	საერთო საკლასო	პპ ფაილი	5წთ

4	მასწავლებელი საქართველოს სამოქალაქო კოდექსიდან გამომდინარე საუბრობს თემებზე: ქორწინების განმარტება, ქორწინების ასაკი, ადრეული ქორწინების მიზეზები და შედეგები.	ინტერაქტიული მინი ლექცია	საერთო საკლასო	(პპ ფაილი)	5 წთ
5	მასწავლებელი ჯგუფებში დამსხდარ მოსწავლეებს აძლევს განსახილველად სახელმძღვანელოში მოცემულ სიტუაციებს (შეიძლება დაამატოს მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით) და კოგნიტურ სქემას და სთხოვს მოსწავლეებს წაიკითხონ სიტუაციები და განიხილონ ისინი კოგნიტური სქემის გამოყენებით	პრაქტიკული	ჯგუფური მუშაობა	სახელმძ-ღვა ნელო ფლიფ-ჩარტი მარკერი	8წთ
6	მოსწავლეები წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევრებს კლასის წინაშე და მიმდინარეობს განხილვა	პრეზენტაცია	საერთო საკლასო	ფლიფ-ჩარტი	8წთ
7	მასწავლებელი აკრავს ფლიფჩარტს დაფაზე, რომელზეც დახატულია ხე და სთხოვს მოსწავლეებს ფლიფჩარტზე მოცემულ ხეზე მიაკრან თავიანთი ფოთლები/ წებოვანი ფერადი ფურცლები და ახსნან ერთი სიტყვით რატომ კონკრეტულ ადგილას და უსვამს შეკითხვებს: სად დააკრავდნენ სიტუაციების გმირები თავიანთ ფოთლებს ? რატომ? რა სურვილები და ოცნებები ექნებოდთ მათ?	დისკუსია	საერთო საკლასო	ფლიფ-ჩარტი ან პპ ფაილი	7წთ

10	მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს განმავითარებელ კომენტარს, მოსწავლეები აკეთებენ თვითშეფასებას ჯგუფური მუშაობის შეფასების კრიტერიუმების დახმარებით და ურთიერთშეფასებას პრეზენტაციის შეფასების რუბრიკის გამოყენებით.	ვერბალური	საერთო საკლასო	შეფასების რუბრი-კები	3წთ
11	მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს საშინაო დავალებას	ვერბალური	საერთო საკლასო	რუბრიკა	3წთ

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

მოქ.საბ.3. საკუთარი და სხვა ადამიანების უფლება-მოვალეობების გაცნობიერება და დაცვა;

• საკანონმდებლო დოკუმენტებზე დაყრდნობით იმის გაანალიზება, თუ რა შეიძლება გახდეს ჯანმრთელობისა და განათლების უფლების დარღვევის საფუძველი (ადრეული ქორწინება, არასრულწლოვანთა შრომითი ექსპლუატაცია)

შეფასება: განმავითარებელი შეფასება /კომენტარი/

ჯგუფური მუშაობის შეფასების კრიტერიუმები

ჯგუფის ყველა წევრი ჩართულია;
ჯგუფის წევრები უსმენენ ერთმანეთს;
ჯგუფის წევრები თანამშრომლობენ;
ჯგუფი პრეზენტაციისას წარმოადგენს მთვარ იდეას, აკეთებს დასკვნებს;
ჯგუფი პასუხობს შეკითხვებს;
ჯგუფი იცავს დროის ლიმიტს.

პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა

	პრეზენტატორი			
კრიტერიუმები	I	II	III	IV
პრობლემა სწორად არის გამოყოფილი				
დასახელებულია გამომწვევი მიზეზები				
მსჯელობა გამყარებულია სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტის გამოყენებით				
გვთავაზობს პრობლემის გადაჭრის გზებს				
შეუძლია თემის გასაგებად წარმოდგენა (ლოგიკური ჯაჭვი)				
საუბარი გამართულია				
იყენებს თვალსაჩინოებას				
აქვს აუდიტორიასთან კონტაქტი				
აქვს ინფორმაციის ფლობის უნარი (ადეკვატური კითხვა-პასუხი)				
იცავს დროის ლიმიტს				
ჯამი				

მასწავლებელს სიტუაციებთან ერთად შეუძლია გამოიყენოს ლინკზე მოცემული რესურსი:

https://www.youtube.com/watch?v=EduwOoha2tY

გრაფიკული ორგანიზატორები, ანუ კოგნიტური დიაგრამები ეფექტური სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი

კოგნიტური დიაგრამებით, ანუ გრაფიკული ორგანიზატორებით მუშაობა მოსწავლეებს მნიშვნელოვანი ინფორმაციის აღქმაში ეხმარება. მოსწავლეებს ხელთ ეძლევათ ტექსტის, იდეის, საკითხის კონტროლის მექანიზმი, რომელიც ნაწილისა და მთელის, ცნებისა და დეტალების ურთიერთმიმართების დადგენასა და ვიზუალურად დანახვაში დაეხმარებათ. კოგნიტური დიაგრამებით მუშაობა მოსწავლეთა აქტივობისა და დამოუკიდებლობის ზრდის კარგი საშუალებაა.

დიაგრამა 1

ვენის დიაგრამა ეხმარება მოსწავლეებს, ვიზუალურად აღიქვან ორ საგანს ან მოვლენას შორის არსებული მსგავსება და განსხვავება. როგორც წესი, ორი წრის გადაკვეთაში მსგავსებათა ჩამონათვალია მოცემული. განსხვავებები კი წარმოდგენილია წრეების იმ ნაწილებში, რომლებიც არ იკვეთება. იდეალურ შემთხვევაში, მოსწავლეებმა ვენის დიაგრამა ორი საგნის ან მოვლენის თითოეული მახასიათებლის შედარებისას უნდა შეავსონ. ასეთ დროს ისინი კარგად დაინახავენ, როგორ ჰგავს ან განსხვავდება ორი მოვლენა ან საგანი ამ კონკრეტული მახასიათებლის მიხედვით.

დიაგრამა 2

შედარების მატრიცა მატრიცა				
მახასიათებლები	**შესადარებელი თემები**			
	№1	**№2**	**№3**	
1				მსგავსებები
				განსხვავებები
2				მსგავსებები
				განსხვავებები
3				მსგავსებები
				განსხვავებები
4				მსგავსებები
				განსხვავებები

დეტალური მიდგომის დროს შედარების მატრიცა უფრო გამოიყენება, ვიდრე ვენის დიაგრამა. შესაბამისად, როცა მასწავლებელი შედარების მატრიცას იყენებს, აუცილებელია, მოსწავლეებს უფრო დეტალური ინსტრუქციები მისცეს.

დიაგრამა 3

კლასიფიკაციისათვის საჭირო გრაფიკული სქემები



დიაგრამა 4

გრაფიკული სქემა ანალოგიებისათვის



- **აღწერითი პარადიგმები.** აღწერითი პარადიგმა შეიძლება გამოვიყენოთ კონკრეტული ადამიანების, ადგილების, საგნებისა და მოვლენების შესახებ ფაქტების წარმოსადგენად. არ არის აუცილებელი, აღწერით პარადიგმაში მოქცეული ინფორმაცია რამე თანმიმდევრობის მიხედვით იყოს დალაგებული. დიაგრამა 5-ზე წარმოდგენილია მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება გამოსახონ მასწავლებელმა და მოსწავლეებმა აღწერითი პარადიგმა გრაფიკულად.

დიაგრამა 5

გრაფიკული სქემის ერთ-ერთი სახეობა: აღწერითი პარადიგმა



- **დროითი თანმიმდევრობის პარადიგმები.** დროითი თანმიმდევრობის პარადიგმა მოვლენების ქრონოლოგიური პრინციპით დალაგებას გულისხმობს. ასეთი სქემების შევსება დაეხმარება მოსწავლეებს ქრონოლოგიის დადგენასა და დანახვაში. დიაგრამა 6-ზე წარმოდგენილია დროითი თანმიმდევრობის პარადიგმის გრაფიკული გამოსახულება.

დიაგრამა 6

გრაფიკული სქემის ერთ-ერთი სახეობა: დროითი თანმიმდევრობის პარადიგმა

დიაგრამა 7

გრაფიკული სქემის ერთ-ერთი სახეობა: ცნების პარადიგმა



თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები

თანამშრომლობითი სწავლების მრავალი მეთოდია ცნობილი. განვიხილოთ თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები – დისკუსია, პროექტი, როლური თამაში.

დისკუსია ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია, რომლის გამოყენებაც ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს მათში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. დისკუსიის მეშვეობით შესაძლებელია იდეების, შეხედულებების, მტკიცებულებების ურთიერთგაცვლა ჭეშმარიტების დასადგენად.

გაკვეთილზე დისკუსია შეიძლება წარიმართოს:

- ✓ თანამშრომლობითი ჯგუფური მუშაობის დროს მოსწავლეებს შორის;
- ✓ მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის, მთელი კლასის მონაწილეობით.

დისკუსიის მიზანია:

დაეხმაროს მოსწავლეებს

- ✓ საკუთარი აზრის აქტიურად გამოხატვაში;
- ✓ კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებაში;
- ✓ სხვათა აზრის გათვალისწინებასა და კონსენსუსის უნარის გამომუშავებაში;
- ✓ სხვათა მოსაზრებების და შეხედულებების საფუძველზე ცოდნის გაღრმავებაში;
- ✓ კომუნიკაციის უნარის განვითარებაში.

რა უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა დისკუსიის ეფექტიანად მართვისთვის?

- ✓ დისკუსია უნდა იყოს კარგად ორგანიზებული. დისკუსიისთვის მომზადებული უნდა იყოს როგორც მასწავლებელი, ასევე კლასი. სასურველია, იგი ეფუძნებოდეს განვლილ მასალას, უნდა დავადგინოთ სადისკუსიო თემასთან მიმართებაში მოსწავლეთა ცოდნის დონე და საჭირო უნარ-ჩვევები, შემდეგ უნდა განვსაზღვროთ საჭირო ინფორმაცია და მივუთითოთ მოსწავლეებს ამ ინფორმაციის წყაროები, რათა ისინი მოემზადონ დისკუსიისთვის. დისკუსია ასევე შესაძლებელია მოჰყვეს მოსწავლის ან მასწავლებლის მიერ შემოთავაზებულ პრეზენტაციას.
- ✓ წესებისა და პროცედურების დაცვა:

- საკითხის განსაზღვრა;
- დისკუსიის დროის განსაზღვრა;
- სივრცის ორგანიზება ისე, რომ ყველა მოსწავლეს შეეძლოს ერთმანეთთან თვალით კონტაქტი. ასეთი განლაგება ამცირებს კომუნიკაციის ბარიერებს მოსწავლეებს შორის; ასევე, ერთ სიბრტყეზე წრიულად განლაგება მათ უქმნის თანაბარი მონაწილეობის განცდას და სურვილს.
- დისკუსიის წესების განსაზღვრა

- ✓ ფოკუსირება კონკრეტულ მიზანსა და სფეროზე. მასწავლებელმა ნათლად უნდა

განმარტოს დისკუსიის მიზანი და დააფიქსიროს დაფაზე;

- ✓ მუდმივი კონტროლი, რათა მოსწავლეები არ გადაერთონ სხვა საგანზე ან თემაზე;
- ✓ ეფექტიანი კომუნიკაციის (როგორც ვერბალურის, ასევე არავერბალურის) სტრატეგიების ფლობა და გამოყენება;
- ✓ აქტიური მოსმენის პრინციპებისა და კითხვის დასმის ტექნიკების ფლობა;
- ✓ დისკუსიის შეჯამება. მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად კიდევ ერთხელ უნდა ჩამოთვალოს ძირითადი საკითხები, შეაფასოს პროცესის წარმატებულობა, თუ რა გაკეთდა კარგად და რა საჭიროებს გამოსწორებას. .

რაში მდგომარეობს მასწავლებლის როლი დისკუსიის დროს?

- ✓ ნათლად განსაზღვრავს გაკვეთილის მიზანს;
- ✓ არ ერევა დისკუსიის შინაარსობრივ მხარეში;
- ✓ ხელს უწყობს მოსწავლეების დისკუსიაში ჩართვას;
- ✓ აძლევს მოსწავლეებს საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობას;
- ✓ აკონტროლებს, რომ მოსწავლეებმა მოუსმინონ ერთმანეთს, არ გადაუხვიონ სადისკუსიო თემას და დაიცვან რეგლამენტი.

ისევე, როგორც ყველა მეთოდს, დისკუსიასაც აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

დისკუსიის ძლიერ მხარედ შეიძლება დავასახელოთ:

- დისკუსიის გზით განხილული საკითხები მეხსიერებაში უფრო ღრმად ჯდება;
- მაშინაც კი, თუ მოსწავლეებს ნაკლები ცოდნა აქვთ, დისკუსია საუკეთესო მეთოდია მათში კრიტიკული აზროვნების გამომუშავებისათვის;
- დისკუსია კარგი მოტივატორია მოსწავლეებისთვის, დამოუკიდებლად მოიძიონ ინფორმაცია სადისკუსიო თემაზე, რომ უშუალოდ დისკუსიის დროს სათანადო ინფორმაცია ჰქონდეთ მისი წარმატებული წარმართვისათვის;
- დისკუსია ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას;
- დისკუსია ავითარებს მოსწავლეებში ისეთ ზოგად უნარებს, როგორიცაა თანამშრომლობისა და კომუნიკაციური უნარები.

დისკუსიის სუსტ მხარედ შეიძლება მივიჩნიოთ:

- ძალიან რთულია საჯაროდ გამოთქმულ აზრზე უარის თქმა. დისკუსიის

შედეგად, ის მცდარიც რომ აღმოჩნდეს, ზოგ ადამიანს შეიძლება გაუჭირდეს ამის აღიარება;

- რაოდენობრივი შეზღუდვა — ეფექტიანი რომ იყოს, დისკუსიაში 12

კაცზე მეტი არ უნდა მონაწილეობდეს;

- ცუდად დაგეგმილმა დისკუსიამ შეიძლება, ბევრი დრო მოითხოვოს და

არასასურველ შედეგზე გაგვიყვანოს;

- შეზღუდულ დროში ნაკლებსავარაუდოა სადისკუსიო თემის ყველა

სადავო ასპექტის სრული განხილვა.

დისკუსიას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ფორმა და ჩატარდეს სხვადასხვა ხერხით.

გავრცელებულია დისკუსიის შემდეგი ძირითადი ფორმები:

1. მრგვალი მაგიდა - საუბარი, რომელშიც თანაბარ საწყისებზე მონაწილეობენ მოსწავლეები.

2. ფორუმი - ჯგუფს ჰყავს ლიდერი, ჯგუფი საკითხს განიხილავს დამოუკიდებლად და წარუდგენს კლასს. ჯგუფის თითოეულ წევრს აქვს აზრის გამოთქმის უფლება.

3. სიმპოზიუმი - მონაწილეები გამოდიან ინფორმაციებითა და დასკვნებით, ისინი გამოთქვამენ საკუთარ თვალსაზრისს, ასევე უპასუხებენ კლასის შკითხვებს.

4. სასამართლო სხდომა - განსჯა, რომელიც სასამართლოში საქმის გარჩევის, განხილვის იმიტირებას წარმოადგენს.

5. პლენარული დისკუსია

რაში მდგომარეობს პლენარული დისკუსია?

ეს არის თავისუფალი დისკუსია ჯგუფში, საგაც მონაწილეების რაოდენობაა რამდენიმე ათეულ ადამიანამდე აღწევს (ჭეშმარიტად ეფექტური აზრების გაცვლა შესაცლებელია არაუმეტეს 20კაციანი ჯგუფის შემთხვევაში). პლენარული დისკუსია არის ტექნიკა, რომელიც ხელს უწყობს მონაწილეებს წარმოადგინონ თავისი თვასაზრისები, ცოდნა, გამოცდილება, აზრები მოცემულ თემაზე და თავი იგრძნონ მაქსიმალურად თავისუფლად.

დისკუსიის ამ სახეობაში ძალიან მნიშვნელოვანია მოდერატორის როლი! პლენარული დებატების წამყვანი უნდა იყოს კარგად მომზადებული და ჰქონდეს დიდი გამოცდილება. ის ხსნის დისკუსიას, იწვევს მონაწილეებს სიტყვის გამოსვლაზე, წარმოადგენს მის გეგმას, აცნობს დისკუტირების კულტურას, ხაზს უსვამს დისკუსიის ერთი პუნქტიდან მეორეზე გადასვლას, აჯამებს დისკუსიის ეტაპების შედეგებს., ხოლო შემდეგ საბოლოო დასკვნას იტანს.

პლენარულ დისკუსიას უნდა ჰქონდეს განსაზღვრული ხანგრძლივობა, არაუმეტესი 45-60 წუთი.

პლენარული დისკუსიის დადებითი და უარყოფითი მხარეები

მონაწილეებისთვის დადებითია თავისუფლება-ამგვარ დისკუსიას არ აქვს პასუხის გაცემის შეზღუდვა, ზოგადი კულტურული დისკუსიის წესების გარდა.

უარყოფითი – თუ მოდერატორი ვერ შეასრულებს კარგად მის დავალებს, დისკუსიამ შეიძლება დაკარგოს მთავარი თემა და ამ შემთხვევაში დომინირებას დაიკავებს რამდენიმე ყველაზე აქტიური მონაწილე, ასევე დაირღვევა დროის შეზღუდვები. ამიტომაც კარგი მოდერატორი პოვნა და მისი საფუძვლიანად მომზადება არის პლენარული დისკუსიის უმთავრესი ელემენტი...

6. „სამი ბარათის“ სტრატეგია –

— ეს სტრატეგია ყველა მოსწავლეს აძლევს შანსს, მიიღოს მონაწილეობა დისკუსიაში, რომელიც სხვაგვარად შესაძლოა მონოპოლიზებულ იქნეს უფრო აქტიური მონაწილეების მიერ. ამ სტრატეგიის მიხედვით, მასწავლებელი თითოეულ მოსწავლეს დისკუსიის

დაწყებამდე აძლევს სამ (საჭიროებისამებრ, შესაძლოა ორსაც) ბარათს, რომლებზეც წერია სიტყვები "შეკითხვა ან კომენტარი". თუ მოსწავლეს დისკუსიაში ჩართვის სურვილი ექნება, ასწევს ბარათს, ხოლო მას შემდეგ, რაც დასვამს კითხვას ან გააკეთებს კომენტარს, ბარათს გვერდზე გადადებს და ჩააბრუნებს. მას სამჯერ ექნება დისკუსიაში ჩართვის შესაძლებლობა. ამრიგად, ეს სტრატეგია აიძულებს მოსწავლეს, კარგად დაფიქრდეს და მერე ჩაერთოს დისკუსიაში. ეს განსაკუთრებით ეხება აქტიურ მოსწავლეებს. ისინი ეცდებიან გაიაზრონ, ღირს ბარათის "დაკარგვა" იმ კომენტარად, რომლის გაკეთებასაც აპირებენ, თუ ის უფრო მნიშვნელოვანი და ღირებული კომენტარისთვის შემოინახონ. სამივე ბარათის გამოყენების შემდეგ მოსწავლე ეთიშება დისკუსიას, სანამ ყველა მონაწილე არ გამოიყენებს თავის ბარათებს.

7. „დათვლის" სტრატეგია —

იგი, ფაქტობრივად, ზემოთ აღწერილი სტრატეგიის იდენტურია, თუმცა შეიძლება, დებატებში უფრო გამოცდილ კლასთან გამოვიყენოთ. ამჯერად მოსწავლე ბარათების ნაცვლად ხელით იძლევა ნიშანს, რამდენჯერ მიიღო მონაწილეობა დისკუსიაში იმ მომენტისთვის. პირველ ცდაზე ის უბრალოდ ხელს აიწევს, მეორე ცდაზე საჩვენებელ თითს აღმართავს იმის ნიშნად, რომ ერთხელ უკვე მიიღო მონაწილეობა, მესამე ჯერზე კი ორ თითს ასწევს იმის ნიშნად, რომ უკვე ორჯერ გააკეთა კომენტარი და ამით ამთავრებს დისკუსიაში მონაწილეობას, სანამ ყველა დანარჩენი მოსწავლე არ მიიღებს მონაწილეობას მასში.

8. დებატები — კრიტიკული აზროვნების და პრეზენტაციის უნარებისათვის

დებატები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტივობაა, რომელსაც შეუძლია, გაახალისოს, უფრო შემოქმედებითი გახადოს სასწავლო პროცესი. ის ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნებისა და პრეზენტაციის ძალზე მნიშვნელოვანი უნარების გაუმჯობესება-განვითარებას. კოგნიტური და შემეცნებითი უნარებიის განვითარებას, აბსტრაქტული აზროვნება, მოქალაქეობის გრძნობა, ეტიკეტის გაცნობიერება და დაცვა, თვითორგანიზება, საკუთარი თავის რწმენა, საჯარო მეტყველების კულტურა, კვლევა, გუნდური მუშაობა. და ეს სრული ჩამონათვალი არ გახლავთ.

ლინკოლნ-დუგლასის დებატები.

დებატების ამ ფორმატის სახელწოდება სათავეს შორეული 1858 წლიდან იღებს, როცა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე და შემდგომ აშშ-ის პრეზიდენტი აბრაამ ლინკოლნი ილინოისის შტატის სენატორის არჩევნებში ნაკლებად ცნობილ მეტოქეს ს. დუგლასს დაუპირისპირდა. საარჩევნო კამპანიის დროს მეტოქეებმა შვიდი საჯარო დებატი გამართეს. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ მათი დებატების თემა მონობა გახლდათ. სხვათა შორის, ის არჩევნები დუგლასმა მოიგო, მაგრამ ამ დებატებმა ლინკოლნი უფრო უკეთ გააცნო ხალხს, გაზარდა მისი პოპულარობა, რისი წყალობითაც მან შეძლო 1860 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მოგება.

ლინკოლნ-დუგლასის დებატების კლასიკური ფორმატით, ორი მხარე განიხილავს სადებატო თემას. შესაბამისად, დებატები იწყება საკამათო საკითხის წამოჭრით (მაგ. „საზოგადოებოება,როგორც პიროვნების ქმედებების დამკვეთი"). დებატებს იწყებს ის მხარე, რომელიც ეთანხმება განსახილველ საკითხს. დებატები კი ასეთი ფორმატით წარიმართება:

* სადებატო თემის მომხრე წარმოადგენს თავის არგუმენტებს (6 წთ);

* თემის მოწინააღმდეგე შეეცდება ჩამოაყალიბოს კონტრარგუმენტები (3 წთ);

* სადებატო თემის მოწინააღმდეგე წარმოადგენს თავის არგუმენტებს (6 წთ);

* თემის მომხრე მოპაექრეს თავის კონტრარგუმენტებს წარუდგენს (3 წთ);

* სადებატო თემის მომხრე წარმოადგენს მოწინააღმდეგე გუნდის არგუმენტების შემაჯამებელ გაბათილებას (4 წთ);

* სადებატო თემის მოწინააღმდეგე წარმოადგენს მომხრე გუნდის არგუმენტების შემაჯამებელ გაბათილებას (4 წთ).

საზოგადოდ მიღებული ფორმატით, ლინკოლნ-დუგლასის დებატების დროს მოპაექრეები წინასწარ არ უნდა იცნობდნენ სადებატო თემას. სადებატო საკითხის წამოჭრის შემდეგ პრეზენტატორებს უნდა მიეცეთ დრო არგუმენტების მოსაფიქრებლად.

სასწავლო პროცესში, სხვადასხვა სასწავლო კოგნიტური მიზნებიდან გამომდინარე, ლინკოლნ-დუგლასის დებატების ფორმატი, რასაკვირველია, შეიძლება შეიცვალოს. უპირველესად, ეს ეხება დებატების მონაწილეთა რაოდენობას. დებატები შეიძლება გავმართოთ წყვილებს, სამეულებს ან ჯგუფებს შორის.

მოდი, ამჯერად განვიხილოთ, როგორ შეიძლება გავმართოთ ლინკოლნ-დუგლასის ფორმატის დებატი ჯგუფებს შორის, თუ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა ამის საშუალებას გვაძლევს.

ჯგუფში შეგვიძლია 6 მოსწავლე გავაერთიანოთ. ეს რაოდენობა საშუალებას მოგვცემს, თითოეულ მოსწავლეს სპეციფიკური, მისთვის განკუთვნილი დავალება დავაკისროთ, რომელზეც თვითონ იქნება პასუხისმგებელი. დებატები იმავე ფორმატით წარიმართება, მაგრამ როლები ჯგუფის წევრებს შორის ასე განაწილდება:

მოდერატორი — ასახელებს სადებატო თემას, აცხადებს წესებს, წარმოადგენს ჯგუფის წევრებს და მათ მოვალეობებს;

მთავარი დებატორი/კონსტრუქტორი — წარმოადგენს თავისი გუნდის მთავარ არგუმენტებს;

კონტრარგუმენტატორი — დაუსვამს შეკითხვებს მოწინააღმდეგე გუნდის კონტრარგუმენტატორის მოპასუხეს;

კონტრარგუმენტატორის მოპასუხე — დროებით საკუთარ თავზე იღებს მთავარი დებატორის ფუნქციას და პასუხობს მოწინააღმდეგე გუნდის კონტრარგუმენენტატორის შეკითხვებს;

გამბათილებელი — პასუხობს შეკითხვებს, რომლებიც კონტრარგუმენტატორის მოპასუხისა და კონტრარგუმენტატორის დებატების დროს წარმოიშვა მისი გუნდის მიმართ;

შემაჯამებელი — ამთავრებს დებატებს, კიდევ ერთხელ ასახელებს თავისი გუნდის მთავარ არგუმენტებს; მისი მოვალეობაა, შეძლებისამებრ გააძლიეროს დებატების დროს მისი გუნდის მთავარ არგუმენტებში თავჩენილი სუსტი წერტილები (ე.წ. “ხვრელების ამოვსება”).

ლინკოლნ-დუგლასის ფორმატი იძლევა ვარირების საშუალებას როგორც კლასში მოსწავლეთა რაოდენობის, ისე სასწავლო მიზნების შესაბამისადაც. მაგალითად, თუ მოსწავლე ცოტაა, შეგვიძლია შევამციროთ ჯგუფში მოსწავლეთა რაოდენობა, შესაბამისად, ერთ მოსწავლეს ორი ფუნქცია დაეკისროს ან ზოგიერთი როლი საერთოდ გაუქმდეს. აგრეთვე შესაძლებელია, დებატებში მასწავლებელიც ჩაერთოს მოდერატორის ფუნქციით.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ პირველივე ცდაზე სრული ფორმატით დებატების გამართვა რთული ამოცანაა, ამიტომ სავსებით ბუნებრივი იქნება, თუ მასწავლებელი დებატებს შემოქმედებითად მიუდგება და თავისი კლასის საჭიროებას მოარგებს. ასევე სავსებით მოსალოდნელია, თავდაპირველად დებატებში ხალისით მხოლოდ აქტიური მოსწავლეები ჩაერთვონ.

სტრატეგია "ერთმანეთის კვალდაკვალ" — ეს სტრატეგია ლინკოლნ-დუგლასის დებატების ფორმატის ერთგვარი ალტერნატივაა. ამ შემთხვევაში გუნდში 5 წევრია. თითოეული გუნდის წევრი წარმოადგენს სადებატო საკითხის ერთ ასპექტს. მთელ გუნდს აქვს წინასწარ განსაზღვრული დრო (ვთქვათ, 5 წუთი), შესაბამისად, თითოეულ წევრს მიეცემა თითო წუთი. გუნდის პრეზენტაციას იწყებს პირველი წევრი მთავარი არგუმენტით. მას არ აქვს უფლება, ილაპარაკოს ერთ წუთზე მეტხანს და თავისი გამოსვლის დასასრულს უნდა მოასწროს გუნდის იმ წევრის დასახელება, რომელიც პრეზენტაციას გააგრძელებს. პირველ პრეზენტატორს სიგნალი მეორემ უნდა მისცეს ხელის აწევით. ამ ჟესტით პრეზენტატორი მიხვდება, ვინ არის მზად პრეზენტაციის გასაგრძელებლად. არ შეიძლება გუნდის რომელიმე წევრის მეორედ დასახელება, ვიდრე თითოჯერ ყველა არ მიიღებს მონაწილეობას.

კარლ პოპერის დებატები

აქ ერთმანეთს ეჯიბრება სამი მოთამაშისაგან შემდგარი ორი გუნდი — მტკიცებითი და უარმყოფელი. მომხსენებელთა გამოსვლების თანმიმდევრობა, ჯვარედინი დაკითხვისათვის განკუთვნილი და მოსაფიქრებელი დროის რეგლამენტი კი შემდეგნაირად არის განაწილებული:

აქტივობა	დრო
I მტკიცებითი სპიკერის სიტყვით გამოსვლა	6 წუთი
ჯვარედინი დაკითხვა: III უარმყოფელი - I მტკიცებითი	3 წუთი
I უარმყოფელი სპიკერის სიტყვით გამოსვლა	6 წუთი
ჯვარედინი დაკითხვა: – III მტკიცებითი - I ურმყოფელი	3 წუთი
II მტკიცებითი სპიკერის სიტყვით გამოსვლა	5 წუთი
ჯვარედინი დაკითხვა: I უარმყოფელი - II მტკიცებითი	3 წუთი
II უარმყოფელი სპიკერის სიტყვით გამოსვლა	5 წუთი
ჯვარედინი დაკითხვა: I მტკიცებითი - II უარმყოფელი	3 წუთი
III მტკიცებითი სპიკერის სიტყვით გამოსვლა	5 წუთი
III უარმყოფელი სპიკერის სიტყვით გამოსვლა	5 წუთი
მოსამზადებელი დრო - 8-8 წუთი ორივე გუნდისთვის	

სადებატო ოთახის მოწყობა

დებატების დაწყებამდე, მნიშვნელოვანია სათამაშო ოთახის სათანადოდ მოწყობა, რასაც კარლ პოპერის დებატების სხვა კომპონენტების მსგავსად, საკუთარი წესები გააჩნია. აღსანიშნავია, რომ მოდებატე გუნდები ისე უნდა განლაგდნენ ცალ-ცალკე მაგიდებთან, რომ მათი პირდაპირი ვიზუალური კონტაქტი არა ერთმანეთთან, არამედ მსაჯებთან და თაიმქიფერთან ჰქონდეთ. მსაჯისა და მონაწილე გუნდების განლაგება დებატების დროს შემდეგნაირად გამოიყურება:

III მტკიცებითი	II მტკიცებითი	I მტკიცებითი	III მტკიცებითი	II მტკიცებითი	I მტკიცებითი

მსაჯი	თაიმქიფერი

თაიმქიფერი ყოველი წუთის გასვლის შემდეგ, თითებით ანიშნებს მოდებატეებს დარჩენილი წუთების რაოდენობას. ბოლოს ანიშნებს დარჩენილ ნახევარ წუთს, ხოლო დროის გასვლის შემდეგ მოთამაშეს შეუძლია აიღოს დამატებითი თხუთმეტი წამი მხოლოდ რაიმე წამოწყებული მოსაზრების დასასრულებლად. ამის გარდა, მნიშვნელოვანია დებატების დაწყებამდე მოდებატეებისათვის თამაშის ისეთი ძირითადი პრინციპის შეხსენება, როგორიცაა: არ ვაწყვეტინებთ ერთმანეთს, ოპონენტთა გამოსვლების დროს არ ვაკეთებთ ხმამაღალ კომენტარებს, ნუ ვეჩხუბებით თანაგუნდელებს, დებატებს წარვმართავთ წყნარ ვითარებაში და სხვ.

ქეისი - მოდებატე მხარის პოზიცია

დებატების ტურნირის, სადემონსტრაციო დებატების ან ამხანაგური თამაშის წინ, დაახლოებით ორი-სამი კვირით ადრე მოდებატე მხარეები ეცნობიან სათამაშო რეოზლუციას და ამ მომენტიდან იწყებენ ქეისების მზადებას. ტურნირებში, როგორც წესი გუნდების როგორც მტკიცებითი, ისე უარმყოფელი პოზიციის თამაში უწევთ. პოზიციების არჩევა კი კენჭისყრაზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, დებატებისათვის მზადების პროცესში მოსწავლეებმა მტკიცებითი პოზიციის (ქეისის) შემუშავებასთან ერთად უნდა იფიქრონ ოპონენტი გუნდების ქეისიზე. აღნიშნული პროცესი ძალედ შრომატევადი, მაგრამ ამავე დროს საინტერესოცაა.

ქეისის პირამიდა

მტკიცებითი გუნდის პოზიცია შედგება პრობლემის, ბრალის, გამოსავალისა და უპირატესობებისაგან, რაც შემდეგნაირად გამოიყურება:



აღსანიშნავია, რომ კარლ პოპერის დებატების ამ ტიპში კამათი მხოლოდ მტკიცებითი გუნდის მიერ წარმოდგენილ ცვლილების პროექტზე მიმდინარეობს. უარმყოფელი გუნდი კი საკუთარ პოზიციას საერთოდ არ წარმოადგენს.

გამოსავალი და მისი ეტაპები

მოდებატეებს ევალებათ არა მხოლოდ პრობლემის მოძიება და ახსნა, არამედ გზების ძიება მის გადასაჭრელად. მტკიცებით გუნდს მთელი თამაშის განმავლობაში მოუწევს იმის დასაბუთება, რომ მათ მიერ შემოთავაზებული გეგმა თუ გამოსავალი არის ის ერთადერთი რეალური გზა, რომელიც გადაჭრის პრობლემას და დადებით შედეგებსაც მოიტანს.

პრობლემის გადასაჭრელად მტკიცებით გუნდს შეუძლია გამოიყენოს ორი მეთოდი.

პირველი მეთოდი ითვალისწინებს დასმული პრობლემის გადაჭრის კონკრეტული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული, ნაბიჯ-ნაბიჯ განვითარებული და დეტალურად გათვლილი გეგმის შემუშავებას.

მეორე მეთოდი კი გულისხმობს არსებული პრობლემის გადაჭრას ერთგვარი დაშვებით, რომელიც განაცხადის სახით იქნება ჩამოყალიბებული და რომელსაც არ დაესმის კითხვა როგორ? ანუ არ იქნება გამოსავლის გაშლისა და ზედმეტი ახსნის საჭიროება.

უარმყოფელი გუნდის მოვალეობები და სტრატეგია

მტკიცებითი გუნდის მიერ შემოთავაზებული ცვლილებების საწინააღმდეგოდ, უარმყოფელმა გუნდმა თავისი პირველი მოხსენების წინ მოსაფიქრებელ დროში უნდა შეარჩიოს სამი ძირითადი სტრატეგიიდან ერთ-ერთი: უარმყოფელმა გუნდმა ან უნდა დაასაბუთოს ის რომ (1) ცვლილება არ არის საჭირო, ან (2) ცვლილება ვერ განხორციელდება, ან (3) ცვლილება საზიანოა:

პირველ შემთხვევაში უარმყოფელი გუნდი ასაბუთებს, რომ პრობლემა ან საერთოდ არ არსებობს და ამიტომ მას არც მოგვარება და არც არსებულ მდგომარეობაში ცვლილების შეტანა ჭირდება, ან რომ პრობლემა ცვლილებების გარეშეც მოგვარდება.

მეორე სტრატეგიის შემთხვევაში უარმყოფელი გუნდი ასაბუთებს, რომ შემოთავაზებული ცვლილება არ გაამართლებს, ვინაიდან არასწორად არის არჩეული მოქმედების სუბიექტი, ან არსებულ ვითარებაში და პირობებში გეგმა თუ გამხორციელდება იგი შედეგს ვერ გამოიღებს, ან გეგმის შესრულება შეყოვნდება და დროში გაიწელება.

მაშინ როდესაც უარმყოფელი გუნდი ირჩევს სტრატეგიას, რომლის მიხედვითაც ასაბუთებს, რომ გეგმა საზიანოა, მან უნდა დაამტკიცოს, რომ გეგმის განხორციელების შემთხვევაში იქნება სერიოზული მორალური პრობლემები, რეალური ზიანი, საფრთხე. შეიძლება შემუშავდეს ისეთი თეორია, რომლის მიხედვითაც თუ გეგმას ერთი ჯგუფი შეასრულებს, მას კარგი შედეგი ექნება, მაგრამ თუ იგივეს სხვა გაიმეორებს, შეიძლება ეს საზიანო გამოდგეს.

სპიკერთა პასუხისმგებლობები

I მტკიცებითი სპიკერის გამოსვლა მნიშვნელოვანია, რადგან ამ დროს უნდა მოხდეს მტკიცებითი გუნდის მიერ მომზადებული ცვლილების პროექტის სათანადო დონეზე წარმოდგენა. I უარმყოფელი სპიკერი პირველი წარმოადგენს უარმყოფელი გუნდის გაბათილების გეგმას და დაპირისპირების სტრატეგიას, რასაც აგრძელებენ მისი გუნდელები. II მტკიცებითი სპიკერის გამოსვლაში ძირითადი დატვირთვა საკუთარი პოზიციის დაცვასა და გამრავალფეროვნებაზე მოდის. II უარმყოფელი სპიკერის გამოსვლა ძლაზე მნიშვნელოვანია, რადგან კარლ პოპერის დებატებში ამ დროს მთავრდება კამათი, სადაც უნდა გამოჩნდეს უარმყოფელი გუნდის უპირატესობა. III მტკიცებითი გამომსვლელის მოხსენება თამაშში გამორჩეულია პირველი ანალიზით, რომელშიც, რა თქმა უნდა, მტკიცებითი გუნდის გამარჯვება უნდა იქნეს დასაბუთებული შეჯახებების წარმოდგენისა და მათი დეტალური განხილვის გზით. III უარმყოფელი სპიკერი უნდა დაუპირისპირდეს წინამორბედი სპიკერის ანალიზს და უნდა დაამტკიცოს საკუთარი გუნდის უდავო უპირატესობა.

რაში მდგომარეობს ამა თუ იმ მოდებატის მოვალეობა:

I მტკიცებითი	I უარმყოფელი	II მტკიცებითი
• მისალმება • ქეისის ჩამოყალიბება • დასკვნა	• მისალმება • მტკიცებითი გუნდის პოზიციის სუსტი რგოლის შერჩევა და უარყოფა • დასკვნა	• მისალმება • საკუთარი პოზიციის ნაწილის აღდგენა და გავრცობა • დასკვნა
II უარმყოფელი	**III მტკიცებითი**	**III უარმყოფელი**
• მისალმება • აღდგენილი პოზიციის უარყოფა • დასკვნა	• მისალმება • შეჯახებების ანალიზი • ოპონენტთა შეცდომების დაფიქსირება • დასკვნა	• მისალმება • მტკიცებითის ანალიზზე რეაგირება • შეჯახებების ანალიზი • ოპონენტთა შეცდომების დაფიქსირება • დასკვნა

ჯვარედინი დაკითხვის პრინციპები და მიზნები

კარლ პოპერის დებატების ორივე ტიპისთვის ჯვარედინი დაკითხვა ერთსა და იმავე დატვირთვას ატარებს და არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, ამიტომ მისი ცალ-ცალკე განხილვა არ იქნება მიზანშეწონილი. იგი გრძელდება სამი წუთის მანძილზე და იმართება ყოველი გამოსვლის შემდეგ, მესამე მომხსენებელთა სიტყვის გარდა. აღსანიშნავია, რომ მისი ფორმა მხოლოდ კითხვა-პასუხისაგან შედგება. გარდა ამისა, თამაშის განრიგის მიხედვით წინასწარ არიან განსაზღვრულნი ის მოდებატეები, რომლებიც მონაწილეობენ თითოეულ ჯვარედინ დაკითხვაში, როგორც კითხვების დამსმელნი, ასევე მოპასუხენი. ჯვარედინი დაკითხვის შედეგად მიღებულ სასურველ პასუხს იყენებს აუცილებლად ყოველი შემდეგი გამოსვლელი.

ჯვარედინი დაკითხვა კითხვები დასმის დროა და არა შეკამათების. თქვენ ცდილობთ მოიპოვოთ თვექნი გამოსვლისათვის საჭირო ინფორმაცია, ამიტომ ნუ შეეცდებით ეს დრო რაიმე აზრის დასამტკიცებლად გამოიყენოთ, რაც უბრალოდ დროის ფუჭი ხარჯვაა. ამას-

თანავე, ჯვარედინი დაკითხვის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ მისი შედეგები აუცილებლად შემდეგ გამოსვლაში უნდა იქნას გამოყენებული, რისი არ შერულებაც დიდ ხარვეზად ითვლება. ამიტომ, როდესაც რესპოდენტისაგან თვქენთვის სასურველ პასუხს მიიღებთ, ნუ გაუსვამთ მას ხაზს და ნუ გააკეთებთ დასკვნას მსაჯისათვის. მთლიანად დებატები, როგორც გუნდური თამაში, მოდებატეების მხრიდან უაღრესად ზრდილობიანი, ტაქტიანი და მშვიდი ქცევით გამოირჩევა, რაც მოთამაშეთა თვითდარწმუნებულობასა და ორგანიზებულობაზე მეტყველებს. ამ მხრივ გამონაკლისს არც ჯვარედინი დაკითხვა წარმოადგენს. თქვენ გჭირდებათ პასუხები და ამ პროცესისათვის განკუთვნილი დროის მაქსიმალურად გამოყენებას ცდილობთ, ამიტომ ნუ მიიტანთ „იერიშს“ ოპონენტზე და, თუ სასურველ პასუხს ვერ მიიღებთ, ნუ გამართავთ ჩხუბს, ეს დროს დაგაკარგვინებთ და გარდა ამისა, უარყოფითად იმოქმედებს თქვენს პერსონალურ ქულებზე.

მსაჯობა

მსაჯის ფუნქციები:

დებატების მსაჯს შემდეგი მოვალეობები ეკისრება:

გამარჯვებულის გამოვლენა

ბიულეტენის შევსება

ჩანაწერის გაკეთება

თამაშის განხილვა და ინდივიდუალური კომენტარების გაკეთება

თამაშის წაყვანა და დროის დანიშვნა

გადაწყვეტილების მიღებისას მსაჯმა შემდეგი კრიტერიუმებით უნდა იხელმძღვანელოს:

- ლოგიკური მსჯელობა
- არგუმენტაცია
- ანალიზები
- ეფექტური პრეზენტაცია
- უარყოფა და აღდგენა
- ორგანიზებულობა
- დამამტკიცებელი მასალა
- გუნდური თამაში
- სპიკერთა მოვალეობების შესრულება
- იუმორი
- წესების დაცვა

თითოეული მოდებატის თამაშის განხილვისას მხედველობაში უნდა მივიღოთ შეფასების ოთხი მთავარი კატეგორია და შესაბამისი აღნიშვნები გავაკეთოთ ბიულეტენში,რომელიც წინასწარ მომზადებული იქნება ცხრილის სახით ქვემოთ მოყვანილი კრიტერიუმებით:

ორგანიზაცია — აქ მნიშვნელობა ენიჭება გმომსვლელის მიერ წარმოდგნელი პოზიციის სტრუქტურას, თუ რამდენად ორგანიზებული, დალაგებული, დროში გათვლილი და ადვილად გასაგებია მისი გამოსვლა.

არგუმენტაცია — აქ განმსაზღვრელია მოდებატის უნარი — გააბათილოს მოწინააღდეგის არგუმენტები და გაამყაროს საკუთარი პოზიცია. ყოველივე ეს გააკეთოს მკაფიოდ და გვიჩვენოს, რომ დასმული საკითხი მას კარგად ესმის.

დამამტკიცებელი მასალა — აღნიშნული სპიკერის ფუნქციის გათვალისწინებით, აქ ყურადღება უნდა დაეთმოს, რამდენად სრულად იქნა წარმოდგენილი მოთამაშის მიერ დამამტკიცებელი მასალის საბუთები და განმარტებები და რამდენად ასაბუთებენ ისინი არგუმენტებს.

პრეზენტაცია – აქ მნიშვნელოვანია სპიკერის ორატორული უნარები, ანუ მის მიერ სიტყვის წარმოთქმის ტექნიკა, სტილი, გამოსვლის ეფექტურობა, დინამიურობა და დამაჯერებლობა.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების სტრატეგიები

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მრავალი სტრატეგია არსებობს. ჩვენ შემოგთავაზებთ პროექტებით სწავლებას და როლურ თამაშს.

პროექტებით სწავლება

სასწავლო პროექტი – კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალფეროვანი სამუშაოა, რომლის დროსაც ვითარდება კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და საკომუნიკაციო უნარები. პროექტი აქტიური და მიზანმიმართული სწავლის საშუალებას იძლევა.

მოსწავლეები მუდმივად სვამენ შეკითხვებს: რატომ გვასწავლით ამა თუ იმ საკითხს? რაში გამომადგება ეს ცოდნა? ამ კითხვებზე დამაჯერებელი პასუხის გაცემაში მასწავლებელს სასწავლო პროექტებში მოსწავლეების ჩართვა დაეხმარება. პროექტზე მუშაობის დროს რეალური პრობლემის გადაჭრისას მოსწავლეები შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს იყენებენ პრაქტიკაში. პროექტით სწავლება იწვევს მოსწავლეთა მოტივირებას და ზრდის მათ პასუხიმგებლობას. ისინი ხალისით ასრულებენ სამუშაოებს, მაშინაც კი, თუ მათი შესრულება ხანგრძლივ ძალისხმევას მოითხოვს.

პროექტგაკვეთილი წარმოადგენს სწავლების განსაკუთრებულ ფორმას, სადაც მასწავლებლები და მოსწავლეები ერთობლივად ფორმულირებულ თემას/საკითხს, პრობლემას მიმართავენ, რომლის დასამუშავებლად განავითარებენ გეგმას, მონაწილეობენ მის გადაჭრაში და ერთ საერთო პროდუქტს წარმოადგენენ.

პროექტზე მუშაობა ნათელყოფს, რომ როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლეების წინაშე სრულიად ახალი ამოცანები დგება, რომლებიც არსებითად განსხვავდება ტრადიციული გაკვეთილისგან. პროექტით სწავლება გულისხმობს სკოლისგარეშე დაწესებულების ჩართვას სასწავლო პროცესში, პროექტით სწავლებასთან ერთად იზრდება ორივე მხარის *(როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლის)* კომპეტენციის მოპოვების პოტენციალი და შესაძლებლობები. პროექტგაკვეთილი მასწავლებელს მისცემს შესაძლებლობას, სრულად წარმოაჩინოს თავისი აღმზრდელობითი და პროფესიული კომპეტენცია, როგორც სასწავლო პარტნიორმა. პროექტების მიმდინარეობისას მასწავლებელი კონსულტანტის როლს ასრულებს, ხელმძღვანელობს სამუშაოებს, ძიებისა და კვლევის დროს მოსწავლეებს მიმართულებას აძლევს. ასევე, იგი უთითებს საინფორმაციო წყაროებს.

პროექტმეთოდის დამახასიათებელი ნიშნები:

პროექტგაკვეთილი სწავლების სხვა მეთოდებისგან განსხვევებით, გამოირჩევა შემდეგი ტიპური ნიშნებით:

- პროექტის ინიციატივა მომდინარეობს პროექტში მონაწილეთაგან – როგორც მასწავლებლისგან, ასევე მოსწავლეთაგან;
- პროექტში მონაწილეები თანხმდებიან ერთმანეთთან ურთიერთობის ფორმებზე;
- ერთად ავითარებენ პროექტის ინიციატივას, რათა საქმიანობა იყოს გააზრებული, რაციონალური;
- თანხმდებიან პროექტგაკვეთილის მიზანზე, აქტივობებზე, მუშაობის პირობებზე, სავარაუდო შედეგებზე;
- თავად შემოსაზღვრავენ დროით ჩარჩოს და ამ დროს ანაწილებენ სხვადასხვა აქტივობაზე;
- თანხმდებიან სამუშაოს ჩარჩოებზე - შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით ინაწილებენ სამუშაოს;
- მთელი პროექტის მიმდინარეობისას ამჟღავნებენ როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ ინტერესს, ანგარიშს უწევენ ორივეს, ორივეს კრიტიკულად აფასებენ და ავითარებენ;
- მოსწავლეებს უვითარდებათ თვითორგანიზაციისა და თვითპასუხისმგებლობის გრძნობა;
- აფასებენ როგორც საკუთარ, ასევე პროექტის სხვა მონაწილეთა საქმიანობას;
- გრძნობენ მუშაობის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებს, დაძაბულობასა და კონფლიქტებს და ცდილობენ მათ გადაჭრას;
- მზად არიან სხვადასხვა სიტუაციაში ერთმანეთის დახმარებისთვის, მაშინაც კი, როცა მათი ინდივიდუალური ინტერესი არ არის წინა პლანზე;
- საქმე აქვთ რეალურ, ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და საგნებთან;
- მსჯელობენ ისეთ აქტუალურ და პრობლემურ საკითხებზე, რომლებსაც თავად აწყდებიან, ეძებენ მათი გადაჭრის გზებს;

- თავად გეგმავენ და აწარმოებენ კვლევის პროცესს;
- თვალნათლივ ხედავენ პროექტის პროდუქტს;
- ხშირად მათთვის გამოსაყენებელ პროდუქტს იღებენ.

რა სფეროებს შეიძლება მოიცავდეს პროექტგაკვეთილის თემა?

პროექტზე დაფუძნებული სწავლება ხელს უწყობს მონაწილეთა წინარე ცოდნას და გამოცდილებაზე ახლის დაშენებას, ასევე პროექტმეთოდში დიდი როლი ენიჭება მონაწილეთა მოთხოვნილებებს, მიდრეკილებებსა და ინტერესებს. პროექტგაკვეთილის თემა უნდა იყოს აქტუალური და იგი შესაძლებელია:

- ეხებოდეს პრობლემას, რომლის გადაჭრა როგორც ერთი საგნის დისციპლინური ცოდნით შემოიფარგლება, ასევე დისციპლინათშორისი გამოცდილების გამთლიანებას ემსახურება.

სასურველია, რომ სხვადასხვა საგნისა და საგნობრივი ჯგუფის პედაგოგებმა ერთობლივად დაგეგმონ და განახორციელონ პროექტგაკვეთილები, რადგან საგანთა მომცველი – ინტერდისციპლინური პროექტებში მონაწილეობა მოსწავლეებს ეხმარება ერთი და იგივე საკითხის მრავალი კუთხით დანახვაში. ამ დროს მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ ტრანსფერისა (ერთ სიტუაციაში მიღებული ცოდნის სხვა სიტუაციაში გამოყენების) და სხვადასხვა დისციპლინური გამოცდილების სინთეზის უნარი.

- საპროექტო თემა სცილდებოდეს სასწავლო პროგრამას და პროექტის თემის არჩევა განპირობებული იყოს აღმზრდელობითი მიზნით, საზოგადოებაში/თაობაში არსებული პრობლემით, მოსწავლეთა ინტერესით.

კიდევ რას უნდა ითვალისწინებს მასწავლებელი პროექტგაკვეთილის დაგეგმვისას:

პროექტის დაგეგმვის დროს, გასათვალისწინებელია შემდეგი:

- სასწავლო პროექტების თემის შერჩევაში, დაგეგმვასა და პრობლემის მართვაში მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობა. მოსწავლე არ უნდა იყოს მხოლოდ შემსრულებლის და მით უმეტეს, ტექნიკური შემსრულებლის როლში;
- პროექტში მონაწილეთათვის გადასაჭრელი პრობლემა იყოს მნიშვნელოვანი, აქტუალური;
- პროექტგაკვეთილი დაიგეგმოს პრაქტიკული საქმიანობისთვის და არა ღირსშესანიშნავი/საჩვენებელი დღეებისთვის; მაშასადამე, დაგეგმილი აქტივობები უნდა ემსახურებოდეს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას;
- მოსწავლეთა ასაკობრივი მზაობის შესაბამისი რესურსების გამოყენება;
- საკმარისია თუ არა მოსწავლეთა კომპეტენცია პროექტით დასახული მიზნების და დაგეგმილი შედეგების მისაღწევად;
- საკმარისია თუ არა ვადები პროექტის შედეგების მისაღწევად;
- არის თუ არა გუნდის წევრებს შორის ფუნქციები განაწილებული ისე, რომ წარმოჩინდეს ყოველი წევრის ძლიერი მხარე.

პროექტზე მუშაობის დროს მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ საინფორმაციო სივრცეში ორიენტაციისა და დამოუკიდებელი სწავლის უნარ-ჩვევები, ასევე ანალიტიკური, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარები. აუცილებელია, მასწავლებელმა, როგორც ექსპერტმა იგრძნოს, თუ როდის არის ჩარევა საჭირო და როდის უნდა მისცეს მოსწავლეებს დამოუკიდებელი მუშაობის საშუალება. სპეციალისტები მასწავლებლის ამ როლს უწოდებენ „მასწავლებელი, როგორც მონაწილე ხელმძღვანელი“, ისინი იყენებენ ცნებას „ხელმძღვანელი მონაწილე“ და ამით ნათელყოფენ, რომ მასწავლებელი ახდენს მოსწავლის პროვოცირებას მისი პასიური მდგომარეობიდან აქტიურ მდგომარეობაში გადასაყვანად იმისათვის, რომ მან შეიძინოს ის აუცილებელი კომპეტენციები, რომლებიც გაუადვილებს პროექტზე მუშაობას:

- თანამშრომლობის კომპეტენცია, რაც აუცილებელია ჯგუფური პროექტების განხორციელებისთვის;
- კომუნიკაციის კომპეტენცია კონტაქტების დამყარებისთვის, პროექტში საერთო განსჯისა და მუშაობისთვის;
- ორგანიზაციის კომპეტენცია, რომელიც მას გამოადგება დაგეგმვის პროცესში;
- პროდუქციის შექმნის კომპეტენცია, რაც მას გამოადგება ტექსტების, ვიდეოების, ფოტოების, რეპორტაჟების, ვებგვერდების და სხვათა მოსამზადებლად;
- ცოდნის ტრანსფერი – ერთ სიტუაციაში ნასწავლის, სხვა სიტუაციაში გამოყენების უნარი;
- პასუხისმგებლობის კომპეტენცია;
- თვითშეფასების კომპეტენცია, რაც ნიშნავს თვითდამკვიდრების, თვითრეფლექსიის უნარს და მოსწავლეთა დამოუკიდებლობას;
- პრეზენტაციის კომპეტენცია, რომელიც აუცილებელია პროდუქტის პლენუმზე ან სულაც საზოგადოების წინაშე წარსადგენად.

სასურველია, რომ სხვადასხვა საგნისა და საგნობრივი ჯგუფის პედაგოგებმა ერთობლივად დაგეგმონ და განახორციელონ სასწავლო პროექტები, რადგან საგანთა მომცველ – ინტერდისციპლინური პროექტებში მონაწილეობა მოსწავლეებს ეხმარება ერთი და იმავე საკითხის მრავალი კუთხით დანახვაში.

პროექტის სტრუქტურა

პროექტის დაგეგმვის დროს, გასათვალისწინებელია შემდეგი:

- რამდენად მნიშვნელოვანია/აქტუალურია პრობლემა, რომლის გადაჭრასაც ვაპირებ;
- საკმარისია თუ არა გუნდის წევრების კომპეტენცია პროექტით დასახული მიზნების და დაგეგმილი შედეგების მისაღწევად;
- პრობლემა ან მისი გადაჭრის გზები წარმოადგენს თუ არა სიახლეს და ითხოვს თუ არა შემოქმედებითობას;
- დაგეგმილი აქტივობები ემსახურება თუ არა თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოყ-

ენებას;

- არსებობს თუ არა საკმარისი მატერიალური და ადამიანური რესურსები პროექტის განსახორციელებლად;
- საკმარისია თუ არა ვადები პროექტის შედეგების მისაღწევად;
- არის თუ არა გუნდის წევრებს შორის ფუნქციები განაწილებული ისე, რომ წარმოჩინდეს ყოველი წევრის ძლიერი მხარე.

პროექტის ფაზები

პროექტებს აქვს განსაზღვრული სტადიები. ყველა სტადიაზე მთავარია, მოსწავლეს მიეცეს შესაძლებლობა, თავად იყოს პასუხისმგებელი საკუთარ ნამუშევარზე.

- **თემა და პრობლემა** – შეიძლება შერჩეული იყოს მასწავლებლის მიერ და წარედგინოს კლასს ამოსარჩევად, ან უშუალოდ კლასის მიერ იყოს ამორჩეული, მაგალითად – „გონებრივი იერიშით“. ძალიან კარგია, როდესაც საკითხი ან პრობლემა მოსწავლეთა ინტერესის სფეროს წარმოადგენს. საკითხი უნდა იყოს კონკრეტული, რათა არ მოხდეს მოსწავლეთა დაბნევა.

თქვენი მხრივ, მოსწავლეებს პროექტზე მუშობისას შეგიძლიათ შესთავაზოთ განსაკუთრებული მეთოდი ან ტექნიკური მოწყობილობა, რომელსაც მოსწავლეები გამოიყენებენ მუშაობის პროცესში.

- **დაგეგმვა.** მასწავლებელმა და მოსწავლეებმა ერთობლივად უნდა გადაწყვიტონ, როდის იწყებენ პროექტზე მუშაობას, რა დრო დასჭირდებათ, რა რესურსებს გამოიყენებენ და სად შეიძლება მათი მოძიება, მოსწავლეები სათითაოდ იმუშავებენ თუ ჯგუფებში, იმუშავებენ ერთი და იმავე, თუ სხვადასხვა თემაზე.

- **მასალის შეგროვება, ანალიზი და მეთოდები.** პროექტზე მუშაობა ძალიან სწრაფად გამოუმუშავებს მოსწავლეებს სხვადასხვა უნარს. მაგ., კვლევითი პროექტისას – ინტერვიუს აღების, ლიტერატურაზე მუშაობის, სტატისტიკური დამუშავების, მასალის ანალიზის და სხვ. უნარებს; შემოქმედებითი პროექტის შესრულებისას – შეიძლება, საჭირო გახდეს ისეთი ტექნიკური ცოდნა და უნარები, როგორიცაა ვიდეოკამერასთან მუშაობა; შემოქმედებითი უნარები – ტრანსპარანტების და დროშების დასამზადებლად. საუკეთესოა პროექტი, რომელიც მოსწავლეებისგან მოითხოვს მათი ყველა უნარის გამოყენებას: კვლევითის, შემოქმედებითის, სოციალურის. ამ საფეხურზე მასწავლებელს შეუძლია უპასუხოს მოსწავლეთა კითხვებზე ან მისცეს მათ რჩევები, მაგრამ პასუხისმგებელნი საკუთარ სამუშაოზე თავად მოსწავლეები არიან.

- **კვლევის შედეგები** შეიძლება იყოს ანგარიში, ფილმი, გამოფენა, აუდიოკასეტა, ლექცია, სურათი, კონფერენცია... უმჯობესია, თუ წარმოდგენილი იქნება არა მარტო კვლევის შედეგები, არამედ პროექტზე მათი მუშაობის ყველა სტადია; ჩანდეს, რას გრძნობენ მოსწავლეები შესწავლილ პროექტთან დაკავშირებით. სამუშაო შეიძლება წარდგენილი იყოს კლასის ან უფრო ფართო აუდიტორიის წინაშე.

- **შეფასება და თვითშეფასება**. იმდენად, რამდენადაც ერთი და იგივე პროექტი

ხშირად რამდენიმე სფეროს მოიცავს, სამუშაოს შეფასებამ შეიძლება, რამდენიმე პედაგოგს მოუწიოს. შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს არა მარტო აკადემიური კრიტერიუმი, არამედ პროექტში გამოყენებული ყველა ცოდნა და უნარები. პროექტის დაგეგმვის დროს აუცილებლად გასათვალისწინებელია მონიტორინგის მექანიზმი და პერიოდულობა – როგორ წარმოუდგენიათ პროექტში მონაწილეებს (როგორც მასწავლებლებს, ასევე მოსწავლეებს) პროექტის შუალედური და საბოლოო მონიტორინგის ჩატარება. შიდა მონიტორინგის დროს პროექტის განმხორციელებლები აფასებენ, რამდენად წარმატებით მიმდინარეობს პროექტი. შუალედური შიდა მონიტორინგის (თვითშეფასების) მუდმივი წარმოება პროექტში მონაწილეებს დაეხმარება, დაინახონ მუშაობის პროცესში დაშვებული შეცდომები, გამოასწორონ ისინი, შეძლონ დასახული ამოცანების ადაპტირება, ეს კი ხელს შეუწყობს პროექტის წარმატებით განხორციელებას და სასურველ შედეგზე გასვლას. გარე მონიტორების მხრიდან პროექტის შუალედური შეფასებისთვის პროექტში ჩართულმა პირებმა პერიოდულად უნდა მოამზადონ შუალედური წერილობითი თუ ზეპირი ანგარიშები. გარე მონიტორების მიერ მიცემული შენიშვნების, რჩევების, რეკომენდაციების გათვალისწინება *ხელს შეუწყობს აგრეთვე პროექტის წარმატებულ განხორციელებას.*

ემერ ლენცენის (2002) აზრით, სკოლის პროექტგაკვეთილის მიმდინარეობა იყოფა შემდეგ ფაზებად:

- ინიციატივა – ინიციატივა ჩნდება, იდეები პროექტგაკვეთილისათვის ნაპოვნია;
- დასაწყისი – პროექტი დაიწყო და დაიგეგმა;
- განხორციელება – პროექტი ხორციელდება;
- პრეზენტაცია – პროექტის შედეგების წარდგენა;
- შეფასება (რეფლექსია) – პროექტი ფასდება და გრძელდება.

გთავაზობთ პროექტის შეფასების სარეკომენდაციო ცხრილს.

უნარები, რომლებიც შეიძლება შეფასდეს პროექტის განხორციელების პროცესში:

- პრობლემის განსაზღვრის (იდენტიფიცირების);
- ინფორმაციის მოძიების;
- თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების;
- საქმიანობის ორგანიზების;
- შემოქმედებითობის;
- მოძიებული ინფორმაციის კლასიფიკაციისა და კატეგორიზაციის;
- შედეგების ანალიზის;
- პრობლემის გადაჭრის;
- გადაწყვეტილებების მიღების.

როლური თამაში

სიმულიაცია ანუ როლური თამაში არის თანამშრომლობითი სწავლების ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც მოსწავლეთათვის განსაკუთრებით სახალისოს ხდის სასწავლო პროცესს. სიმულაცია გულისხმობს ხელოვნური სიტუაციების შექმნას, რომელიც რეალობის მსგავსია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სიმულაცია არის რეალობის გათამაშება. სიმულაციას ადამიანების მონაწილეობით როლურ თამაშს უწოდებენ.

როლური თამაშები სწავლების აქტიური ფორმაა; ამ დროს მოსწავლეები არა მხოლოდ გონებრივად, არამედ ფიზიკურადაც აქტიურები არიან, მათ საშუალება აქვთ გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულებები, ემოციები, რაც აადვილებს სწავლის პროცესს და მასალის ათვისებას.

განასხვავებენ როლური თამაშის ორ ძირითად ტიპს:

- თავისუფლად ასოცირებული და სპონტანური როლური თამაშები, რომლებსაც თამაშის მონაწილეები თამაშის დროს თავიანთი ფანტაზიით ქმნიან და უმეტეს შემთხვევაში ცვალებადი სცენარებით თამაშობენ.
- რეგლამენტირებული როლური თამაში, რომელშიც მოთამაშეები მყარი „თამაშის წესს“ და სცენარს მისდევენ და თამაშის განსაზღვრულ საშუალებებს იყენებენ. ფართო გაგებით, მას მიეკუთვნება თამაშის ყველა ტიპი, რომელსაც განმეორებით, მყარი წესების მიხედვით თამაშობენ.

როლური თამაშის მიზანია:

- სხვა ადამიანის როლის თამაშით მოსწავლეებმა ერთი და იმავე პრობლემას რამდენიმე განსხვავებული კუთხით შეხედონ, რაც მათ თვალსაწიერს განუვითარებს;
- შესაძლებელია, მიცემული როლები მეტად განსხვავებული იყოს პიროვნების ხასიათისაგან ან ძალიან ჰგავდეს მას. როლების გაცვლით შესაძლებელი ხდება, მოსწავლეები ჯგუფის იმ წევრის გრძნობებსა და ფიქრებს ჩასწვდნენ, რომელთა ხასიათი შეესაბამება გათამაშებულ როლს. ეს კი მათ უვითარებს ემფატიის/თანაგანცდის უნარს.

სწავლების პროცესში როლური თამაშის გამოყენებას აქვს როგორც კოგნიტური, ასევე აფექტური (ემოციური) და ფსიქო-მოტორული მიზანი. მისი გამოყენებით მოსწავლეები შეძლებენ:

- თემატურად მსგავსი შინაარსების ურთიერთდაკავშირებას;
- ინფორმაციისა და გამოცდილებების როლური გათამაშებით გადმოცემას;
- შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას;
- ტოლერანტობისა და ემფატიის გრძნობის გამომუშავებას;
- კომუნიკაციური უნარების განვითარებას;
- შესაძლო პერსპექტივების წარმოსახვას;
- თვითრეფლექსიას;
- თვითრეალიზებას;

- ქმედებაზე ორიენტირებული კომპეტენციისა და გადაწყვეტილების მიღების უნარის გამომუშავებას;
- სოციალური კომპეტენციების გამომუშავებას;
- განსაზღვრული/მოცემული ქმედებების იმიტაციას და დახვეწას.

  როლური თამაში სამი ფაზისაგან შედგება:

- მომზადება;
- გათამაშება;
- განხილვა

მომზადება

როლური თამაშისთვის წინასწარ უნდა მოემზადონ როგორც მასწავლებელი, ასევე მოსწავლეები.

- მასწავლებელი განსაზღვრავს მიზანს;
- იგი ირჩევს როლურ თამაშს და ადგენს სცენარს, რომელიც შესაბამისობაშია სასწავლო თემატიკასთან და მოსწავლეთა ცოდნის დონესთან;
- აძლევს მათ ინსტრუქციას. ინსტრუქცია სასურველია იყოს წერილობითი. ინსტრუქცია დეტალურად უნდა აღწერდეს თამაშის მიზანს, შესრულების დროს, რაც შეზღუდული არის ხოლმე; ასევე, თამაშის განმავლობაში შესასრულებელ როლს, თამაშის წესს. იგი უნდა იყოს მარტივი ენით დაწერილი, გასაგები და კონკრეტული;
- მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავებს როლური თამაშის შეფასების კრიტერიუმებს;
- თუ მასწავლებელს სურს, მოსწავლეებს დაკვირვების და ობიექტური შეფასების უნარები განუვითაროს, შესაძლებელია, ჯგუფის წევრებს შორის გამოჰყოს დამკვირვებლები, რომლებიც შეაფასებენ როლურ თამაშში მონაწილეებს წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით.

გათამაშება

შემდეგი ეტაპი უშუალოდ თამაშის მსვლელობაა:

- მოსწავლეები ასრულებენ როლებს ინსტრუქციის შესაბამისად. როლური თამაშების შედეგი პირდაპირ უკავშირდება ჯგუფის წევრების პროცესში ჩართულობასა და დადებითი ატმოსფეროს შენარჩუნებას, ამიტომ, ჯგუფის პასიური წევრები უნდა წავახალისოთ, რათა მონაწილეობა მიიღონ პროცესში.

განხილვა

- როლური თამაშების დასრულების შემდეგ მონაწილეები ასრულებენ მოქმედებას და გამოდიან როლიდან; ისინი გამოთქვამენ მოსაზრებებს, რა შეიძინეს/ისწავლეს და გამოხატავენ ემოციებს, თუ როგორ გრძნობენ თავს. მონაწილეები აფასებენ

ჯგუფის მუშაობის შედეგებს იმის მიხედვით, თუ რა ისწავლეს, რა იყო პოზიტიური და ნეგატიური მუშაობის პროცესში; განხილვა უნდა იყოს პოზიტიური და მხოლოდ შინაარსსა და პროცესს უნდა შეეხებოდეს და არა პიროვნებებს, მონაწილეებს, მათ თვისებებს და ა.შ.:

- ამის შემდეგ დამკვირვებლები გამოთქვამენ თავიანთ კომენტარებს ჯგუფის

  მუშაობასთან დაკავშირებით;

- ბოლოს მასწავლებელი მოსწავლეების დახმარებით აკეთებს შედეგების შეჯამებას და ჯგუფის მუშაობას აკავშირებს მიზანთან.

სასწავლო პროცესში როლური თამაშების გამოყენების დადებითი ეფექტებია:

- თამაშში მონაწილე ყოველთვის ხალისით ერთვება;
- თამაშში მონაწილეობა ინტერესსა და ენთუზიაზმს იწვევს მოსწავლეებში:
- მონაწილეები უკუკავშირს მაშინვე იღებენ.

როლურ თამაშს ახლავს შემდეგი სირთულეები:

- როლური თამაშები მოსწავლისა და მასწავლებლის მხრიდან მოითხოვს წარმოსახვის კარგად განვითარებულ უნარს;
- როლური თამაშის დროს მოსწავლესა და მასწავლებელს შორის განვითარებულმა ურთიერთობამ შეიძლება, ზედმეტად არაფორმალური ხასიათი მიიღოს, რამაც შეიძლება, კლასის მართვასთან დაკავშირებული პრობლემები წარმოშვას;
- ჯგუფის ყველა წევრი ჯგუფში შეიძლება ვერ გრძნობდეს თავს კომფორტულად, ადამიანებს ზოგჯერ უჭირთ დავალების სიმულაცია, სხვების თანდასწრებით ემოციებისა და დამოკიდებულებების თავისუფლად გამოხატვა.
- ვინაიდან როლური თამაშის დროს განსხვავებული აზრები წარმოიშობა, შეიძლება, ჯგუფის წევრებმა ერთმანეთს ვერ გაუგონ და ჯგუფის წევრებს შორის ნეგატიური ურთიერთგანწყობა წარმოიშვას; შესაძლებელია, ჯგუფის წევრებს გაუჭირდეთ როლიდან გამოსვლა;
- როლური თამაშების ჩატარება ძნელია დიდ ჯგუფებთან.

როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრა?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შემოქმედებითი აზროვნების დროს ხდება იდეების **გენერირება**, განსხვავებული, ორიგინალური და არასტანდარტული შესაძლებლობების ძიება ან არსებული შესაძლებლობების კორექტირება და სრულყოფა; იგი შეიძლება დავახასიათოთ როგორც დივერგენტული და სუბიექტური.

კრიტიკული აზროვნება კი მოითხოვს შესაბამისი ან საუკეთესო პასუხის მოძებნას, ახსნას, ლოგიკურ დასაბუთებას, შედარება-შეპირისპირებას, კანონზომიერების დანახვას ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, პარალელების გავლებას, კავშირების მოძებნას. იგი შეიძლება დავახასიათოთ როგორც კონვერგენტული, სწორხაზოვანი, პირდაპირი და

ობიექტური.

კრიტიკული აზროვნება გულისხმობს შემოქმედებითი აზროვნების შედეგად გენერირებული შესაძლებლობების ფრთხილად, ობიექტურად და კონსტრუქციულად დამუშავებას/გადასინჯვას.

პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრისთვის აუცილებელია მოზღვავებული იდეების გაანალიზება და შეფასება, ე.ი. შესაძლებლობების გენერირებიდან კრიტიკული აზროვნების, ანუ ***ფოკუსირების*** ფაზაში გადანაცვლება. მხოლოდ ერთ-ერთზე დაყრდნობა ეფექტიანი ვერ იქნება – პრობლემის გადასაჭრელად მრავალფეროვანი იდეების გენერირება არ არის საკმარისი. მეორე მხრივ, მხოლოდ აზროვნების ფოკუსირება არ იძლევა მრავალრიცხოვანი შესაძლებლობებიდან საუკეთესოს შერჩევის საშუალებას.

პრობლემების გადაჭრის პროცესში სტუდენტმა უნდა შეძლოს აზროვნების სამივე ტიპის – შემოქმედებითის, ანალიტიკურის და კრიტიკულის ცვალებადობა. სრულყოფილია აზროვნების პროცესი, როდესაც აზროვნების დროს არც ერთი პერსპექტივა არ არის გამოტოვებული და საკმარისადაა გათვალისწინებული.

განვიხილოთ პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ეფექტიანი და ხშირად გამოყენებადი მეთოდი –- **გონებრივ იერიშს**.

გონებრივი იერიში

მეცხრამეტე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ამერიკელმა ალექს ოსბორნმა (1888-1966) შეიმუშავა სტრატეგია, რომელიც ლიტერატურაში გონებრივი იერიშის სახელითაა ცნობილი. შემდგომში ეს სტრატეგია დახვეწა კლარკმა. ოსბორნი მუშაობდა რეკლამის სფეროში, სადაც მას თვალში მოხვდა, რომ სტანდარტული სამუშაო შეხვედრები კრეატიული იდეების პოვნისთვის უფრო შემაფერხებელი აღმოჩნდა, ვიდრე სტიმულის მიმცემი. ოსბორნმა თანამშრომლებთან სამუშაო შეხვედრების დროს დააფიქსირა, რომ როდესაც რაიმე პრობლემის გადაჭრის გზებს განიხილავდნენ, ახალი იდეების წარმოშობას სისტემატურად აფერხებდა კოლეგების მხრიდან წამოსული ნეგატიური და კრიტიკული კომენტარები. სწორედ ამიტომ დაიწყო მან გზების ძიება, თუ როგორ დაენერგა ისეთი მიდგომა, რომელიც თანამშრომლებთან სამუშაო შეხვედრისას კრეატიული და ინოვაციური გადაწყვეტილებების პოვნაში დაეხმარებოდა. ასეთად მან გონებრივი იერიში მიიჩნია.

გონებრივი იერიშის ეტაპები

გონებრივი იერიშის ძირითადი პრინციპი შემდეგია:

მოსამზადებელ ეტაპზე „გონებრივი იერიშის“ ინიციატორს ხელთ უნდა ჰქონდეს მეთოდისთვის საჭირო ყველა რესურსი – დაფა, ფლიპჩარტი, მარკერი, ცარცი და ა.შ.; უნდა განისაზღვროს, ვინ იქნება მოდერატორი/ფასილიტატორი, ანუ ვინ წაიყვანს პროცესს. ინიციატორიც და მოდერატორიც უმეტესწილად მასწავლებელია, მაგრამ შესაძლებელია იყოს ჯგუფის რომელიმე წევრიც.

„გონებრივი იერიშის“ დაწყების წინ საკითხი ან პრობლემა, რომლის გარშემოც იდეები უნდა განვითარდეს, ცხადად უნდა იყოს ფორმულირებული ჯგუფის წევრების წინაშე. კლარკი განასხვავებს საკითხის დასმის ორ შესაძლებლობას: 1. ზოგადი კითხვები, რომლებიც ახსნის მრავალ შესაძლებლობას გვთავაზობს (მაგ., რა პრობლემები შეიძლება

წარმოშვას ტყეების გაჩეხამ?) და 2. კონკრეტული კითხვები, რომლებიც მიმართულია უშუალოდ პრობლემის გადაჭრისკენ (მაგ., შენ როგორ მოიქცევი, ეს ეკოლოგიური პრობლემა რომ ავიცილოთ თავიდან?).

პირველ ეტაპზე ყველა მონაწილის მაქსიმალური ჩართულობით უნდა წამოიჭრას შეძლებისდაგვარად ბევრი იდეა, ისე, რომ არ მოხდეს იმის განსჯა, რომელი იდეაა უფრო მომწიფებული და ხარისხობრივად ღირებული, რომლის დანერგვა და განხორციელება უფრო მომგებიანია პრაქტიკაში. გამონაკლისის გარეშე, ჯგუფიდან წამოსული ყველა იდეა, კრიტიკისა და სელექციის გარეშე ფიქსირდება დაფაზე/ფლიფჩარტზე. იდეების ჩამწერი ანუ პროტოკოლანტი შესაძლებელია იყოს თავად მოდერატორი ან ჯგუფის სხვა რომელიმე წევრი. შეიძლება, უჩვეულოდ მოგვეჩვენოს, რომ ამ ეტაპზე უპირატესობა ენიჭება იდეების რაოდენობას და არა ხარისხს, თუმცა პროცესის დასაწყისში არასოდეს არის ცნობილი, რომელი იდეა პრობლემის გადაჭრის რა პოტენციალს შეიცავს. ხშირია შემთხვევა, როდესაც ჯგუფის ერთი წევრის მიერ გამოთქმულ იდეას განავრცობენ ჯგუფის სხვა წევრები. ასე მივდივართ სინერგეტიკულ ეფექტამდე, რომლის დროსაც ჯგუფის ცალკეულ წევრთა გონებაში ახალი, კრეატიული აზრები მწიფდება. გონებრივი იერიშის დროს წინა პლანზე დგას უკვე ხელთ არსებული იდეებისა და გადაჭრის გზების არა რეპროდუქცია, არამედ ახალი შესაძლებლობების კონსტრუქციული პოვნა. ამასთანავე მნიშვნელოვანია, რომ მონაწილეებმა პირველ ეტაპზე გამოხატონ არასტანდარტული, უჩვეულო ასოციაციები, რაც ჯგუფის სხვა წევრებში ასოციაციების გამოწვევის სტიმულად შეიძლება იქცეს.

იმისათვის, რომ გონებრივი იერიშის მეთოდს წარმატებით ემუშავა, პირველი ეტაპისთვის ოსბორნმა რამდენიმე ძირითადი კანონი შემოიღო, რომლებიც კრეატიული იდეების შეგროვების გარანტია უნდა ყოფილიყო:

1. არ გააკრიტიკო არც ერთი იდეა, რადგან ყველა იდეა ღირებული იდეაა;
2. რაც უფრო მეტი იდეა წამოვა ჯგუფიდან, მით უკეთესი;
3. შევავსოთ და გავაუმჯობესოთ უკვე არსებული იდეები;
4. რაც უფრო უჩვეულო და ორიგინალურია იდეა, მით უკეთესი;
5. ნუ შეგეშინდებათ, იყავით თამამი, ორიგინალური;
6. ჩამოაყალიბეთ იდეა მოკლედ, ლაკონურად და ნათლად.

ამ ეტაპზე მოდერატორის ძირითადი ფუნქციაა:

1. ჯგუფისგან მოითხოვოს რაც შეიძლება მეტი იდეა;
2. დაეხმაროს მოსწავლეებს იდეის ლაკონურად ჩამოყალიბებაში;
3. მიუთითოს ჩანაწერების გამკეთებელს, როგორ გადაიტანოს იდეა მოკლედ ფლიფჩარტზე/დაფაზე;
4. მოსწავლეებს შეაწყვეტინოს იდეის კრიტიკა და კიდევ ერთხელ შეახსენოს მათ, რომ მეორე ეტაპზე ყველას ექნება საშუალება, გააანალიზოს ნებისმიერი იდეა და შეაფასოს მისი ღირებულება.

მაშასადამე, მეთოდის პირველ ეტაპზე მნიშვნელოვანია, რომ შეიქმნას სამუშაო ატმოსფერო, სადაც ყველა საკითხი, იდეა, რომელიც წამოიჭრება მონაწილეთაგან, განიხილებოდეს, როგორც თანაბარი ღირებულების მქონე. ასეთ ატმოსფეროში იდეების ნაკადი უფრო სწრაფად და მარტივად გაჩნდება.

გონებრივი იერიშის ამ ეტაპზე მონაწილეების ჩართულობა იზრდება, მათ უვითარდებათ ასოციაციური და კრეატიული აზროვნება.

ბუნებრივია, რომ პირველ ეტაპზე შეგროვილი იდეები შემდგომ ეტაპზე კრიტიკულ გადახედვას საჭიროებს. სწორედ ამიტომ, ოსბორნმა ახალი, შემოქმედებითი, ინოვაციური იდეების გენერირება გამიჯნა ლოგიკური და კრიტიკული ნაწილისაგან.

მეთოდის შემდგომ ეტაპზე ჯგუფი იწყებს თითოეული იდეის განხილვას, იმ იდეების **დაზუსტებას**, რომლებიც ბოლომდე არ არის ნათელი, და იმ იდეების **უარყოფასა და გაცხრილვას**, რომლებიც მონაწილეთა აზრით, ვერ იმუშავებს, ვერ შეუწყობს პრობლემის გადაჭრას ხელს. განხილვის პროცესში ზოგიერთი მონაწილე აღმოაჩენს, რომ იდეა, რომელიც მათ პირველ ეტაპზე თითქოსდა უსარგებლოდ და აბსურდულად ჩათვალეს, შეიძლება სასარგებლოდ იქნას გამოყენებული. გაცხრილვის ეტაპზე ჯგუფი ფოკუსირებულია განხორციელებადი, საინტერესო იდეების მცირე რაოდენობაზე. მას შემდეგ, რაც მოხდება უსარგებლო იდეების გამოხშირვა, მონაწილეები ახდენენ მსგავსი იდეების **დაჯგუფებას**.

მეთოდის ამ ეტაპებზე მონაწილეებს უვითარდებათ ისეთი მაღალი სააზროვნო უნარები, როგორიც არის ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება.

გონებრივი იერიშის პროცესის არსებითი გამიჯვნა იდეების შემოქმედებითი გენერირების და ლოგიკურ-ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების ეტაპებად წარმოადგენს მეთოდის საფუძველს.

მეთოდის პრაქტიკული დასაბუთება

მეთოდის განხორციელების ეფექტიანობა დიდად არის დამოკიდებული ჯგუფის სიდიდეზე, სასწავლო ატმოსფეროსა და ხელმძღვანელის პროფესიონალიზმზე.

მეთოდის ეფექტიანად განხორციელებისთვის ჯგუფში მონაწილეთა იდეალური რაოდენობა 6-დან 20-მდე უნდა იყოს.

ჯგუფის ხელმძღვანელი/მოდერატორი უნდა იყოს ნეიტრალური, არ უნდა გამოხატავდეს არც ერთი იდეისადმი მის დამოკიდებულებას. მოდერატორმა თავი უნდა შეიკავოს საკუთარი იდეის გამოთქმისგან, რადგან ამან შეიძლება შექმნას მოსწავლეთა მანიპულირების საფრთხე - ისინი შეუერთდებიან ამ იდეას და მათი კრეატიულობა, ინოვაციები და ინდივიდუალური გადაწყვეტილებები დაიბლოკება. ეს საფრთხე განსაკუთრებით მაშინ არის მოსალოდნელი, როცა ხელმძღვანელის/მოდერატორის როლში მასწავლებელია.

ნიმერგუტი (1975) განსაზღვრავს ხელმძღვანელობისთვის აუცილებელ ოთხ ამოცანას:

1. ყურადღება მიაქციე, რომ დაცული იყოს „თამაშის წესები“;
2. პრობლემა/თემა წარადგინე მოკლედ და ლაკონურად;
3. კომუნიკაცია ისე დაამყარე მონაწილეებთან, რომ არ მოახვიო თავს საკუთარი აზრი;

4. თუ მონაწილენი თემას გადაუხვევენ, უზრუნველყავი კვლავ საკითხზე დაბრუნება;
5. უზრუნველყავი მონაწილეთა თანაბარი ჩართულობა.

გონებრივი იერიშის დადებითი და უარყოფითი მხარეები

დადებითი მხარეები:

- ხელს უწყობს ინოვაციური იდეებისა და პრობლემის გადაჭრის ადეკვატური გზების პოვნას;
- მონაწილეებს ეხმარება, დაინახონ პრობლემა სხვადასხვა პერსპექტივიდან;
- მაღალია მონაწილეთა ჩართულობა;
- ყველა მონაწილეს აქვს ერთი და იგივე სტატუსი და უფლებები;
- ხელს უწყობს მონაწილეებში შემოქმედებითი, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარებას;
- ის ფაქტი, რომ პირველ ეტაპზე ყველა იდეა ფასეულია, მოსწავლეებს უვითარებს სხვათა აზრების პატივისცემას;
- მოსწავლეებს უვითარდებათ კომუნიკაციური უნარები – ერთი მხრივ, ისინი ეჩვევიან საკუთარი აზრების გასაგებად და კომპაქტურად ჩამოყალიბებას, მეორე მხრივ – სხვათა აზრების „დაჭერას“ და შემდგომ გავრცობასა და განვითარებას;
- მარტივი მოდერაცია;
- საჭიროა მინიმალური რესურსები და ხარჯები;
- მინიმალურია ჯგუფის წევრებს შორის კონფლიქტის წარმოშობის საშიშროება, რადგან იდეების გენერირების პროცესში ყველა აზრი მისაღებია;
- შესაძლებელია სხვა მეთოდებთან ერთად მისი კომბინირებული გამოყენება.

უარყოფითი მხარეები:

- მეთოდის ეფექტიანობა ძალიანაა დამოკიდებული მონაწილეებზე;
- არის თემიდან გადახვევის საშიშროება;
- გადამეტებული სელექციის დროს შეიძლება, ვარგისი იდეა დაიკარგოს;
- პატენტის დაცვის სიძნელე (ვის ეკუთვნოდა პირველად იდეა).
- მეთოდის სრულყოფილად განხორციელებას ბევრი დრო სჭირდება, განსაკუთრებით – იდეების სელექციის ეტაპზე.

მეთოდის გამოყენება

გონებრივი იერიში განსაკუთრებით ეფექტიანად შეიძლება დაინერგოს გაკვეთილის საწყის ეტაპზე, ახალი თემის შეტანისას. ამ დროს მასწავლებელს სწრაფად შეუძლია გაიგოს, რა ცოდნას ფლობენ მოსწავლეები განსახილველი თემის ირგვლივ და რა დამოკიდებულება აქვთ საკითხის მიმართ, რაც მასწავლებელს დაეხმარება გაკვეთილის სწორად აგებაში და უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესის დასაწყისიდანვე. მეთოდის გამოყენება ასევე ეფექტიანია, როდესაც ერთმნიშვნელოვანი პასუხი საკვლევ თემასთან და პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებით არ არსებობს. გონებრვი იერიშის საშუალებით მრავალი კრეატიული და ინოვაციური იდეისგან კონსენსუსის საფუძველზე შეირჩევა რამდენიმე ყველაზე ღირებული, რომელიც პრობლემის მოგვარების საუკეთესო გზას წარმოადგენს.

„სეგმენტური მეთოდი“

მეთოდის მოკლე აღწერა:

„სეგმენტური მეთოდი“ არის გრაფიკულად სტრუქტურირებული თანამშრომლობითი სწავლების მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა, ჯგუფის ყველა წევრის ინდივიდუალური მუშაობის შედეგების შერწყმით მომზადდეს და კლასს საპრეზენტაციოდ წარედგინოს ჯგუფის საერთო პროდუქტი.

მეთოდის მიმდინარეობა:

- კლასი კომპლექტდება ოთხ, ხუთ ან ექვსკაციან ჯგუფებად;
- თითოეულ ჯგუფს ურიგდება მუშაობისთვის საჭირო რესურსები – A3 ან უფრო დიდი ზომის ფორმატი და მარკერები;
- ფორმატი იყოფა სეგმენტებად – ერთი ცენტრალური სეგმენტი და გარე სეგმენტები (გარე სეგმენტების რაოდენობა დამოკიდებულია ჯგუფში მონაწილეთა რაოდენობაზე: თუ ჯგუფი შედგება ოთხი წევრისაგან, გარე სეგმენტთა რაოდენობაც შეადგენს ოთხს და ა.შ.). იხ. ქვემოთ მოცემული გრაფიკული გამოსახულება;



- თითოეული გარე სეგმენტი არის ჯგუფის თითო წევრის კუთვნილება, ხოლო ცენტრალური სეგმენტი ეკუთვნის მთელ ჯგუფს;
- ჯგუფის ყოველი წევრი იღებს მასწავლებლისგან დავალებას (შესაძლებელია,

რომ ჯგუფის ყოველ წევრს მიეცეს როგორც ერთი და იმავე, ასევე განსხვავებული დავალებები);

- ამ ეტაპზე მოსწავლეები საკუთარ ნაფიქრალს, იდეებს აფიქსირებენ მათდამი განკუთვნილ სეგმენტში და ხელის მოწერით ადასტურებენ საკუთარ ნამუშევარს. ამ ეტაპზე მეთოდის მოთხოვნაა სრული მდუმარება და იკრძალება ერთმანეთთან კომუნიკაცია;

- მას შემდეგ, რაც ჯგუფის თითოეული წევრი წვლილს შეიტანს ჯგუფის მუშაობაში და საკუთარ სეგმენტს შეავსებს, მოსწავლეები ეცნობიან ერთმანეთის ნააზრევს და თუ საჭიროდ ჩათვლიან, ურთავენ წერილობით კომენტარებს;

- მომდევნო ფაზაში იმართება დისკუსია, ერთიანდება თითოეული წევრის ნამუშევარი, გამოიყოფა ყველასთვის მისაღები პასუხები, იბადება ახალი იდეებიც, რაც ჯამდება და ფიქსირდება ცენტრალურ სეგმენტში, სადაც ჯგუფის ყველა წევრი აწერს ხელს;

- ბოლო ფაზაზე თითოეული ჯგუფი აკეთებს მის მიერ შესრულებული სამუშაოს პრეზენტაციას.

მეთოდის გამოყენება:

„სეგმენტური მეთოდი“ ეკუთვნის იმ უნივერსალურ მეთოდთა რიგს, რომლის გამოყენება შესაძლებელია განსხვავებულ სასწავლო ჯგუფებსა (დაწყებული ელემენტარული სკოლიდან, დამთავრებული მოზრდილთა განათლებით) და დისციპლინებში. ეს მეთოდი შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც ჯგუფური დისკუსიის ალტერნატიული ვარიანტი, სადაც ჯგუფის თითოეული წევრის აზრი მოსმენილი და გათვალისწინებულია. მეთოდის გამოყენება ძალზე ეფექტიანია პრობლემური სიტუაციის გადაჭრის გზების საპოვნელად - მოსწავლეთა ინდივიდუალური იდეების განხილვითა და შეჯერებით. მეთოდის უნივერსალობა იმაშიც მდგომარეობს, რომ მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც თემის დაწყებისას, როდესაც მასწავლებელს სჭირდება წინარე ცოდნის და გამოცდილების გააქტიურება მოსწავლეებში, ასევე თემის შესწავლის პროცესში, როდესაც მას სურს დაადგინოს, თუ როგორ ხდება თემის ათვისების პროცესი; ასევე თემის დასრულებისას და შეჯამებისას, რაც მას საშუალებას აძლევს, დაადგინოს როგორც თითოეული მოსწავლის, ასევე ჯგუფის მიღწევა გარკვეული თემის/ეტაპის ბოლოს.

ინტერვიუ სამი ნაბიჯი

მეთოდის აღწერა:

მასწავლებელი ირჩევს საკითხს/პრობლემას, აყალიბებს მიზანს და აცნობს კლასს;

კლასში ყველა მოსწავლე ამზადებს საკითხის/პრობლემის ირგვლივ ინტერვიუსთვის კითხვებს;

1. შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ჰყოფს სამკაციან ჯგუფებად/ტრიადებად; მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის მეთოდის მიმდინარეობას – ინტერვიურება სამ წრეზე მიდის. მაშასადამე, ტრიადის თითოეული მოსწავლე გამოდის როგორც ინტერვიუერის, ასევე რესპონდენტისა და დამკვირვებლის როლში;

2. პირველი ნაბიჯი - მოსწავლე A ინტერვიუს იღებს მოსწავლე B-სგან, ხოლო მოსწავლე C, როგორც დამკვირვებელი, აკეთებს ჩანაწერებს, ე.ი. ინიშნავს ინტერვიუერისა და რესპონდენტის საუბრიდან არსებითს;

3. მეორე ნაბიჯი – მოსწავლე B ინტერვიუს იღებს მოსწავლე C-სგან, ხოლო მოსწავლე A, როგორც დამკვირვებელი, ინიშნავს ძირითადს;

4. მესამე ნაბიჯი - მოსწავლე C ინტერვიუს იღებს მოსწავლე A-სგან, ხოლო მოსწავლე B, როგორც დამკვირვებელი, ინიშნავს ძირითადს.

თითოეული ინტერვიუსთვის განკუთვნილი დრო დადგენილი უნდა იყოს მასწავლებლის/მოდერატორის მიერ, მაგ., 5 წთ., მაშასადამე, სამივე ინტერვიუს ამ შემთხვევაში უნდა დაეთმოს 15 წთ.

5. შემდეგ ორ-ორი სამკაციანი ჯგუფი გაერთიანდება ექვსკაციან ჯგუფად. ჯგუფის ექვსივე მონაწილე წინა ეტაპზე იყო უკვე დამკვირვებელი და აქვს ჩანაწერები. ექვსივე დამკვირვებელი ჩანაწერების გამოყენებით რიგრიგობით მოახსენებს დანარჩენებს მისი ჩანიშნულიდან არსებითს. შემდეგ თითოეული ჯგუფი აჯამებს დამკვირვებლების ჩანაწერებს და აკეთებს პრეზენტაციებს;

6. მასწავლებელი ისმენს პრეზენტაციებს;

7. ბოლოს ხდება მიღებული ინფორმაციების შეჯამება და შეფასება.

როდის შეუძლია მასწავლებელს გამოიყენოს ეს მეთოდი?

იგი შესაძლებელია გამოყენებული იყოს როგორც თემის შესწავლის დაწყებისას მოსწავლეთა წინარე ცოდნის შესამოწმებლად, ასევე თემის შეჯამებისას. მეთოდი წარმატებით გამოიყენება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების დროს და საშუალებას იძლევა ყველა მოსწავლემ ჩამოაყალიბოს პრობლემის გადაჭრის მისეული ხედვა, შემდეგ მოხდეს ალტერნატიული გზების განხილვა, შეჯამება და საუკეთესოს არჩევა.

რა უნდა გაითვალისწინოს პედაგოგმა მეთოდის წარმატებით განხორციელებისთვის?

იმისათვის, რომ მეთოდი წარმატებით განხორციელდეს, მრავალ ისეთ ფაქტორთან ერთად, როგორიცაა მაგ., წინასწარ მოსწავლეთათვის მეთოდის მიმდინარეობის ზუსტი აღწერა,

მათთვის ინტერვიუს თემის ზუსტად ფორმულირება, მიზნის ჩამოყალიბება, ინტერვიუს მოსამზადებლად მოსწავლეთათვის დროის მიცემა, დროის სწორი მენეჯმენტი, ჯგუფების მუშაობაზე თვალყურის დევნება და სხვა, მასწავლებელმა მოსწავლეებს წინასწარ უნდა ასწავლოს და გამოუმუშაოს ინტერვიუს წაყვანის ელემენტარული უნარ-ჩვევები.

- მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ ინტერვიუსა და დიალოგს შორის არის ერთი არსებითი განსხვავება: ინტერვიუს დროს მკაცრად არის განსაზღვრული ინტერვიუერისა და რესპონდენტის როლები;
- სანამ მოსწავლე ინტერვიუსთვის მზადებას/კითხვების ჩამოყალიბებას შეუდგება, მან უნდა გააცნობიეროს კონკრეტული ინტერვიუს მიზანი, კერძოდ, რისი გაგება სურს რესპონდენტისგან;
- ამის შემდეგ იგი იწყებს კითხვების ჩამოყალიბებას, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ზუსტად მიჰყვეს მას, რადგან სიტუაციამ შეიძლება, განსხვავებული კითხვების დასმის საჭიროება მოიტანოს;
- იმისათვის, რომ მოსწავლემ კორექტულად მოახდინოს კითხვების ჩამოყალიბება და დასმა:

✓ იგი უნდა ფლობდეს კითხვის დასმის სხვადასხვა ტექნიკას;

✓ შეკითხვები გარკვევით უნდა იყოს დასმული;

✓ შეკითხვაში არ უნდა ჩანდეს ინტერვიუერის პოზიცია;

✓ შეეძლოს კითხვების თემატურად დაჯგუფება და სელექცია პირველხარისხოვან და მეორეხარისხოვან კითხვებად;

✓ სწორად მოახდინოს კითხვების თანმიმდევრული დალაგება – მნიშვნელოვანია, ინტერვიუ დაიწყოს ისეთი ღია კითხვებით, რომლებიც გახსნის რესპონდენტს; არ არის სასურველი მნიშვნელოვანის ბოლოში გადაწევა;

- მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომ აქტიური მოსმენა წარმატებული ინტერვიუსთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ინტერვიუერის მხრიდან ყურადღება, მოთმინება, ემპათია რესპონდენტს სურვილს აღუძრავს, გასცეს ინფორმაცია და იყოს გულახდილი. მოსწავლეს უნდა ავუხსნათ:

✓ აზრის გადმოცემა რესპონდენტს არ უნდა შეაწყვეტინოს;

✓ მისცეს რესპონდენტს პაუზების საშუალება, რადგან იგი ფიქრის ბუნებრივი ფაზაა;

✓ მშვიდად მოისმინოს რესპონდენტის ყველა აზრი, ისეთიც, რომელსაც არ ეთანხმება;

✓ რესპოდენტის პასუხების მნიშვნელოვანი დეტალი რომ არ გამორჩეს, სასურველია, მოპასუხის აზრი გაიმეოროს, რათა გადაამოწმოს, როგორ გაიგო იგი;

✓ სთხოვოს რესპონდენტს, დააკონკრეტოს ნათქვამი;

✓ თავი აარიდოს ზედმეტად დადებითი ემოციების გამოხატვას.

უოლტ დისნეის
„აზროვნების სამი სკამი“

მეთოდის თეორიული და პრაქტიკული დასაბუთება:

როდესაც გამორჩეულად შემოქმედებით ადამიანებზე ვფიქრობთ, ბუნებრივია, გვახსენდება ანიმაციური ფილმების ამერიკელი რეჟისორი და პროდიუსერი უოლტ დისნეი, რომელიც მთელ მსოფლიოში ცნობილი გახდა თავისი შემოქმედებითი და წარმოსახვითი აზროვნების წყალობით.

და მაინც, როგორ მიდიოდა იგი ამ მოზღვავებულ იდეებამდე?

დისნეის სტრატეგიის ძირითადი არსი მდგომარეობდა შემდეგში:

- პრობლემის/საკითხის ხედვა სამი სხვადასხვა (მეოცნების, რეალისტისა და კრიტიკოსის) პერსპექტივით;
- პროცესის დროს აზროვნების ტიპების ცვალებადობა.

აზროვნების ეს სამივე ტიპი ყველა ადამიანში საფუძველშივე დევს, მაგრამ, ამასთანავე, განსხვავებულად არის გამოხატული. სტრატეგია თანაბრად უზრუნველყოფს, რომ აზროვნების დროს არც ერთი პერსპექტივა არ იქნას გამოტოვებული და საკმარისად იყოს გათვალისწინებული.

დისნეიმ მის ფირმაში თითოეული როლისთვის (მეოცნების, რეალისტისა და კრიტიკოსის) გამოყო ოთახი, რომელიც ამ ტიპის აზროვნებების შესაბამისად მოაწყო. მაგ., მეოცნების ოთახი იყო დიდი, ნათელი, ჭრელი, კედლები სავსე იყო სურათებით და კრეატიული გამონათქვამებით. რეალისტს შესთავაზა ოთახი, სადაც იყო ერთი დიდი სახატავი მაგიდა და ყველა შესაძლო თანამედროვე საშუალება, რათა შესძლებოდა ამ ოცნებების რეალიზება. კრიტიკოსი კი ერთ პატარა, ვიწრო ოთახში რეალისტის გაკეთებულ ჩანახატებს აფასებდა.

მაშასადამე, დისნეი არ განიხილავდა შემოქმედებით აზროვნებას ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნებისგან გამიჯნულად. ყველა კრეატიული იდეა შემდგომში საჭიროებს ანალიზსა და შეფასებას. ნებისმიერი პრობლემის გადაჭრის პროცესი უნდა მოიცავდეს ამ სამივე მახასიათებელს.

თავად უოლტ დისნეი შესანიშნავად ფლობდა ზემოთ ხსენებულ სამივე როლს. სწორედ ეს იყო მისი წარმატების გარანტია. იგი თანამშრომლებს ყოველთვის რთავდა იდეების გენერირების, სელექციისა და შეფასების პროცესში.

უოლტ დისნეის მიერ კინემატოგრაფიაში დანერგილი ეს სტრატეგია მრავალ სფეროში გავრცელდა, მათ შორის, განათლებაშიც და იგი ცნობილია სახელით „აზროვნების სამი სკამი“. სტრატეგია მოიცავს როგორც ანალიტიკურ-სისტემატურ, ასევე ინტუიციურ-კრეატიულ ელემენტებს.

„აზროვნების სამი სკამი“ წარმოადგენს როლურ თამაშს, რომელიც როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად შეგვიძლია წარვმართოთ. მეთოდის მიმდინარეობისას აუცილებლობას არ წარმოადგენს ოთახების ცვლა. საკმარისია სამი – მეოცნების, რეალისტისა და კრიტიკოსის სკამი, რომლებიც მოთავსებული იქნება ოთახის სხვადასხვა კუთხეში. სასურველია, თითოეული სკამი გამშვენდეს აზროვნების ტიპის შესაბამისად. მეთოდის განხორციელება შესაძლებელია სკამის გარეშეც, უბრალოდ, ოთახის თითოეულ კუთხეში იყოს რაიმე დეტალი, რომელიც განასახიერებს შესაბამისი აზროვნების ტიპს.

თითოეული როლისთვის დამახასიათებელი ნიშნები:

მეოცნების სკამი: მეოცნების სკამზე უნდა განვავითაროთ ჩვენი ფანტაზია, მივცეთ მას თავისუფლება, ჩამოვაყალიბოთ მრავალი ვერსია, არ ვიფიქროთ, განხორციელებადია თუ არა იგი, ვიყოთ ცნობისმოყვარე, დავაფიქსიროთ სურვილები, ვიყოთ ენთუზიასტები, მივიღოთ სიამოვნება, ნაკლებად ვიფიქროთ შედეგზე. ამ სკამზე ყველაფრის უფლება გვაქვს გარდა ერთისა – სერიოზულად ვიფიქროთ პრობლემაზე. მნიშვნელოვანია, ყველა ჩვენი იდეა და წარმოდგენა გამოვთქვათ.

რეალისტის სკამი: რეალისტის სკამზე უნდა ვიფიქროთ იდეების განხორციელებაზე, ვიყოთ პრაგმატულები, ვიმოქმედოთ გეგმაზომიერად და გონივრულად, გავითვალისწინოთ პირობები, ვიყოთ სამართლიანები, შედეგზე ორიენტირებულები, ამოვირჩიოთ უმოკლესი და მიზანმიმართული გზა.

კრიტიკოსის სკამი: ფოკუსირება გავაკეთოთ მიზანშეწონილობაზე და განხორციელებადობაზე; შევაფასოთ, არის თუ არა ეს გზა მიზნის შესაბამისი და რამდენად ხარისხიან შედეგზე გავდივართ; ვიფიქროთ შესაძლო რისკებზე და შესაძლებლობებზე. ვიყოთ ობიექტურები შეფასებისას. კრიტიკოსი არ უნდა იყოს იდეისადმი ნეგატიურად განწყობილი. მან ამ იდეაში პრობლემები უნდა იპოვოს, მაგრამ იდეის არსის უნდა სჯეროდეს.

მეთოდის მიმდინარეობა:

(ჩვენ მიერ აღწერილი მაგალითი ეხება ჯგუფურ როლურ თამაშს)

პირველი ნაბიჯი:

მეთოდით მუშაობის დასაწყისში მასწავლებელი/მოდერატორი სთავაზობს მსმენელებს/მოსწავლეებს ინფორმაციას დისნეის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ – როგორ დაიწყო მან პატარა, უცნობი მწარმოებლის როლით და, გამბედაობისა და შემოქმედებითობის წყალობით როგორ გახდა მსოფლიოში ცნობილი ადამიანი.

მეორე ნაბიჯი:

სანამ მონაწილეებს გავაცნობთ განსახილველ თემას, ვიწყებთ ე.წ. მოთელვას, იმისათვის, რომ მონაწილეებმა გაითავისონ სამივე როლი. მეოცნების კუთხეში მათ უნდა იფიქრონ და გაიხსენონ მათი ცხოვრებიდან ულამაზესი და შემოქმედებითი მომენტები, დრო, როცა ოცნებებში იყვნენ გადავარდნილნი. ეს აქტივობა ეხმარება მათ პოზიტიური გრძნობის დაუფლებაში.

მესამე ნაბიჯი:

მოკლე პაუზის შემდეგ ჯგუფი გადაადგილდება მეოცნების კუთხიდან რეალისტის კუთხეში, სადაც ყველა მონაწილემ უნდა გაიხსენოს პირადი სიტუაცია, სადაც მან პრობლემა რეალისტურად და პრაგმატულად გააანალიზა და ჭკვიანურად გადაწყვიტა. თუ მოსწავლეს საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან კონკრეტული სიტუაცია არ ახსენდება, მოუსმინოს სხვას და ურჩიოს, თავად როგორ მოიქცეოდა პრაგმატულად მის ადგილას.

მეოთხე ნაბიჯი:

ბოლოს, კრიტიკოსის კუთხეში, მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ სიტუაცია, სადაც იდეა ფხიზელი თვალით, ობიექტურად და კონსტრუქციულად გაუანალიზებიათ, სისუსტეე-

ბის და ძლიერი მხარეების იდენტიფიცირება მოუხდენიათ და პოტენციური პრობლემები გამოუვლენიათ.

მეხუთე ნაბიჯი:

ამის შემდეგ მოდერატორი/მასწავლებელი ჯგუფს აცნობს გადასაჭრელ პრობლემას/თემას, რის შემდეგაც იწყება ნამდვილი როლური თამაში. ჯგუფი უბრუნდება მეოცნების კუთხეს. მეოცნებეები ამ ფაზაში იწყებენ პრობლემის ირგვლივ საკუთარი ხედვებისა და იდეების განვითარებას. ამ ფაზაში უსაზღვრო ფანტაზიის უფლება აქვთ. ყველა ქაოსურ და გიჟურ იდეას აქვს შანსი, იქცეს ახალ და ადეკვატურ იდეად.

მეექვსე ნაბიჯი:

შემდეგ მონაწილეები მიადგებიან რეალისტის კუთხეს, სადაც უბრუნდებიან მოპოვებულ იდეებს და აანალიზებენ მას. სვამენ შემდეგ სავარაუდო კითხვებს: ჩვენ მიერ შემუშავებული იდეები არის თუ არა მიზნის რელევანტური? ამის განხორციელებისთვის რა მასალა, ადამიანური რესურსი, ცოდნა და ტექნიკური მოწყობილობაა საჭირო? შესაძლებელია თუ არა, ჩვენ მიერ შერჩეული მიდგომა მოვსინჯოთ? – და სხვ. რეალისტები მართლაც რომ გამოცდიან ყველა იდეას, მანამ, სანამ კრიტიკოსებს გადასცემენ. ასე აღმოჩნდება საწყის ეტაპზე არარეალისტურად დანახული იდეები როგორც რეალური, ინოვაციური მიდგომები.

მეშვიდე ნაბიჯი:

წრებრუნვის ბოლო პუნქტში კრიტიკოსებს აქვთ დავალება – იდეები კონსტრუქციულად განიხილონ. მათ უნდა დასვან კითხვა: რა შეიძლება გაუმჯობესდეს? რა არის ამ იდეის რისკები და შესაძლებლობები? რა არის მხედველობიდან გამორჩენილი? როგორ ვაფასებ მე ამ შემოთავაზებას? – და ა.შ.

მეთოდი შესაძლებელია წარვმართოთ სხვადასხვა ვარიაციით:

- კლასი დაიყოს სამ ჯგუფად, ყოველმა ჯგუფმა თითო აზროვნების ტიპიდან განიხილოს ერთი და იგივე საკითხი – ერთი ჯგუფის შემოქმედებით იდეებს მეორე ჯგუფი უკეთებს ანალიზს, ხოლო მესამე კრიტიკულად აფასებს.
- ერთი და იგივე ჯგუფმა (ან თითოეულმა მოსწავლემ ინდივიდუალურად) სამივე აზროვნების ტიპიდან განიხილოს ერთი და იგივე პრობლემა – თავად იპოვოს კრეატიული იდეები, გააანალიზოს და შეაფასოს.

ყველა შემთხვევაში მასწავლებლის მიზანს უნდა წარმოადგენდეს მოსწავლეებში სამივე ტიპის აზროვნების განვითარება და აზროვნების პროცესის სწორად აგება.

უკუკავშირის მეთოდები სასწავლო პროცესის საწყის ეტაპზე

უკუკავშირის მეთოდების შერჩევა ხდება ორი თვალთახედვით: 1. ისინი უნდა მიმდინარებდეს დიალოგურ რეჟიმში, მაშასადამე, მისი საკვანძო ელემენტია საკითხის/პრობლემის ერთობლივი განხილვა და 2. ეს მეთოდები უნდა იყოს შეძლებისდაგვარად სწრაფად გამოყენებადი და ადვილად სამართავი.

უკუკავშირის მეთოდების შერჩევისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, სასწავლო პროცესის რომელ ეტაპზე – დასაწყისში, მიმდინარეობისას თუ დასასრულს სურს მისი გამოყენება და ამის გათვალისწინებით შეარჩიოს შესაბამისი მეთოდი.

1-ლი მეთოდი - პირველი განცდები და მოლოდინები

მოსწავლეები წერილობით გამოთქვამენ აზრს საკუთარი განცდებისა და მოლოდინების შესახებ ახალ სკოლაში/კლასში, სასწავლო კურსზე, პროექტზე და ა.შ. შესაძლო კითხვებია:

- რა სასიამოვნო განცდები დაგეუფლა პირველი შთაბეჭდილებით? განსაკუთრებით რა მოგეწონა?
- განსაკუთრებით რა არ მოგეწონა პირველი შთაბეჭდილებით? რას გააკრიტიკებდი?
- რას მოელი შენ აქედან (ამ სკოლიდან, კლასიდან, პროექტიდან და ა.შ.)?
- რისი განცდა არ გსურს?

მასწავლებელმა აუცილებლად კლასთან/ჯგუფთან ერთად უნდა განიხილოს და შეაფასოს პასუხები, რათა ჯგუფის ყველა წევრმა გაიგოს და გაითავისოს თითოეულის მოლოდინები და განცდები, გაითვალისწინოს ისინი მომავალში, რაც მათ დაეხმარება ეფექტიან თანამშრომლობაში, საკლასო კულტურის დამკვიდრებაში, ეს კი თავის მხრივ მაღალი აკადემიური მოსწრების აუცილებელი წინაპირობაა.

მე-2 მეთოდი - „თავდაყირა“

ერთობლივი საქმიანობის საწყის ეტაპზე ჯგუფის თითოეულმა წევრმა როგორც საკუთარ თავს, ასევე მთლიანად ჯგუფს უნდა დაუსვას კითხვა: რა უნდა ვიღონოთ, მუშაობის პროცესში ჩიხში რომ შევიდეთ? თითოეული მონაწილე საკუთარ თვალსაზრისს (მაქსიმუმ სამს თითოეული პირი) წერს ბარათებზე და აკრავს კედელზე. შემდეგ მთელი ჯგუფი აკეთებს ბარათების დახარისხებას მსგავსი გამონათქვამების მიხედვით. ბოლოს, მონაწილეები გამონათქვამებს ერთმანეთის მიყოლებით „თავდაყირა“ (პოზიტიური ფორმულირებით) დააყენებენ და თანხმდებიან, მუშაობის პროცესში რას უნდა მიაქციონ ყურადღება მასწავლებელმა და მოსწავლეებმა წარმატების მისაღწევად. მეთოდის გამოყენება რეკომენდებულია, მაგალითად, სასწავლო პროექტზე მუშაობის დასაწყისში.

მე-3 მეთოდი - ბარათებით მუშაობა (როგორია კარგი გაკვეთილი?)

ამ მეთოდით მასწავლებელს შეუძლია აღმოაჩინოს, როგორ წარმოუდგენიათ მოსწავლეებს კარგი გაკვეთილი (სკოლა, მასწავლებელი, საშინაო დავალება და ა.შ.) და შეთანხმდნენ, როგორ დაგეგმონ მომავალი ერთობლივი მუშაობა.

მეთოდის მიმდინარეობა:

1. თითოეული მოსწავლე ბარათებზე დამოუკიდებლად წერს პასუხს კითხვაზე: „რა ქმნის კარგ გაკვეთილს?“ (კარგი გაკვეთილის მახასიათებლები).

ალტერნატივა: ღია ბარათებზე წინასწარ წერია პასუხები და მათგან მოსწავლე ირჩევს მისთვის სასურველ პასუხს.

2. მოსწავლეები ქმნიან მცირე (ოთხიდან ექვს კაცამდე) ჯგუფებს და კედელზე ისეთი თანმიმდევრობით აკრავენ ბარათებს, რომ დაიხატოს/წარმოჩნდეს „კარგი გაკვეთილის“ სურათი.

   ალტერნატივა: მონაწილეები დისკუსიის შედეგად ალაგებენ ბარათებს შემდეგ ველებად: (1) სრულად სრულდება; (2) საკმარისად სრულდება; (3) არ სრულდება; (4) ჩვენ არ შეგვიძლია შევაფასოთ.

3. ჯგუფები საკუთარ პლაკატებს წარუდგენენ ერთმანეთს.

4. მას შემდეგ, რაც ყველა ჯგუფი მოაწყობს პრეზენტაციას, იმართება დისკუსია - როგორ მივუახლოვდეთ ასეთ იდეალურ გაკვეთილს? კონკრეტულად ჩვენ რას გავაკეთებთ ამისთვის?

5. დაგეგმილი ნაბიჯები ან სასურველი მიზნები უმჯობესია დალაგდეს პრიორიტეტების მიხედვით.

პრიორიტეტების სია			
ჩვენ ამ მიზანს უნდა მივაღწიოთ	რატომ მივისწრაფვით ამ მიზნისკენ განსაკუთრებით?	რატომ ჩავთვალეთ ეს მიზანი მეორეხარისხოვნად?	რანგი
პირველი მიზანი/ ნაბიჯი...	მნიშვნელოვანია, რადგან... სასწრაფოდ, რადგან... წარმატების იმედით, რადგან... ჩვენ ეს შეგვიძლია, რადგან...	მეორეხარისხოვანია, რადგან... არ არის სასწრაფო რადგან... ჩვენ ეს არ შეგვიძლია, რადგან... წარმატების იმედი არ გვაქვს, რადგან...	
მეორე მიზანი/ ნაბიჯი...			
მესამე მიზანი/ ნაბიჯი...			

მეთოდის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ საკითხის ირგვლივ პასუხთა მთელი სპექტრი იქნება წარმოდგენილი; ხოლო დისკუსიით მცირდება „ორაზროვანი“ შეფასების საფრთხე. მოდერატორს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს დისკუსიის ფაზაში, რათა არ მოხდეს ჯგუფის ცალკეულ წევრთა დომინირება, რაც შედეგზე მოახდენს გავლენას.

მე-4 მეთოდი - საოცნებო სკოლა

1. მოსწავლეები ხატავენ ოთხ ან ხუთკაციან ჯგუფებში მათთვის საოცნებო სკოლის ძირითად მახასიათებლებს პლაკატზე – „ასე გამოიყურება ჩვენი საოცნებო სკოლა“;

2. ხატვის ფაზის დასასრულს ჯგუფები აკეთებენ პრეზენტაციებს და ხსნიან, თუ რას გულისხმობენ თითოეულ დეტალში;

3. ერთობლივი დისკუსია: რისი გაკეთება შეგვიძლია თავად ჩვენ, საოცნებო სკოლის რაღაც, თუნდაც მცირე ნაწილი რეალობად რომ ვაქციოთ?

4. მასწავლებელმა დისკუსია შემდეგი საკვანძო წინადადებებით უნდა შეაჯამოს: მაგ. ჩვენი სკოლა არის... ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ... ჩვენ მზად ვართ... ჩვენ ველოდებით სკოლისაგან, რომ...

უკუკავშირის ეს მეთოდი განსაკუთრებით ეფექტიანად მუშაობს დაწყებით კლასებში.

მე-5 მეთოდი - სამი ან ოთხი კუთხე

მეთოდის მიმდინარეობა:

ოთახის სამ ან ოთხ კუთხეში კიდია ფლიპჩარტები, თითოეულზე დატანილია განსხვავებული შეხედულება საკითხის შესახებ (თითო შეხედულება თითოეულ ფლიპჩარტზე). მოსწავლეები კითხულობენ ამ შეხედულებებს და იკავებენ ადგილს რომელიმე კონკრეტულ ფლიპჩარტთან, ან ფლიპჩარტებს შორის, იმის მიხედვით, თუ რომელ და რამდენ შეხედულებას უფრო ემხრობიან. ერთმანეთთან ახლოს მდგომი მოსწავლეები ქმნიან ჯგუფებს; თითოეული ჯგუფი მართავს დისკუსიას – „რატომ ვდგავარ მე აქ?“ შემდეგ იხსნება ზედა ფლიპჩარტები და ქვედა ფლიპარტებზე ჩნდება თემის სხვა ასპექტის შესახებ ასევე განსხვავებული შეხედულებები. მოსწავლეები კვლავ იმეორებენ იმავე ქმედებებს, რაც პირველ წრეზე გააკეთეს. რჩევა მასწავლებელს: სასურველია მაქსიმუმ სამი წრის გაკეთება. ბოლოს იმართება ერთობლივი დისკუსია შემდეგი დევიზით: რა იყო ჩემთვის ჯგუფური დისკუსიიდან მნიშვნელოვანი, რა მომცა მე ამ სამუშაომ. სასურველია, შემაჯამებელი/ერთობლივი დისკუსიის საკვანძო საკითხები მოდერატორის (მოდერატორი შესაძლებელია იყოს როგორც მასწავლებელი, ასევე მოსწავლე) მიერ დაფაზე იყოს პროტოკოლირებული, რაც მას შემდგომში დაანახებს, თუ რა და რატომ არის ესა თუ ის საკითხი მოსწავლეთათვის მისაღები თუ მიუღებელი. ამ შედეგების ანალიზი და შემდგომში მათი გათვალისწინება მასწავლებელს დაეხმარება სასწავლო პროცესის დახვეწაში.

მეთოდის უპირატესობა:

მეთოდი ნათლად წარმოაჩენს ცალკეულ მოსწავლეთა შეხედულებებს საკვანძო საკითხებზე. იგი სახალისოდ მიმდინარეობს, რაც ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას. მეთოდი გამოიყენება ცალკეულ თემათა გასაღრმავებლად.

საყურადღებოა:

მეთოდი მოსწავლეებისგან მოითხოვს უნარს, ჰქონდეთ საკუთარი შეხედულება, მისი გამოხატვისა და არგუმენტირებულად დასაბუთების უნარი. მეთოდი ტექნიკურად არც-თუ ისე მარტივად შესასრულებელია და ამიტომ მასწავლებლის მხრიდან მოითხოვს წინასწარ მომზადებას და ფასილიტაციის დახვეწილ უნარებს. ეს მეთოდი გამოდგება იმისთვის, რათა მოსწავლეებმა „თემა გახსნან და გონება ახალი იდეებისა და შეხედულებებისათვის მოამზადონ“.

მე-6 მეთოდი – გამოცდილებაზე დაფუძნებული პრობლემის ანალიზი

მოსწავლეები და მასწავლებლები ერთობლივად ამუშავებენ ხშირად წამოტივტივებულ, ტიპურ პრობლემას. იგი კარგად გამოიყენება ცალკეულ თემათა გაღრმავებული დამუშავებისთვის.

მეთოდის მიმდინარეობა:

1. მცირე ჯგუფებში მოსწავლეები ავსებენ დასამუშავებელ კითხვარს:

- ზუსტად რა არის პრობლემა?

- რა მიზეზებმა/გარემოებებმა წარმოშვას პრობლემა?

- ასეთი ქცევით ჩვენ კარგი გამოცდილება ვერ შევიძინეთ, ასეთი საქციელი პრობლემას აძლიერებს...

- ეს არის ჩვენი რჩევა, რომელიც დაგვეხმარება პრობლემის გადაჭრაში.

2. ჯგუფები ერთმანეთს წარუდგენენ თავიანთ პასუხებს.

3. საერთო დისკუსიის დროს მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად ქმნიან აქტივობების კატალოგს, რომელშიც დაფიქსირებულია, ვინ რას აკეთებს, წვლილი რომ შეიტანოს პრობლემის გადაჭრაში.

აქტივობების კატალოგი				
რა პრობლემაა	ვინ	ვისთან ერთად	შედეგი	რა ვადაში

მე-7 მეთოდი - ტიპური გაკვეთილი

მეთოდის მიმდინარეობა:

1. მოსწავლეები იყოფიან მცირე ჯგუფებად და ჯგუფების შიგნით ამუშავებენ მასწავლებლის მიერ მიწოდებულ, ტიპური გაკვეთილისთვის დამახასიათებელ სიტუაციებს.

2. ჯგუფები გაითამაშებენ მათ მიერ დამუშავებულ საგაკვეთილო სიტუაციებს. ყოველი გათამაშების შემდეგ იმართება მოკლე დისკუსია, რომელიც ოთხი ძირითადი კითხვით არის სტრუქტურირებული:

- ამ სიტუაციაში ეს მე მომწონს და ამიტომ მომწონს...

- ამ სიტუაციაში მე ეს არ მომწონს და ამიტომ არ მომწონს...

- ჩვენ ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ...

- პრობლემის მოსაგვარებლად ჩვენ ასე მოვიქცეოდით...

ყველა გამოთქმული შეხედულება ფლიფპარტზე/დაფაზე დახარისხდება ამ ძირითადი კითხვების მიხედვით.

3. შემაჯამებელი დისკუსიის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გამონათქვამებს:

- ჩვენ ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ, რათა გაკვეთილზე კარგად ვიგრძნოთ თავი და ნაყოფიერად შევძლოთ მუშაობა...

- ამის მისაღწევად განსახორციელებელია შემდეგი აქტივობები, შესამუშავებელია შემდეგი წესები...

ერთობლივი დისკუსიით ჯერდება გამოთქმული შეხედულებები, ფლიფპარტზე გადაიტანება და საკლასო ოთახში დაიკიდება. შესაძლებელია, მოსწავლეთა წრიდან აირჩეს ე.წ. „მსაჯთა ჯგუფი“, რომელიც მიაქცევს ყურადღებას, რამდენად სრულდება დაგეგმილი აქტივობები და რამდენად ხდება შემუშავებული წესების დაცვა.

მეთოდის უპირატესობა:

ამ დროს მოსწავლეები თავად გაითამაშებენ სიტუაციას, მსჯელობენ, რა შეიგრძნეს, რა იყო მათთვის მისაღები თუ მიუღებელი, განსაკუთრებით პრობლემური. ასეთი მიდგომით მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულებები, განცდები, ემოციები, რაც ზრდის მეთოდის ეფექტიანობას.

საყურადღებოა:

მნიშვნელოვანია, რომ ყველა მოსწავლე ერთობლივ დისკუსიაში აქტიურად იყოს ჩართული, გონივრულად მიიჩნევდეს განსახორციელებელ აქტივობებებს და მისდევდეს მათ.

მე-8 მეთოდი - სურათებით საუბარი

მასწავლებელი მოსწავლეებს წარუდგენს სიმბოლოებით დატვირთულ სურათებს, ნახატებს ან ფოტოებს საგაკვეთილო სიტუაციებიდან. თითოეული მოსწავლე ირჩევს ორ სურათს, რომელიც მას განსაკუთრებით მოსწონს და განსაკუთრებით არ მოსწონს. იმართება დისკუსია, რატომ არის თითოეულისთვის ესა თუ ის სურათი მისაღები თუ მიუღებელი. რას და როგორ შეცვლიდნენ მათთვის მიუღებელ სურათზე, მისაღები და მოსაწონი რომ გახდეს იგი.

სურათები არის მოსწავლეთათვის შესანიშნავი სტიმული, გამოხატონ საკუთარი აზრი და ჩაერთონ მსჯელობაში, რაშიც გამოიხატება მეთოდის უპირატესობა.

მე-9 მეთოდი - მოსწავლეები გეგმავენ და ატარებენ გაკვეთილს

მოსწავლეთა ერთი ჯგუფი ირჩევს თემას, იღრმავებს ცოდნას ამ თემის ირგვლივ, გეგმავს და შემდეგ ატარებს გაკვეთილს (უმჯობესია, გაკვეთილის დრო არ აღემატებოდეს 30 წუთს) ამ თემაზე. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს მომზადებისა და დაგეგმვის პროცესში, თუმცა არა აქვს უშუალო გავლენა გაკვეთილის სტრუქტურირებაზე. მოსწავლეები თავად წყვეტენ, რომელი დიდაქტიკური ხერხებით გადასცენ მასალა თანაკლასელებს, კლასის მართვის რა სტილი აირჩიონ. როგორც მასწავლებელი, ასევე დანარჩენი თანაკლასელები გამოდიან მოსწავლეების როლში. დასასრულს, თანაკლასელები და მასწავლებელი ჩატარებულ გაკვეთილზე იძლევიან უკუკავშირს. ასევე მოსწავლეთა ის ჯგუფი, რომელმაც მოამზადა გაკვეთილი, თავადაც აკეთებს თვითშეფასებას. შემაჯამებელ დისკუსიაში მთელი კლასი მასწავლებელთან ერთად აყალიბებს, თუ რას და როგორ შეცვლიდნენ ჩატარებულ გაკვეთილში.

მეთოდის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ამგვარი მიდგომით მოსწავლეები ეჩვევიან დამოუკიდებლად ცოდნის გაღრმავებას, დაგეგმვას, ეფექტიან პრეზენტაციას, ასევე მათ უმუშავდებათ როგორც თვითშეფასების, ასევე ურთიერთშეფასების უნარები, მასწავლებლის უკუკავშირით მოსწავლეები იგებენ მის შეხედულებას გაკვეთილზე, მოსწავლეთა უკუკავშირით კი მასწავლებელი იაზრებს, როგორი გაკვეთილი მოსწონთ მოსწავლეებს, რასაც შემდგომში ორივე მხარე ითვალისწინებს.

მე-10 მეთოდი – „ძალთა ველის“ ანალიზი

„ძალთა ველის“ ანალიზის მეთოდი ეხმარება მოსწავლეებს პრო- და კონტრარგუმენტების ანალიზისას.

მიმდინარეობა:

1. მოსწავლეები კონკრეტული თემის შესწავლისას ინდივიდუალურად გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებას – ხელისშემშლელი და ხელის შემწყობი ფაქტორები. მაგალითად:

- რა მიწყობს მე ხელს სწავლაში?
- რა მიშლის მე ხელს სწავლაში?
- რა მიშლის ხელს გაკვეთილზე აქტიურ მონაწილეობაში?
- რა არის საჭირო, აქტიური მონაწილეობა რომ მივიღო გაკვეთილში?
- რისი თქმა შემიძლია კიდევ...

2. შემდეგ მოსწავლეები ერთიანდებიან მცირე ჯგუფებში, სადაც ადარებენ ინდივიდუალური მუშაობის შედეგებს. აქ მათ დაეხმარება შემდეგი კითხვები:

- რა არის ჩვენს „ძალთა“ შორის საერთო?
- რაშია განსხვავება?
- რა შესაძლებლობებს ვხედავთ სწავლაში სიძნელეების აღმოსაფხვრელად?

3. ჯგუფები აწყობენ პრეზენტაციებს, გროვდება სასარგებლო და ხელისშემშლელი ასპექტები, რომლებიც მასწავლებელს გადააქვს ფლიპჩარტზე.

4. ბოლოს იმართება საერთო საკლასო დისკუსია, სადაც განსაზღვრავენ, როგორ შეიძლება სიტუაციის გაუმჯობესება. რა შეიძლება გაკეთდეს „სასარგებლო ძალების“ გაძლიერებისთვის და „ხელისშემშლელი ძალების“ შესუსტებისთვის? რა წვლილი უნდა შეიტანონ ამაში მასწავლებელმა და მოსწავლეებმა?

მეთოდის უპირატესობა:

ამ ინსტრუმენტის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლეები ხედავენ ერთმანეთის არა მხოლოდ სუსტ, არამედ ძლიერ მხარეებსაც.

გასათვალისწინებელია, რომ ეს ინსტრუმენტი მოითხოვს ბევრ დროს, მაგრამ მისი დანერგვა ღირს იმ თემებისა და პრობლემების გადაჭრისას, რომლებიც არ არის გამჭვირვალე და რომელთა გადაჭრა უმრავლესობის ინტერესშია.

მომდევნო მასალაში ჩვენ გაგაცნობთ უკუკავშირის მეთოდებს, რომელთა გამოყენება სასარგებლოა სასწავლო პროცესის/თემის დასასრულს.

უკუკავშირის მეთოდები სამუშაოს დასასრულს

ამ ქვეთავში ვისაუბრებთ უკუკავშირის იმ მეთოდებზე, რომელთაც მასწავლებლები წარმატებით იყენებენ სამუშაოს/სასწავლო პროცესის/თემის/პროექტის და სხვ. დასასრულს. ამ ეტაპზე უკუკავშირის მეთოდების გამოყენება და მათი გაანალიზება მასწავლებელს ეხმარება, უფრო ეფექტიანად დაგეგმოს ახალი სამუშაო, მუშაობის პროცესში გამოვ-

ლენილი სუსტი მხარეები ახალ სასწავლო წელს, ახალ თემაზე თუ პროექტზე მუშაობისას გამოასწოროს, ხოლო ძლიერი მხარეები კვლავ გააძლიეროს და დანერგოს.

1-ლი მეთოდი - ბლიც უკუკავშირი წრეზე

იგი გახლავთ უკუკავშირის მეთოდთა შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა. აღნიშნული მეთოდი წარმოადგენს თავისუფალ ან რამდენიმე კითხვით სტრუქტურირებულ დისკუსიას. თავდაპირველად მასწავლებელი მოსწავლეებისაგან უკუკავშირს იღებს წრეში ძალიან სწრაფად, მოკლედ ფორმულირებულად. შემდეგ მას მოჰყვება დისკუსია ერთი ან რამდენიმე მნიშვნელოვანი პუნქტის შედეგების შესახებ.

მოსწავლეთა უკუკავშირი შესაძლებელია, ასე იყოს სტრუქტურირებული:

- ამ თემაზე მუშაობისას მე განსაკუთრებით არ მომეწონა... ამის გამო ცუდად ვიგრძენი თავი; ან: მე ეს განსაკუთრებით მომეწონა, თავი ამის გამო კარგად ვიგრძენი;
- ამ საქმემ ჩვენი თანამშრომლობა მოითხოვა; ან: ამან ჩვენ თანამშრომლობაში ხელი შეგვიშალა;
- ეს ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, ამას მე დავიმახსოვრებ და გამოვიყენებ; ან: მე მსურს, ამ საქმის დასასრულს ვთქვა...
- ეს მე სწავლისას დამეხმარა, ეს კი არ დამეხმარა;

  და ა.შ.

მეთოდის უპირატესობა:

უკუკავშირის ვერბალური გამოხატულებით უფრო ადვილია ისაუბრო განცდებზე, გრძნობებზე, დამოკიდებულებებზე, შთაბეჭდილებებზე, ვიდრე წერილობითი უკუკავშირისას.

მეთოდის ალტერნატიული ვარიანტი:

მეთოდი რეკომენდებულია სამუშაოს დასასრულს, თუმცა მისი პერიოდულად გამოყენება ასევე ეფექტიანია სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. სასწავლო პროცესის განმავლობაში მოსწავლეთა უკუკავშირები, მოკლედ ფორმულირებული ძირითადი პუნქტები, სასურველია გადატანილი იყოს ფლიპჩარზე და გაიკრას ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას, რაც ეხმარება მასწავლებელსა და მოსწავლეებს, მუდმივად ადევნონ თვალი მოსწავლეების მიერ შეფასებული პროცესის როგორც დადებით, ასევე უარყოფით მხარეებს. ეს საშუალებას აძლევს მათ უკეთ გააკონტროლონ საკუთარი ქცევა და ისე წარმართონ სასწავლო პროცესი, რომ ყველასათვის მისაღები იყოს.

მე-2 მეთოდი – შეფასების კითხვარი

ეს მეთოდი მსგავსია პირველი მეთოდის, მაგრამ იგი ხორციელდება არა ვერბალურად, არამედ წერილობით.

მიმდინარეობა:

ქვემოთ მოცემულია შესაძლო კითხვები, რომელთა მეშვეობითაც მოსწავლეები აფასებენ სასწავლო პროცესს.

დაფიქრდი, გადაავლე თვალი და შეაფასე განვლილი პერიოდი/თემა/დღე/სემესტრი/სასწავლო წელი: 1. განსაკუთრებით საინტერესო იყო ჩემთვის... 2. შემდეგი საკითხები გახდა ჩემთვის ცხადი.... 3. ჩემთვის ჯერ კიდევ ბუნდოვანი დარჩა... 4. თემის ირგვლივ ჯერ კიდევ დამრჩა შემდეგი კითხვები, რაზეც დამატებითი ინ-ფორმაცია მსურს მოვიძიო... 5. მე ეს არ მომეწონა... 6. მე შევეცდები, ნასწავლიდან შემდეგი რამ გამოვიყენო...

შემდეგ მასწავლებელი გამოჰყოფს მოსწავლეთა წრიდან ე.წ. „შემფასებელთა ჯგუფს“, რომელიც განიხილავს თანაკლასელების პასუხებს, დააჯგუფებს მათ მსგავსი თემებისა და პასუხების მიხედვით და წარუდგენს კლასს.

ბოლოს გაიმართება საკლასო დისკუსია ძირითადი საკითხების ირგვლივ – რა იყო კარგი და რა უნდა გაგრძელდეს და რა არის გასაუმჯობესებელი.

მე-3 მეთოდი – პროექტის რეფლექსია

პროექტზე მუშაობის დასრულების შემდეგ პროექტში მონაწილე მოსწავლეები ინდივიდუ-ალურად ახდენენ შესრულებული სამუშაოს შეფასებას ქვემოთ მოყვანილი სქემის მიხედ-ვით. შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად აანალიზებს შეფასების შედეგებს და ერთად სახავენ განვითარების გზებს.

სახელი, გვარი:

რა მოლოდინებით დავიწყე პროექტზე მუშაობა?



რა უნდა გაკეთდეს შემდგომში და რა უნდა გაკეთდეს სხვაგვარად?

შენიშვნა: უკუკავშირის ეს მეთოდი შესაძლებელია გამოვიყენოთ არა მარტო კონკრეტულ პროექტზე მუშაობის დასრულებისას, არამედ, მაგალითად, სასწავლო წლის ბოლოს.

მეოთხე მეთოდი – შეფასების სამიზნე ფირფიტა

უკუკავშირის ამ მეთოდის გამოყენება საშუალებას გვაძლევს, შევაფასოთ სასწავლო/საგაკვეთილო პროცესი და ურთიერთობები – მოსწავლე-მასწავლებლისა და მოსწავლე-მოსწავლის და ზოგადად სკოლა.

მეთოდის მიმდინარეობა:

1. კლასის დამრიგებელი დიდ ფორმატზე ხატავს ე.წ. შეფასების სამიზნე წრეს, რომელიც დაყოფილია სეგმენტებად: სკოლა, მასწავლებლები, გაკვეთილი, მოსწავლეები. ყველა სეგმენტი დაყოფილია ხუთ სამიზნე ფირფიტად, სადაც ცენტრალური ფირფიტა ციფრით 5 ნიშნავს – სრულად შეესაბამება, ხოლო განაპირა ფირფიტა ციფრით 1 ნიშნავს – არ შეესაბამება.

2. სასწავლო წლის ბოლოს კლასის თითოეული მოსწავლე მარკერით აღნიშნავს, მისი აზრით, თითოეული სეგმენტი რომელ სამიზნე ფირფიტას შეესაბამება.

3. კლასიდან გამოიყოფა რამდენიმე მოსწავლე, რომლებიც აჯამებენ მოსწავლეთა შეხედულებებს სასკოლო ცხოვრების თითოეული სფეროს შესახებ.

4. შედეგებს ისინი წარმოადგენენ კლასის სასწავლო წლის შემაჯამებელ კონფერენციაზე, სადაც მოსწავლეები მასწავლებლებთან ერთად აფასებენ გასულ წელს, მის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ერთად დასახავენ გასულ წელს წამოჭრილი პრობლემების მოგვარების გზებს. სასურველია, კონფერენციაში მონაწილეობა მიიღოს კლასის ყველა პედაგოგმა.

ჩვენ მიერ განხილულ მეთოდებში, როგორც ვხედავთ, მოსწავლეთა ჩართულობა საკმაოდ დიდია, ისინი აქტიურად არიან ჩაბმულები სასწავლო პროცესის შეფასებასა და გაუმჯობესებაში. თანამონაწილეობის განცდა ზრდის მათ პასუხისმგებლობას როგორც საკუთარი თავის, ასევე თანაკლასელების, მასწავლებლების და ზოგადად სკოლის წინაშე. მათ უჩნდებათ განცდა, რომ ისინი სკოლის სრულუფლებიანი წევრები არიან.

გამოყენებული ლიტერატურა

2010. ია კუტალაძე (რედ.), ეფექტიანი სწავლება, გამოცდების ეროვნული ცენტრი, კვლევის ლაბორატორია.

გახელაძე გ., ლობჟანიძე ს., რატიანი მ. (2011), მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის გზამკვლევი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა (2007) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი.

როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება (2007) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი.

ნინიძე ქ., პროექტზე დაფუძნებული სწავლება და მისი პერსპექტივები, ჟურნალი „მასწავლებელი“ №5, 2011, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა: 46-59

ანიტა ვულფოლკი (2009) განათლების ფსიქოლოგია, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

სწავლება და შეფასება (2008), მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“.

განვითარებისა და სწავლის თეორიები (2008) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი: გამომცემლობა “საქართველოს მაცნე“.

მარზანო რობერტ ჯ. (2009) ეფექტური სწავლება სკოლაში, პირველი ქართული გამოცემა, „მასწავლებელთა პროფესიული განვიტარების ცენტრი“.

ელექტრონული რესურსები

სამოქალაქო განათლება ყველასათვის	https://www.civiceducation.ge/ka
სამოქალაქო განათლების ლექსიკონი	http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3061
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა	http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-10&cl=CL2.11&d=HASH41a6751649704cfe6eff32.2.1&gt=1
დემოკრატიის სწავლება (გაკვეთილები)	https://www.living-democracy.ge/textbooks/volume-6/
მონაწილეობა დემოკრატიულ საზოგადოებაში	https://www.living-democracy.ge/textbooks/volume-4/
ბავშვთა უფლებების კვლევა	https://www.living-democracy.ge/textbooks/volume-5/
ვიზრდებით დემოკრატიულ საზოგადოებაში	https://www.living-democracy.ge/textbooks/volume-2/
განათლება დემოკრატიისათვის	https://www.living-democracy.ge/textbooks/volume-1/
ვიდეომასალა	https://www.living-democracy.ge/videos/
ფიფლ ინ ნიდ – People in Need სწავლება დოკუმენტური ფილმების საშუალებით	გამოყენების უფლება 7 დოკუმენტურ საგანმანათლებლო ფილმზე და მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოზე.

წიგნში გამოყენებული ბავშვების სურათები დაცულია და გამოყენებულია მეურვეთა ნებართვის საფუძველზე.

ამ სახელმძღვანელოს გაყიდვის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში,
გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ცხელ ხაზზე (+995 32) 2 200 200

დამატებითი ინფორმაცია სახელმძღვანელოს/სერიის შესახებ იხილეთ
ვებ-გვერდზე: https://www.facebook.com/PublishingHouseklio

9 789941 481505



დაფინანსებულია „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით
უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში